

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა  
ეროვნული ასოციაცია

# თვითმმართველობა კითხვა-პასუხებში

თბილისი  
2012

წიგნში „თვითმმართველობის მეგზური“ კითხვა-პასუხის ფორმით განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალური საკითხები. მასში გამოყენებულია 2012 წლის 7 ივლისის მდგომარეობით საქართველოში მოქმედი კანონები, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები, მინისტრების ბრძანებები და სხვა ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც შეეხება და განსაზღვრავს თვითმმართველობათა უფლებამოსილებებს, მათ მიერ ამ უფლებამოსილებების განხორციელების გზებს.

ამ გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას და განათლებას მათთვის აქტუალურ საკითხებზე. გამოქვეყნებული მასალა დაეხმარება მათ, უკეთ გააცნობიერონ თვითმმართველობის ინსტიტუტის დატვირთვა და როლი საქართველოში.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 2007 წელს გამოცემული წიგნის „თვითმმართველობის მეგზური“ (გამომცემელი - „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“. დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო დეპარტამენტის დაფინანსებით. ავტორი: გოგა ხაჩიძე, სერგო ფარეიშვილი, პაპუნა ხაჩიძე) გადამუშავებულ და შევსებულ ვერსიას.

ვფიქრობთ რომ 232 ნორმატიული აქტის წაკითხვას ერთი წიგნის წაკითხვა სჯობს!

© საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია  
© სერგო ფარეიშვილი

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

თავი I. ზოგადი საკითხები

თავი II. მეწარმეობა

თავი III. არჩევნები

თავი IV. გადასახადები და მოსაკრებლები

თავი V. ბიუჯეტი

თავი VI. გარემოს დაცვა

თავი VII. განათლება

თავი VIII. ეკონომიკური საკითხები

თავი IX. დასაქმება

თავი X. თავდაცვა

თავი XI. ტურიზმი

თავი XII. კულტურა

თავი XIII. მიწით სარგებლობა, სოფლის მეურნეობა

თავი XIV. კავშირგაბმულობა

თავი XV. მართვა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

თავი XVI. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

თავი XVII. მშენებლობა

თავი XVIII. წარმომადგენლობითი ორგანოები, ლობირება

თავი XIX. პრივატიზება

თავი XX. საგზაო მეურნეობა

თავი XXI. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

თავი XXII. საკუთრება

თავი XXIII. სოციალური საკითხები

თავი XXXIV. სახელმწიფო სიმბოლოები

თავი XXV. ტრანსპორტი

თავი XXVI. ჯანდაცვა

თავი XXVII. ადმინისტრაციული წარმოება

თავი XXVIII. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები

თავი XXIX. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თავი XXX. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

თავი XXXI. რჩევები

თავი XXXII. გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა

## **თავი I. ზოგადი საკითხები**

### **1. რა არის თვითმმართველობა და რატომ გვჭირდება იგი?**

თვითმმართველობა – ეს არის ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, შესაძლებლობა, გადავწყვიტოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ჩვენ შეგვიძლია, თვითმმართველობის საშუალებით გადავჭრათ წყლით მომარაგების, დასუფთავების, გზების, კანალიზაციის, განათების, კეთილმოწყობის და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები. საქართველოში თვითმმართველობის გარდა სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც აღნიშნულ საკითხებს მოაგვარებს, არ არსებობს; უფრო მეტიც, სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ ამის უფლება. გარდა ამისა, ეფექტური თვითმმართველობა საჭიროა ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც.

### **2. რას გულისხმობს თვითმმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილება?**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში, აქვთ სრული თავისუფლება, განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითმმართველობას აქვს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების უფლება, რომელიც აკრძალული არ არის. პრინციპი „რაც აკრძალული არ არის, დასაშვებია“ გამოიყენება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის; საჯარო სამართლის სუბიექტებს შორის კი მოქმედებს პრინციპი „რაც დაშვებული არ არის, აკრძალულია“.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტია შემდეგი გარემოებები: 1. თვითმმართველობის ქმედებები არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებას; 2. თვითმმართველობის ქმედებები უნდა გამომდინარეობდეს მისი კომპეტენციიდან.

თვითმმართველობას აქვს უფლება, გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული ყველა საშუალება თავისი, კანონითვე განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ევროპული ქარტიის მე-11 მუხლის თანახმად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აქვთ უფლება, მიიღონ სამართლებრივი ზომები თავიანთი უფლებამოსილებების თავისუფალი განხორციელებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი პრინციპების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაცულია კონსტიტუციით ან შიდა კანონმდებლობით.

### **3. არის თუ არა მუნიციპალიტეტი ადგილობრივი მმართველობის სამართალმემკვიდრე?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის მხოლოდ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. იგი არ არის რაიონის გამგეობის (ადგილობრივი მმართველობის) სამართალმემკვიდრე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შეასრულოს თვითმმართველი ერთეულების ვალდებულებები.

ამასთანავე, ორგანული კანონის 65<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული რაიონის, იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, და თვითმმართველი ერთეულის 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები გადაეცემა შესაბამის თვითმმართველ ერთეულს. ამდენად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ რაიონის გამგეობის (ადგილობრივი მმართველობის) 2006 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით წარმოშობილი ვალდებულებები.

#### **4. როგორ უნდა განიმარტოს კანონი? არსებობს თუ არა ნორმის განმარტების რაიმე წესი, ხერხი?**

კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამისად. გაუმართლებელია კანონის ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვითი ინტერპრეტირება. ხერხების მიხედვით ნორმის განმარტება შეიძლება იყოს: გრამატიკული, სისტემატიკური, ისტორიულ-პოლიტიკური და ლოგიკური. კანონის ნორმის განმარტება უნდა მოხდეს სამართლის ნორმის აზრის გარკვევის მიზნით, ანუ იმის გასაგებად, თუ რა შინაარსი ჩადო მასში კანონმდებელმა.

#### **5. რა უნდა იყოს თვითმმართველობის შექმნის კრიტერიუმები?**

თვითმმართველობა გულისხმობს პირის შესაძლებლობას მიიღოს თვითმმართველ ერთეულში ყველა ის მომსახურება, რომლის მიღება შესაძლებელია სხვა თვითმმართველ ერთეულში. აღნიშნული გულისხმობს, რომ თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს სრული პოტენციალი მისცეს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს შესაძლებლობა მიიღოს განათლება, სამედიცინო მომსახურება, კომუნალური მომსახურება და სხვა. საქართველოშიც აღნიშნული კრიტერიუმი უნდა დაედოს საფუძვლად თვითმმართველობის შექმნას. რამდენი თვითმმართველი ერთეული უნდა შეიქმნას საქართველოში, რომ მათში მცხოვრებ პირებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები.

### **თავი II. მეწარმეობა**

#### **6. რა სახის იურიდიული პირების დაფუძნების უფლება აქვთ თვითმმართველ ერთეულებს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველ ერთეულებს უფლება აქვთ დააფუძნონ იურიდიული პირები \_ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება; მაგრამ კომანდიტურ საზოგადოებაში თვითმმართველი ერთეული არ უნდა იყოს პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი-კომპლემენტარი. მას ასევე არა აქვს უფლება, დააფუძნოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან კოოპერატივი. თვითმმართველი ერთეული

შესაძლებელია იყოს არასამეწარმეო იურიდიული პირის ერთ-ერთი ან ერთადერთი დამფუძნებელი. აღნიშნული იურიდიული პირების დაფუძნება ხელს უნდა უწყობდეს თვითმმართველობის კომპეტენციების განხორციელებას. თვითმმართველ ერთეულებს უფლება აქვთ დააფუძნონ მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითმმართველობის კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, კერძოდ, კანალიზაციის, დასუფთავების, გარე განათების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, გზების რეაბილიტაციის მიზნების მქონე იურიდიული პირები. ამდენად, თვითმმართველობას უფლება არა აქვს დააფუძნოს, მაგ., იურიდიული პირი, რომლის მიზანი იქნება მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგება, რადგან ეს არ განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველ ერთეულებს უფლება აქვთ ერთობლივად დააფუძნონ იურიდიული პირები და დამატკიცონ იურიდიული პირების წესდებები.

**7. სახელმწიფოს მიერ შექმნილია კომუნალური სფეროს (გარე განათების, დასუფთავების, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის) საწარმოები, რომელთა პარტნიორი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“. აღნიშნული საჯარო ამოცანების განხორციელება კი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება. ეწინააღმდეგება თუ არა ამ საწარმოების რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობას?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობისა და კანალიზაციის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. საწარმოთა მართვის სააგენტოს არა აქვს უფლება, სახელმწიფოს (სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის) სახელით ახორციელებდეს პარტნიორის უფლებამოსილებას აღნიშნულ საწარმოებში, რადგან მას, კანონმდებლობის თანახმად, არა აქვს უფლება, დაისახოს ის მიზნები და განახორციელოს ის საქმიანობები, რომლებიც კანონით მისი კომპეტენცია არ არის, მაგ., დააფუძნოს თვითმმართველობის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული სფეროს საწარმოები.

განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებამოსიანობა; იგი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა.

**8. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება გარკვეულ ადგილებში აკრძალოს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობები?**

დიახ. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, აგრეთვე ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ბილეთების (გარდა წამახალისებელი გათამაშების ბილეთებისა) გაყიდვა/გავრცელება საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით აკრძალულ ადგილებში (ტერიტორიულ ზონებში, შენობა-ნაგებობებში). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ის ადგილები (ტერიტორიული ზონები, შენობა-ნაგებობები), სადაც შესაძლებელია აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა (ტერიტორიული ზონებისა, შენობა-ნაგებობებისა).

**თავი III. არჩევნები**

**9. ვალდებული არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები, გამოყოფონ ადგილები საარჩევნო პლაკატების გასაკრავად?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, გამოყოფონ ადგილები ან/და დადგან სტენდები საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი უნდა იყოს იმ ზომის, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პლაკატების გამოფენისას უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით. დაუშვებელია და ამ კანონით დადგენილი წესით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული.

**10. რა ვადაში ქვეყნდება თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინფორმაცია საარჩევნო პლაკატების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ?**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გამოყოფილი საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშნებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

**11. ვალდებული არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები, გადასცენ საარჩევნო კომისიებს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობები და ინვენტარი?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს გადასცემენ დროებით, უსასყიდლოდ. ამასთანავე, ეს ორგანოები ვალდებული არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

**12. ვალდებული არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს, და თუ არიან – რა ფორმით?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.

**13. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დაამოწმოს საინიციატივო ჯგუფის მიერ შეგროვებული ხელმოწერები რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით?**

დიახ. „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელმოწერები უნდა შეგროვდეს საინიციატივო ჯგუფიდან შეთანხმებული და ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის დადგენილი ნიმუშის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არა უმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, მისამართი და ხელმოწერის თარიღი. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს, თავისი მისამართის მითითებით, ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში.

**14. რა წესით ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობა?**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 154-ე მუხლის შესაბამისად:

- თუ პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის

განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

- თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა. შ.. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.
- თუ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ არანაკლებ 5 წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, უახლოეს სექტემბერ-ოქტომბერში, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. თუ შუალედური არჩევნების ჩატარებამდე დარჩენილია 60 დღეზე ნაკლები, შუალედური არჩევნები ტარდება მომავალი წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 2 წელზე ნაკლები.
- შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს ცესკო. იგი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.
- შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატები იკავებენ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული გამოკლებული წევრების ადგილებს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

## **15. თბილისის საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენილი პირი შეიძლება თუ არა იმავდროულად წარდგენილი იყოს სხვა საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობისათვის?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 157-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს არჩევნებში კანდიდატად წარდგენილი პირი არ შეიძლება იმავდროულად წარდგენილი იყოს სხვა თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობისათვის. ასევე 136-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება კანდიდატად წარდგენილი იყოს ორი სხვადასხვა თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში.

## **16. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველობის მოხელეს მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო აგიტაციაში?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა სახელმწიფო და

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა, როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

**17. შეიძლება თუ არა საარჩევნო აგიტაციისათვის უსასყიდლოდ გამოყენებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება. ამ კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენებაზე, გარდა სახელმწიფო რწმუნებულებისა – გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირებისა, რომლებიც არჩეული არ არიან პირდაპირი არჩევნების გზით. ამ კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პოლიტიკური თანამდებობის პირია საკრებულოს წევრი. აქედან გამომდინარე საკრებულოს წევრის სამსახურებრივი ავტომანქანა შეიძლება უსასყიდლოდ იქნას გამოყენებული საარჩევნო აგიტაციისათვის.

**18. აქვს თუ არა უფლება საკრებულოს წევრს გასწიოს წინასაარჩევნო აგიტაცია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც ამ მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეს შეზღუდვა არ მოქმედებს ამ კანონით განსაზღვრულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელურადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება. ამ კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პოლიტიკური თანამდებობის პირია საკრებულოს წევრი.

**19. აქვს თუ არა უფლება საარჩევნო სუბიექტს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების შეჩერება?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც

მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევენამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგემური ტრანსფერების ინიცირება ან გემური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

**20. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველ ერთეულს დაბეჭდოს ისეთი მასალა, რომელშიც ასახული იქნება საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერი მასალა?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთი ბეჭდვითი მასალის დამზადება, რომელშიც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო მასალას. ასევე აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

**21. აკრძალულია თუ არა არჩევნების პერიოდში თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

**22. შეიძლება თუ არა საოლქო საარჩევნო კომისია განთავსდეს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია საკრებულო ან გამგეობა?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო და გამგეობა, პარტია (პარტიები), სასამართლო, პოლიციის სამსახური.

**23. შეიძლება თუ არა კენჭისყრის ადგილი გამოიყოს იმ შენობაში სადაც განთავსებულია საკრებულო?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია - სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უბნის

ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა ამ კანონის შესაბამისად კენჭისყრის ჩასატარებლად. სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია;

## **24. შეიძლება თუ არა თვითმმართველობის მოხელე იყოს დამკვირვებელი?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 39-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა: ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა; ბ) საქართველოს პარლამენტის წევრისა; გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა; დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა; ე) მოსამართლისა; ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა; ზ) პროკურატურის თანამდებობის პირისა; თ) საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა; ი) საარჩევნო კომისიის წევრისა.

## **25. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული საარჩევნო კომისიებს უსასყიდლოდ დაუთმონ შენობა?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს.

## **26. არჩევნების პერიოდში დაიშვება თუ არა ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია - ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

## **27. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი წინასაარჩევნო მოწოდებების ხელშეშლისას?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის შესაბამისად, 1. ამ კანონით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო- და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. 2. იგივე ემედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

## **28. შეიძლება თუ არა საკრებულოს წევრი გახდეს პირი, რომელსაც შეუსრულდა 20 წელი?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 134-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია უკანასკნელი 2 წელი მაინც.

## **29. საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლები მონაწილეობენ თუ არა საკრებულოს არჩევნებში?**

არა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 134-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და ქალაქ თბილისის მერის არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები ამომრჩევლები.

## **30. აქვს თუ არა 5 კაციან საინიციატივო ჯგუფს წარადგინოს კანდიდატი საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 141-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში; ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერით.

## **31. ვინ იწვევს საკრებულოს პირველ სხდომას?**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 151-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

**32. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, ითვლება თუ არა არჩეულად ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 149-ე მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს; თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

**თავი IV. გადასახადები და მოსაკრებლები**

**33. რა სახის გადასახადების შემოღების უფლება აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს უფლება აქვთ შემოიღონ მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები, ხოლო მე-6 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება ქონების გადასახადი.

**34. ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი და იხდის თუ არა ქონების გადასახადს პირი, თუ მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული?**

ქონების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს ქონება. ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შეძენა, ფლობა, განკარგვა და სარგებლობა შეუძლიათ პირებს. (საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 30-ე ნაწილი). ქონება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ბუნებრივია, ფიზიკური პირები არ არიან იმ ქონების გადასახადის გადამხდელები, რომელიც იურიდიულად არ არსებობს, როგორც ქონება.

**35. რომელი შემოსავლები შეიძლება ჩაირიცხოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში და რა ოდენობით?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ დანართის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შესაძლებელია ჩაირიცხოს:

1. ქონების გადასახადი - 100%;
2. პროცენტები (სარგებელი) ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან (ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა), სესხებიდან, დებიტორული დავალიანებიდან და სხვა შემოსავალი პროცენტებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის - 100%;
3. შემოსავალი დივიდენდებიდან (ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან) - 100%;
4. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი, გადახდილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის - 100%;
5. შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაში - 35%;
6. შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია - 100%;
7. შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან - 100%;
8. რენტა (გარდა მიწისა), გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
9. სანებართვო მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
10. საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცი-იმგრაციის საკითხების განხილვისათვის გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
11. სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
12. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
13. სატენდერო მოსაკრებელი - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი - 100%;
14. შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან - 100%;
15. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 10%;
16. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 100%;
17. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 100%;
18. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი - 100%;

19. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 100%;
20. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული და ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) - 100%;
21. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი - 100%;
22. შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემიდან - 100%;
23. შემოსავალი სხვა საქონლის რეალიზაციიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
24. შემოსავალი მომსახურებიდან, რომელიც გაწეულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
25. შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია - 35%;
26. შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია - 100%;
27. შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 100%;
28. შემოსავალი სხვა სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
29. შემოსავალი სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
30. შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან - 60%;
31. შემოსავალი გაცემული სესხის დაფარვის ვადის დარღვევისათვის გადახდილი საურავიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
32. შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან, გადახდევინებული გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
33. შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
34. შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემოწირულებებიდან და ქველმოქმედებიდან (გრანტების გარდა), განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის - 100%;

35. შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან - 100%;
36. ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავალი, მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ - 100%;
37. სახელმწიფო ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, რომლებიც განლაგებულია ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებისა, რომლიდან შემოსული თანხაც სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში) ტერიტორიაზე - 35%;
38. სახელმწიფო ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია - 100%;
39. შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან - 100%;
40. შემოსულობა სხვა მატერიალური მარაგების (ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია და შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი) გაყიდვიდან, განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
41. შემოსულობა ფასეულობების გაყიდვიდან, განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
42. შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე - 50%;
43. შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან - 100%;
44. შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე - 65%;
45. შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან - 100%;
46. შემოსულობა არაწარმოებული არამატერიალური აქტივებიდან (პატენტები, სალიზინგო ხელშეკრულებები და სხვა ანალოგიური კონტრაქტები, აგრეთვე შექმნილი გუდვილი), გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ - 100%;
47. შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან - 100%;
48. შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის - 100%;

**36. გასცემს თუ არა თვითმმართველობის ორგანო თანხმობას ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისა და ფინანსური მხარდაჭერის შესახებ?**

დიახ. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საწარმოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიმართ აქვს ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც არ აღემატება ამ ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების 5 პროცენტს, თანხმობას აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის შესახებ გაცემს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №236 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“.

### **37. თავისუფლდებიან თუ არა თვითმმართველი ერთეულები სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისაგან?**

დიახ. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისაგან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები თავისუფლდებიან ძირითადი ქონების რეგისტრაციისას, აგრეთვე მიწის ნაკვეთსა და მასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, რაც მოიცავს საკადასტრო რუკების მომზადებას, სააღრიცხვო ბარათების შევსებას, სარეგისტრაციო მოწმობების გაცემასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, რეგისტრაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

### **38. თავისუფლდებიან თუ არა თვითმმართველი ერთეულები მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის გადახდისაგან?**

დიახ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 25 იანვრის №13/ნ ბრძანების „მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

### **39. მიეცემა თუ არა ფასოდ საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოებს?**

დიახ. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანივთო უფლებათა საჯარო რეესტრში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე ამ უფლებათა მარეგისტრირებელ/აღმრიცხველ დაწესებულებებში არსებული ყველა ინფორმაცია დამოწმებული სახით, უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სასამართლოებს, ასევე მიწის რეგისტრაციის სისტემის ხელშემწყობ იურიდიულ პირებს.

#### **40. რამდენია სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის ძირითადი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების დამოწმების საზღაური?**

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის ძირითადი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების დამოწმების საზღაურია ერთი ლარი.

#### **41. რა სახის ადგილობრივი მოსაკრებლები არსებობს?**

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, არსებობს შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები: 1. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის; 2. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; 3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი. 4. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის. 5. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი. 6. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

#### **42. დადგენილია თუ არა მთავრობის მიერ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №277 დადგენილების „სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“ შესაბამისად, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებია:

- ა) ქალაქ თბილისში სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი პირის მიერ სამორინეში სათამაშო აპარატების სალონის მოწყობისათვის – 100 000 ლარი;
- ბ) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე (გარდა ამ დანართის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) – 1 000 000 ლარი;
- გ) თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი;
- დ) თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი;
- ე) თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი;
- ვ) თვითმმართველი ქალაქი ფოთის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- ზ) თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- თ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- ი) მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- კ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- ლ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- მ) ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;

- ნ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- ო) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- პ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- ჟ) სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი;
- რ) სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე – 50 000 ლარი.

#### **43. დადგენილია თუ არა მთავრობის მიერ ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები?**

დაიხ. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №500 დადგენილების „ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“ შესაბამისად, ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებია:

- ა) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი;
- ბ) თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;
- გ) თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;
- დ) თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი;
- ე) სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე – 40 000 ლარი.

#### **44. დადგენილია თუ არა მთავრობის მიერ აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები?**

დაიხ. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №175 დადგენილების „აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“ შესაბამისად, აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებია:

- ა) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – 50 000 ლარი;
- ბ) თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე – 30 000 ლარი;
- გ) თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე – 30 000 ლარი;
- დ) თვითმმართველ ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე – 30 000 ლარი;
- ე) სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე – 10 000 ლარი.

#### **45. რა სახის საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლები არსებობს?**

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებია: 1. სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი მოსაკრებლებისა); 2. სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი; 3. სარეგისტრაციო მოსაკრებელი; 4. სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი; 5. სახელმწიფო ბაჟი; 6. საკონსულო მოსაკრებელი; 7. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; 8. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი; 9. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

**46. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს შემოიღოს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ერთ სულ მოსახლეზე 4 ლარის ოდენობით?**

არა. საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“<sup>12</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს (მე-6 პუნქტი).

**47. რა თანხას არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს მიერ დაწესებული სატენდერო მოსაკრებელი?**

საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ მე-13 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივ სატენდერო მოსაკრებელს იხდის ის პრეტენდენტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას იღებს სატენდერო დოკუმენტაციას. საკრებულოს მიერ დაწესებული სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 150 ლარს.

**48. შეიძლება თუ არა საკრებულომ შემოიღოს ადგილობრივი გადასახადი მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო თავის კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შემოიღოს მხოლოდ ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის №50 დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს. მთავრობის დადგენილებით არ უნდა განისაზღვროს ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი. იგი უნდა დადგინდეს მხოლოდ კანონით.

**49. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული საგადასახადო ორგანოებს უსასყიდლოდ მიაწოდოს ინფორმაცია?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ - სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

**50. გათავისუფლებულია თუ არა თვითმმართველობა დღგ-ისაგან მის მიერ დაფუძნებული საწარმოდან აქტივების გამოტანისას?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 168-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია - სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის აქტივების გამოტანა იმ საწარმოს კაპიტალიდან, რომლის წილის/ აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია.

**51. გათავისუფლებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების საფასურის გადახდისაგან?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილების „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადებისდამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია - ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის და საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, აგრეთვე მათ სასარგებლოდ დადებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის, ცვლილების და შეწყვეტის, სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნით, ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, მათ საკუთრებაში არსებული მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეესტრაცია, საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეესტრაცია, როდესაც პრინციპალი არის სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეული ან საქართველოს ეროვნული ბანკი, ასევე მათ საკუთრებაში არსებულ ნივთზე (უფლებაზე) ამონაწერის და საკადასტრო გეგმის მომზადება და სარეგისტრაციოდ წარდგენილ სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობით დადებულ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება. ამ მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია - სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეული, საქართველოს ეროვნული ბანკი, აჭარის ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, იმ მეწარმის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეესტრაციის,

რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის, აგრეთვე ამონაწერის ან ინფორმაციის მომზადების მოთხოვნის შემთხვევაში, რომელშიც იგი წარმოდგენილია პარტნიორის/დამფუძნებლის სახით. საფასურის გადახდისგან გათავისუფლება ვრცელდება ასევე ამ სუბიექტების მონაწილეობით დადებულ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურებაზე;

## **52. თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას მოითხოვება თუ არა მიწის ნაკვეთის გეგმა?**

არა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-14 მუხლის 28-ე პუნქტის შესაბამისად, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოთხოვნილია სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ შედგენილი მიწის ნაკვეთის გეგმა არ მოითხოვება.

## **53. საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა თვითმმართველობისათვის გათავისუფლებულია თუ არა დღგ-ისაგან?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 168-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია სახელმწიფოსთვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

## **54. თავისუფლდება თუ არა ქონების გადასახადისაგან პირი, რომელიც ფლობს მიწას ოკუპირებულ ტერიტორიაზე?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია - პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედავით სარგებლობის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

## **55. თავისუფლდება თუ არა ქონების გადასახადისაგან ის პირი, რომლის მიწის ნაკვეთზე მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზე მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, ვვალვის, წყალდიდობის) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ – სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

**56. თავისუფლდება თუ არა ქონების გადასახადისაგან პირი, რომელსაც საკუთრებაში აქვს ავტოფარეხი?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 206-ე მუხლის პირველი პუნქტის „3<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია - თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში; ასევე ამ პუნქტის „3<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია - მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი);

**თავი V. ბიუჯეტი**

**57. უფლებამოსილია თუ არა ფინანსთა სამინისტრო, ზედამხედველობა და კოორდინაცია გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას?**

არა. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამ კანონის 75-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო.

**58. რომელი ორგანოა პასუხისმგებელი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა სრულად და სწორად აღრიცხვისათვის?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა სრულად და სწორად აღრიცხვისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ხაზინა.

**59. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს სესხის აღების უფლება?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი მხოლოდ

საქართველოს მთავრობისაგან ან/და სხვა წყაროებიდან საქართველოს მთავრობის ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **60. რას ნიშნავს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 65-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია: კანონით განსაზღვრული საკუთარი შემოსულობებითა და ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ხარჯების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით; აგრეთვე დელეგირებულ უფლებამოსილებათა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

## **61. რა წესით უნდა მოხდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად:

- ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს (მერს).
- ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არა უგვიანეს 10 დეკემბრისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის (გარდა ქ. თბილისისა) გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, ხოლო ქ. თბილისის მერი ამავე ვადაში წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის 1/2-ით, ხოლო ქ. თბილისში – წარმომადგენლობითი ორგანოს 2/3-ით შესაძლებელია დამტკიცდეს წარმომადგენლობითი ორგანოს ფრაქციის ან/და სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი,

რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისათვის (მერისათვის) გაგზავნილი შენიშვნები.

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების 1/12-ისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმომადგენლობით ორგანოს შეუწყვიტოს უფლებამოსილება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ უნდა მოიცავდეს ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.
- ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს.
- წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

## **62. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული ბიუჯეტი და რა პრინციპების დაცვა ევალება თვითმმართველ ერთეულს საბიუჯეტო პროცესში?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ მე-4 მუხლის შესაბამისად, საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები: ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში; ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის; გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე; დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; ე) ერთიანობა – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით,

აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა; ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ზ) კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, გაერკვეს და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში. ყოველი დასაფინანსებელი პროექტი საკრებულოს უნდა წარედგინოს წერილობით. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ხარჯების მიზნისა და მათი გაწევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, დაფინანსების მოცულობის, დაფინანსების წყაროების, სესხის ოდენობისა და დაფარვის ვადის ჩვენებით, თუ ასეთი გათვალისწინებულია პროექტით. ბიუჯეტის პროექტის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 210-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ამ წესის დარღვევით მიღებული საკრებულოს გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველი ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ შესაძლებელია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად ბათილად გამოცხადდეს.

საქართველოს კანონის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები უნდა დაიგეგმოს პროგრამულ საფუძველზე, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

### **63. როდის უნდა მოხდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

86-ე და 87-ე მუხლების თანახმად:

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებისა;

ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ვ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების შესახებ;

ზ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

#### **64. შესაძლებელია თუ არა, ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან ერთ ან რამდენიმე მხარჯავ დაწესებულებაზე გადანაწილდეს ასიგნებები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გარეშე?**

არა. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს სარეზერვო ფონდში, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში გათვალისწინებული ასიგნებები.

#### **65. უფლებამოსილია თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად გადანაწილოს თანხები მხარჯავ დაწესებულებებზე?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს სარეზერვო ფონდში, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში გათვალისწინებული ასიგნებები.

#### **66. თუ სახელმწიფო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც გამოიწვია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემცირება, უნდა მიეცეს თუ არა თვითმმართველობას კომპენსაცია?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების,

აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ.

## **67. რას ნიშნავს გამოთანაბრებითი ტრანსფერი?**

საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 71-ე მუხლის შესაბამისად ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გადაეცემა გამოთანაბრებითი ტრანსფერი. გამოთანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გამოთანაბრება (მე-2 და მე-3 პუნქტები);

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება (გამოთანაბრებითი ტრანსფერი) არ შეიძლება იყოს მიზნობრივი. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებით განკარგოს აღნიშნული ფინანსური რესურსები.

## **68. რამდენს შეადგენს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი 2012 წელს?**

საქართველოს კანონის „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მე-16 მუხლის შესაბამისად განისაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები 829 980.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან თვითმმართველი ქალაქი თბილისისათვის 445.000.0 ათასი ლარის ოდენობით.

## **69. ახორციელებს თუ არა კონტროლის პალატა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კონტროლს?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულებას და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას. ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 57-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. საქართველოს კანონის „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონტროლის პალატა უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე

იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება. ამ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კონტროლის პალატა 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ.

## **70. როგორ ხდება თვითმმართველობებისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა?**

საქართველოს კანონის „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

## **71. თვითმმართველი ერთეულების საკუთრების განკარგვის კანონიერებას ამოწმებს თუ არა კონტროლის პალატა?**

დიახ. საქართველოს კანონის „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონტროლის პალატა ამოწმებს – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას;

## **72. რა წესით ხელმძღვანელობს თვითმმართველობის ორგანო უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებისას?**

უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის №166 ბრძანებით „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

## **73. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო გახსნას საბანკო ანგარიში ხაზინის ნებართვის გარეშე?**

არა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №916 ბრძანების „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად, სამთავრობო დაწესებულებები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სახელმწიფო ხაზინის

ნებართვის გარეშე არ არიან უფლებამოსილი გახსნან და იქონიონ ბიუჯეტის შემოსულობათა საბანკო ანგარიშები. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №2 4/04 ბრძანება „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციას და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე; ბ) საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა; გ) დაწესებულების უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში. ხელმოწერის უფლება ენიჭება პირს, რომელსაც ზემდგომი (უმაღლესი) ორგანოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს უფლება განკარგოს თანხები, ასევე ამ პირის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს; დ) საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში – სახაზინო სამსახურის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობა ანგარიშის გახსნის და/ან თანხის განკარგვის შესახებ.

#### **74. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული ეროვნულ ბანკს აცნობოს აღებული სავალო ვალდებულებების შესახებ?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „ეროვნული ბანკის შესახებ“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალურმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა აცნობონ ეროვნულ ბანკს აღებული სავალო ვალდებულებების შესახებ.

### **თავი VI. გარემოს დაცვა**

#### **75. გასცემს თუ არა თვითმმართველი ერთეული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობას?**

დიახ. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 24 ივნისის №96 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარეების, მათ შორის კაკლის, ბალაშვარის, წაბლისა და თუთის სახეობების (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა, რომელიც ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის კანონიერად წარმოშობის დადასტურების მიზნით, უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილის შესახებ (მისამართი ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით); ბ) ხე-მცენარეებიდან მიღებული მორის რაოდენობა, თითოეული მორის – ჯიში (სახეობა), მორის სიგრძე, მორის დიამეტრი წვრილი ზოლოდან, ხოლო ხე-მცენარეების (მათ შორის მწვანე ნარგავების) შემთხვევაში: მათი ჯიში (სახეობა), რაოდენობა; გ) ხე-მცენარეების მესაკუთრის მონაცემების (ფიზიკური

პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი) შესახებ.

**76. აქვს თუ არა თვითმმართველობას გარეული ცხოველების რეგულირების უფლება?**

დიახ, ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 4 მარტის №247 ბრძანების „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, რეგულირების ღონისძიება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სამინისტროს შორის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებით.

**77. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ სფეროში?**

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს დაცვის, მათი აღდგენითი და შენარჩუნების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

**78. უნდა იქნეს თუ არა სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების საზღვრები დამტკიცებამდე შეთანხმებული თვითმმართველ ერთეულებთან?**

დიახ. „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების საზღვრებს შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსა და თვითმმართველ ერთეულებთან შეთანხმებით შეიმუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საექვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

**79. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების ცალკეულ სახეობათა ექსპლუატაცია?**

დიახ. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში (გარდა ამ ტერიტორიაზე გამავალი საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების სატრანსპორტო მაგისტრალისა) შეუძლიათ შეზღუდონ ან აკრძალონ სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებების ცალკეულ სახეობათა

ექსპლუატაცია. ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო იღებს შესაბამისი ნორმატიული აქტით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია განიხილოს ნებისმიერი წერილობითი წინადადება, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებების ცალკეულ სახეობათა ექსპლუატაციის შეზღუდვასთან ან აკრძალვასთან. ამგვარი წინადადების განხილვის შედეგების შესახებ მისი მიღებიდან ორი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წინადადების წარმდგენს.

**80. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, შეზღუდოს ან აკრძალოს ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების მცირე მასშტაბის წყაროების ცალკეულ სახეობათა განთავსება, დამონტაჟება და ექსპლუატაცია?**

დიახ. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში შეუძლიათ შეზღუდონ ან აკრძალონ ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების მცირე მასშტაბის წყაროების ცალკეულ სახეობათა განთავსება, დამონტაჟება და ექსპლუატაცია. ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო იღებს შესაბამისი ნორმატიული აქტით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების მცირე მასშტაბის წყაროების ცალკეულ სახეობათა განთავსების, დამონტაჟებისა და ექსპლუატაციის შეზღუდვასთან ან აკრძალვასთან დაკავშირებული ნებისმიერი წერილობითი წინადადება. ამგვარი წინადადების განხილვის შედეგების შესახებ მისი მიღებიდან ორი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წინადადების წარმდგენს.

**81. განეკუთვნება თუ არა ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას?**

დიახ. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან შეიმუშაონ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს დასამტკიცებლად წარუდგინონ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებათა საკოორდინაციო გეგმები, აგრეთვე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შედეგების სალიკვიდაციო გეგმები. ამგვარი გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და განხორციელების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

**82. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დააწესოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის განსაკუთრებული მოთხოვნები?**

დაიხ. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგების მიხედვით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა რეკომენდაციის საფუძველზე შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილზე ატმოსფერული ჰაერის დაცვის განსაკუთრებული მოთხოვნების გავრცელებისა და დაწესების შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტით, რომელიც უნდა მოიცავდეს ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩამონათვალს, რომლებიდან გაფრქვევაც იზღუდება ან იკრძალება.

### **83. რა უფლებები აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში?**

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

- ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის უშუალოდ განმახორციელებელი დაწესებულებიდან მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;
- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიტანონ წინადადებები ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაუმჯობესების თაობაზე;
- ხელი შეუწყონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების განხორციელებას;
- მონაწილეობა მიიღონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხილვასა და მიღებაში;
- მიიღონ ანაზღაურება მათთვის მიყენებული ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ;
- სასამართლო წესით მოითხოვონ ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა;
- აღძრან სარჩელი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მათ მიერ მხილებული იქნებიან ამ კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევაში.

### **84. რა ვალდებულებები აკისრიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში?**

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან: ა) დაიცვან ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში დადგენილი მოთხოვნები; ბ) მოსალოდნელი ან მომხდარი ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობონ სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადონ საჯაროდ.

აღნიშნული ვალდებულებები ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზეც.

**85. უნდა ეცნობოს თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს ჰიდროელექტროსადგურიდან დასატბორი ტერიტორიის საზღვრები?**

დაიხ. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2010 წლის 4 ოქტომბრის №52 ბრძანების „ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“ მე-14 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ექსპლუატაციის მწარმოებელი ორგანიზაცია ვალდებულია დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წერილობით აცნობოს ჰიდროკვანძების ნაგებობებში გასატბორელი წყლის საანგარიშო ხარჯებით დასატბორი ტერიტორიების საზღვრები და წლიური რეგულირების წყალსაცავებით დატბორვის ზონები. გარდა ამისა, მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბიეფებში დიდი ტალღების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად წყალსადგებ ნაგებობებში გამავალი წყლის ხარჯის ცვლილება უნდა წარმოებდეს თანდათანობით. წყლის ხარჯის ცვლილების სიჩქარე უნდა განისაზღვროს ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე ჰიდროკვანძის ქვედა ბიეფში მოსახლეობის და სახალხო მეურნეობის უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით. წყლის ხარჯის მოსალოდნელი მკვეთრად შეცვლის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

**86. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო მართოს დაცული ტერიტორია?**

დაიხ. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნასა და მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენცია განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხლი 5).
- კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას მართავს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (27-ე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტი).

საქართველოს კანონის „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

**87. შეიძლება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინების საფუძველზე ეროვნულ პარკში იჯარით გაიცეს საძოვარი?**

დაიხ. საქართველოს კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ მე-12 მუხლის 2<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და აღკვეთილის ცალკეულ უბნებში დაშვებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინების საფუძველზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი და საძოვარი) მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა არა უმეტეს 10 წლისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **88. რა წესის დაცვით უნდა მოხდეს ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია?**

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნაგავსაყრელების ექსპლუატაციის დროს დაცული უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესები. ნაგავსაყრელების ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესები განისაზღვრება ინსტრუქციით „ნაგავსაყრელების ექსპლუატაციისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ“, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი.

## **89. რა მიზნით იქმნება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი?**

„ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 23 მაისის №105 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი არის ტყის ფონდი, რომელიც საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## **90. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში?**

საქართველოს ტყის კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

- ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;
- ადგილობრივი ტყის ფონდით სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემა;

- უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
- მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა;
- უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**91. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველ ერთეულს გასცეს მის საზღვრებში არსებული ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის პირველადი გადამუშავების მიზნით მერქნული რესურსის შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტი?**

არა. საქართველოს ტყის კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულისა და კერძო საკუთრების ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეებიდან მიღებული მერქნული რესურსის პირველადი გადამუშავების მიზნით მერქნული რესურსის შესაბამის წარმოშობის დოკუმენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს ბუნებრივი რესურსების სააგენტო.

**92. შეიძლება თუ არა გამოიყოს ტყეკაფი თვითმმართველობის ორგანოების მიმართვის საფუძველზე?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შე სახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის თანხმობით) ან სამთავრობო დაწესებულებების მომართვის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ლიცენზიის გარეშე გამოყოს ტყეკაფი შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებისათვის, ან მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის, ან მათ მიერ დასახელებული პირისათვის, შესაბამისი ვადით.

**93. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველობის ორგანოს სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის შეცვლის ინიციატორი?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილების „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ მე-4 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების შესახებ საკითხის განხილვას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იწყებს ფიზიკური, იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან დაწესებულებების, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების ინიცირების საფუძველზე.

#### 94. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში?

„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განეკუთვნება: ა) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა; ბ) სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა; გ) მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერა მისი უფლებამოსილების განხორციელებაში, მათ იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიებზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში; დ) მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დახმარების გაწევა; ე) მათ იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიებზე მომეტებული რადიაციული რისკის ბირთვული და რადიაციული ობიექტების განთავსებაზე ან მათი ექსპლუატაციის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა. გარდა ამისა კანონის 23-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კავშირის ორგანიზება ბირთვული და რადიაციული ავარიების შესახებ დროული შეტყობინებისათვის;

#### 95. რა უფლებამოსილებებს ანიჭებს თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“?

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის რაციონალურად გამოყენების და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლით უნებართვო სარგებლობის და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლი;
- წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის სახელმწიფო აღრიცხვა, მისი გამოყენების რეგისტრირება;
- საქართველოს წყლების გამოყენებისა და დაცვის ერთიანი, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში მონაწილეობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის სახელმწიფო ფონდის განკარგვა და მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაციისათვის მიწის მინაკუთვნის გამოყოფა წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული სქემების, ლიმიტებისა და პროგრამების ფარგლებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის,

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში, წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფით დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა მათი კომპეტენციის ფარგლებში;
- წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წყლის დაცვის ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო, ხოლო მათი კომპეტენციიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან.

მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, იმ საწარმოს, ნაგებობისა და სხვა ობიექტის მშენებლობის ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, უნდა შეთანხმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

21-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გააცნონ მოსახლეობას წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონისა და მისი სარტყლების საზღვრები, აგრეთვე ამ ზონის ფარგლებში მოქმედი რეჟიმი.

მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს მის მიერ დადგენილი საერთო წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობები.

## **96. განეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის უფლებამოსილებას იმ წყლის ობიექტების დადგენა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის?**

დიახ. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტები გამოიყენება იმ ადგილებში, რომლებსაც ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სამინისტროსა და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო სანაოსნო გზებზე – ნაოსნობის მომწესრიგებელ ორგანოებთან შეთანხმებით;

## **97. სგანეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის უფლებამოსილებას იმ წყალსამეურნეო ნაგებობის იმ ადგილების დადგენა, სადაც შესაძლებელია საქონლის გადარეკვა?**

დიახ. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის გადარეკვა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გავლა არხებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებზე დაშვებულია იმ ადგილებში, რომლებსაც ადგენენ ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოები სამინისტროსა და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით;

**98. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროში?**

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობენ ცხოველთა სამყაროს დაცვაში, აღწარმოებენ და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის რეგულირებაში, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებასა და აღდგენაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**99. შეიძლება თუ არა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით მოსარგებლე იყოს თვითმმართველი ერთეული?**

არა. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ცხოველთა სამყაროს ობიექტებით მოსარგებლე სუბიექტი არ შეიძლება იყოს საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების სახელმწიფო უწყება და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანო, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**100. უნდა იქნას თუ არა მიწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვაზე თვითმმართველი ერთეული?**

დიახ. საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევა. ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა ეწყობა იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

**თავი VII. განათლება**

**101. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს პროფესიული სწავლების ცენტრის შექმნის უფლება?**

დიახ. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, პროფესიული განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) ხელს უწყობენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედებას, უფლებამოსილი არიან, განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებით განსაზღვრული წესით მონაწილეობენ მათ მართვაში; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;

ბ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **102. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება თუ არა შევიდნენ თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები?**

დიახ. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შევიდნენ დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების მშობელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები.

## **103. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დააფინანსოს საჯარო სკოლის კაპიტალური ხარჯები?**

დიახ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სკოლის კაპიტალურ ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან/და საჯარო სკოლა.

## **104. განეკუთვნება თუ არა დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების და სპეციალური მიზნობრივი სასწავლო პროგრამების დაფინანსება თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციას?**

დიახ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად:

ა) თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, სამეურვეო საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს მიმართავს ამ მოსწავლის სწავლების დაფინანსების გაგრძელების თხოვნით. დაფინანსება შეიძლება გაგრძელდეს მოსწავლის მიერ საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევაზე. ამ შემთხვევაში საჯარო სკოლა ვალდებულია შეისთავაზოს მოსწავლეს ზოგადი განათლების მიღება ალტერნატიული ფორმებით.

ბ) თუ მოსწავლემ 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, მისი მიმართვის საფუძველზე სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია

მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაფინანსების გახანგრძლივების თხოვნით. ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შეარჩიოს სწავლის გაგრძელების კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ფორმა.

სამეურვეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიძლება აანაზღაუროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ხარჯები. სახელმწიფომ, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება დააფინანსონ სპეციალური მიზნობრივი სასწავლო პროგრამები.

### **105. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დააფინანსოს სახელოვნებო და სასპორტო მომზადება და განათლება?**

დიახ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მოპოვების მიზნით, რომლებიც ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად უზრუნველყოფენ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შესაბამისი დარგობრივი სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ამ დაწესებულებებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს ავტორიზაციის/აკრედიტაციის განსხვავებული პირობები. ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებასა და განათლებას, მათ შორის, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, აფინანსებს დარგობრივი სამინისტრო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

### **106. რა უფლებამოსილებები აქვს თვითმმართველობის ორგანოს ზოგადი განათლების სფეროში?**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო:

ა) ხელს უწყობს სკოლას ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში და ამ მიზნით იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესასრულებლად საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრების ოდენობას;

ბ) ხელს უწყობს საჯარო სკოლებში სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებას;

გ) უზრუნველყოფს მოსწავლეთა კოორდინირებულ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას;

დ) იღებს ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად;

ე) იღებს ზომებს იმ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირებას;

ზ) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს მოსწავლეთა სკოლაში დასწრების უზრუნველსაყოფად;

თ) უფლებამოსილია გამოითხოვოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების განკარგავსთან არის დაკავშირებული;

ი) 30-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში ფინანსური დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიმართოს სკოლის სამეურვეო საბჭოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენების წინადადებით, ხოლო სამეურვეო საბჭოს უმოქმედობის შემთხვევაში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ან/და დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებით;

კ) უფლებამოსილია მის ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში დანიშნოს სამეურვეო საბჭოს წევრი;

ლ) აფუძნებს სკოლამდელ სააღმზრდელო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლოსააღმზრდელო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **107. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო დაფუძნოს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულება?**

დაიხ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ამტკიცებს ამ დაწესებულების წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მის ხელმძღვანელს.

### **108. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უფლება?**

არა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ კერძო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება, წილის (აქციის) ფლობა, ან წევრობა.

### **109. რა როლი აკისრიათ თვითმმართველობის ორგანოებს საბიბლიოთეკო საქმის მართვაში?**

„საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საბიბლიოთეკო საქმიანობას ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად. 25-ე მუხლის შესაბამისად საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზნობრივ პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო, ლოკალური მნიშვნელობის პროგრამებს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან უწყება.

#### **110. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენის უფლება?**

დიახ. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენის უფლება აქვს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. გარდა ამისა მოსწავლეთა თვითმმართველობის, სკოლის დირექციის, სკოლის სამეურვეო საბჭოს; პედაგოგიურ საბჭოს; იმ თვითმმართველ ერთეულში მკვიდრის, რომელშიც მდებარეობს სკოლა ინიციატივას საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თანხმობა.

#### **111. მაგისტრალური მილსადენის აღდგენითი სამუშაოების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 ბრძანებულების „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თუ მაგისტრალური მილსადენის საავარიო-აღდგენით სამუშაოთა წარმოება მოითხოვს გზის საფარის მოხსნას, შესაბამისი სამუშაოების დაწყებამდე ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსა და გზის მფლობელი პირების შეტყობინება სამუშაოთა წარმოების პროცესში მათი წარმომადგენლების დასწრების უზრუნველყოფის მიზნით; სამუშაოთა წარმოების ადგილი უნდა შემოიფარგლოს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გამაფრთხილებელი ნიშნებით. გზის საფარის აღდგენით სამუშაოებს ოპერატორი ახორციელებს საკუთარი ხარჯით.

### **თავი VIII. ეკონომიკური საკითხები**

## **112. რომელი ორგანო ახორციელებს ბაკურიანის, გუდაურის და ქალაქ ბორჯომის ტერიტორიებზე მიწის განკარგვას და მშენებლობის ნებართვის გაცემას?**

„ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბაკურიანისა და გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიებზე, აგრეთვე ქალაქ ბორჯომის ტერიტორიაზე მიწის (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა) განკარგვას, მშენებლობის ნებართვის გაცემასა და მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობას, გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების მოვლა-პატრონობას, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო სამსახურების მუშაობის უზრუნველყოფას, აგრეთვე ტურიზმის ხელშეწყობისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოახდინოს ამ უფლებამოსილების განსაზღვრული ვადით დელეგირება თვითმმართველ ერთეულზე.

## **113. უფლებამოსილია თუ არა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული განახორციელოს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებული მიწის განკარგვა?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 აპრილის №192 დადგენილების „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ შესაბამისად, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მიწის (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწებისა) განკარგვის, ქონების პრივატიზების, მშენებლობის ნებართვების გაცემისა და მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობის განხორციელების, გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების, სამთო-სათხილამურო და საბაგირო გზების განვითარებისა და მოვლა-პატრონობის, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო სამსახურების მუშაობის უზრუნველყოფის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზების (პარკირება, დასუფთავება და ა.შ.) უფლებამოსილება 5 წლის ვადით, თანდართული ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცა ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს. გარდა ამისა, გუდაური სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში არ მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამ დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

## **114. აქვს თუ არა თვითმმართველობას ფასიანი ქაღალდების შეთავაზების უფლება?**

დიახ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საჯარო შეთავაზება არასამთავრობო ემიტენტების, მათ შორის,

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

თვითმმართველობის მიერ ფასიანი ქვალადების გამოშვების საკითხები საქართველოს კანონმდებლობით დამატებით რეგულირებას საჭიროებს.

#### **115. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს გრანტის მიღების უფლება?**

დიახ. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

#### **116. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს გრანტის გაცემის უფლება?**

არა. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული არ შეიძლება იყოს გრანტის გამცემი (დონორი).

#### **117. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს სესხის გაცემის უფლება?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბუიჯეტო კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

#### **118. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს აუდიტის მოწვევის უფლება?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს გადაწყვეტილებით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ მიიღება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება საქართველოს კონტროლის პალატას და ქვეყნდება საჯაროდ.

#### **119. აქვს თუ არა საკრებულოს საგანგებო ბიუჯეტის დაამტკიცების უფლება?**

დიახ. საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის;

#### **120. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობა შექმნას სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი?**

დაახ. საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შიდა აუდიტის სუბიექტი იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგებობებში (მერიებში), შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

**121. უფლებამოსილია თუ არა საინვესტიციო სააგენტო, თვითმმართველობის ორგანოებს ჩაუტაროს ტრენინგები და სემინარები?**

დაახ. „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების მომზადება, საინვესტიციო ურთიერთობებში მონაწილე პირთათვის, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირებისათვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება.

**122. როგორ უნდა განისაზღვროს ქალაქების, რაიონების მაკრომდებარეობის ინდექსები, ტერიტორიების ზონირება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი?**

აღნიშნული საკითხები რეგულირდება საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 25 იანვრის №6/18 ერთობლივი ბრძანებით „საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის ინდექსების, ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდიკის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით ადგენს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.

**123. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, საჯარო მოსამსახურეს გადასცეს საჩუქარი, რომელიც აღემატება 300 ლარს?**

არა. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საჩუქრად“ არ ჩაითვლება საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს.

**124. ვალდებულია თუ არა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და გამგებლის მოადგილე შეავსოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია?**

არა. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 იანვრის №22 ბრძანებულების „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ 24-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული დეკლარაციის შევსება ევალებათ შემდეგ თანამდებობის პირებს:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
- ბ) თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე.
- გ) მუნიციპალიტეტის გამგებელი, მისი პირველი მოადგილე;
- დ) თვითმმართველი ქალაქის მერი, მისი პირველი მოადგილე;
- ე) ქ. თბილისის რაიონის გამგებელი, მისი პირველი მოადგილე.

**125. რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგია არის თუ არა დამტკიცებული?**

დიახ. აღნიშნულ საკითხზე არსებობს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“.

**126. ვალდებულია თუ არა გამგებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №66 დადგენილების „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანომმა (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან – გუბერნატორებთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2012 წლის 15 ნოემბრამდე უნდა წარუდგინონ ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ და პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტი შესაბამისად №3 და №4 დანართების მიხედვით.

**თავი IX. დასაქმება**

**127. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, დააფინანსოს საზოგადოებრივი სამუშაოები?**

დიახ. „საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზების შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №87 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების პირველი და მე-2 მუხლების შესაბამისად:

საზოგადოებრივ სამუშაოდ ითვლება ისეთი სამუშაო, რომელიც არ საჭიროებს დასასაქმებელი უმუშევარი პირის განსაკუთრებულ პროფესიულ მომზადებას და რომლის მიზანია ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა სამუშაოების ობიექტების რეკონსტრუქცია, მშენებლობა ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღება-დაბინავება.

საზოგადოებრივი სამუშაოების განხორციელების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 6 თვეს.

საზოგადოებრივ სამუშაოთა განხორციელების ობიექტი შეიძლება იყოს:

- საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია;
- სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება;
- კულტურის სახლი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო საშუალება და სხვა საზოგადოებრივი სარგებლობის კულტურისა და სასპორტო ცენტრი;
- ადგილობრივი გზა, სარწყავი და სასმელი წყალგაყვანილობის სისტემა;
- სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები.

საზოგადოებრივი სამუშაოები შეიძლება ასევე განხორციელდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით ტერიტორიის დასუფთავების, გამწვანება-განაშენიანების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღება-დაბინავების მიზნით.

საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზებასთან დაკავშირებული პროექტის ინიციატორი შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

## **128. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული დაამტკიცოს დასაქმების პროგრამა?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება „დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება“.

## **თავი X. თავდაცვა**

### **129. რომელ მუნიციპალიტეტებში მოქმედებს საგანგებო მდგომარეობა?**

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 ოქტომბრის №497 ბრძანებულების „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს შემდეგ ადგილებში:

- ა) გაგრის რაიონი;
- ბ) გუდაუთის რაიონი;
- გ) ქ. სოხუმი და სოხუმის რაიონი;
- დ) გულრიფშის რაიონი, მათ შორის, აჟარის თემი (აჟარა, გენწვიში, ჩხალთა);
- ე) ტყვარჩელის რაიონი;
- ვ) ოჩამჩირის რაიონი;
- ზ) გალის რაიონი;
- თ) ქ. ცხინვალი და ცხინვალის რაიონი, მათ შორის, ქუთთისა და ერედვის თემები;
- ი) ჯავის რაიონი;
- კ) ზნაურის რაიონი;
- ლ) ახალგორის რაიონი;
- მ) საჩხერის რაიონის სოფელი პერევი.

### **130. რომელი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება პირის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევად გამოძახება და შემკრებ პუნქტში მიყვანა?**

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევად გამოიძახებს და შემკრებ პუნქტში მიიყვანს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

### **131. რომელი ორგანო ახორციელებს სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას?**

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ვალდებულია რეზერვისტთა შესახებ სააღრიცხვო ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს რეზერვისტთა გამოძახებასა და შემკრებ პუნქტებში მიყვანას.

### **132. რა ვალდებულებები აკისრიათ თვითმმართველობის ორგანოებს მობილიზაციისას?**

„მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან შეთანხმებით ახორციელებენ სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა დაგროვების, შენახვის, მიწოდების, გაცემის, განახლების, შეცვლის, ჯავშნიდან მოხსნის, გაშვების ოპერაციებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ახორციელებენ სამობილიზაციო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა შენახვას (სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებულ საცავებში), მომსახურებას და მასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას, აგრეთვე მატერიალურად საპასუხისმგებლო შენახვის კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ახორციელებენ სამობილიზაციო მარაგის, სამობილიზაციო და სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების, აგრეთვე სურსათის, სამედიცინო საქონლის, ნავთობპროდუქტების ხელშეუხებელი, შეუმცირებელი მარაგების შექმნას, დაგროვებას, შენახვას, განახლებას;
- სამობილიზაციო რეზერვების შექმნის მიზნით დებენ ხელშეკრულებებს საწარმოებთან, მათ მიერ სამობილიზაციო დავალებების (შეკვეთების) შესრულების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისათვის,

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- ორგანიზებას უწევენ და უზრუნველყოფენ სამობილიზაციო მომზადებასა და საქმიანობას;
- უზრუნველყოფენ ამ კანონის შესრულებას, ასევე საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების სხვა აქტების განხორციელებას სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის სფეროში;
- ამუშავებენ ადგილობრივ სამუშაო გეგმებს;
- ახორციელებენ ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებებს;
- აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან შეთანხმებით ახორციელებენ ღონისძიებებს სამობილიზაციო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- საწარმოებთან დებენ ხელშეკრულებებს პროდუქციის მიწოდების, სამუშაოების შესრულების, ძალებისა და საშუალებათა გამოყოფის შესახებ და სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის ღონისძიებების განსახორციელებლად მომსახურების გაწევას;
- მობილიზაციის გამოცხადების შემთხვევაში ორგანიზებას უწევენ დადგენილი წესით სამხედრო სამსახურში გაწვევას, მოქალაქეთათვის შეტყობინებას და მათ გამოცხადებას შეკრების პუნქტებში ან სამხედრო ნაწილებში, ასევე სამობილიზაციო გეგმებით გათვალისწინებული მისაწოდებელი ტექნიკის, შენობა-ნაგებობების, კომუნიკაციების, მიწის ნაკვეთების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა სამობილიზაციო რეზერვების, მატერიალურ ფასეულობათა გადაცემას საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს წარუდგენენ წინადადებებს სამობილიზაციო მომზადებისა და მობილიზაციის განხორციელების სრულყოფის საკითხებზე.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მობილიზაციის დროს საქართველოს პრეზიდენტი აწესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის რეჟიმს.

აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირები პერსონალურად არიან პასუხისმგებელი მობილიზაციისას და მობილიზაციისათვის მზადყოფნისას მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის.

### **133. ქმნიან თუ არა მობილიზაციის დროს თვითმმართველობის ორგანოები სამობილიზაციო ორგანოებს?**

დიახ. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც აქვთ სამობილიზაციო დავალებები (დაკვეთები) ან დასახული აქვთ სამობილიზაციო სამუშაოების ჩატარების ამოცანები, სამობილიზაციო ღონისძიებების ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით თავიანთ სტრუქტურაში ქმნიან სამობილიზაციო ორგანოებს. სამობილიზაციო ორგანოების ხელმძღვანელები უშუალოდ ექვემდებარებიან ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს. სამობილიზაციო ორგანოებისა და სამობილიზაციო მოსამსახურეთა დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ხორციელდება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან.

### **134. აკისრიათ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება?**

დაიხ. „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

- კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სამხედრო ძალების საჭიროებისათვის მობილიზაციის დროს წესდება სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება.
- სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შექმნილ სამობილიზაციო რეზერვების შემადგენლობაში არსებულ სახელმწიფო საავტომობილო, საჯარისო ტიპის ავტოკოლონებზე, რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, მილსადენი, საჭაპანო და სასაპალნე ტრანსპორტის საშუალებაზე, მოტოციკლებზე, სარეწ და სპეციალურ გემებზე, ტრაქტორებზე, მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებზე, საგზაო-სამშენებლო და ამწესატრანსპორტო მანქანებსა და მექანიზმებზე, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრე მოქალაქეებზე (შემდგომი ანაზღაურების პირობით). სამხედრო-სატრანსპორტო ვალდებულება ვრცელდება აგრეთვე ნავსადგურებზე, ნავმისადგომებზე, აეროპორტებზე, ნავთობბაზებზე, საწვავის გადასატუმბ ბაზებზე, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებსა და სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის უზრუნველყოფ სხვა ორგანიზაციებზე.
- საქართველოს სამხედრო ძალების სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა ამოღება აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, სახელმწიფო საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ხორციელდება უსასყიდლოდ, ხოლო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან – შემდგომი სათანადო ანაზღაურებით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოღებული სატრანსპორტო საშუალების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად შედგენილი პრეისკურანტისა და ცვეთის ფასდაკლების გათვალისწინებით და გაიცემა საომარი მდგომარეობის დამთავრების შემდეგ.

### **135. თუ თვითმმართველობის სამოქმედო ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომელი ორგანო ახორციელებს თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას?**

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად:

1. თუ იმ ადგილებში, სადაც საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე, საქართველოს პრეზიდენტს დეკრეტით შეუძლია შემოიღოს დროებითი მმართველობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება დროებით შეჩერდება, ხოლო მათი ფუნქციების განხორციელება ეკისრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს, რომელთაც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ დროებით შეასრულონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები.

### **136. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დააწესოს ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათები?**

დაიხ. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კონცერნებს, ასოციაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებული თავისუფალი სახსრებისა და საშუალებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ურთიერთობის შეუცვლელად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების შესახებ, რომლებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

### **137. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, ხელი შეუწყოს ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობას?**

დაიხ. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობას, ეხმარებიან ფინანსურად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნორმალური ფუნქციონირებისათვის გამოუყოფენ კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებს, მოწყობილობას, ინვენტარსა და ქონებას.

### **138. განეკუთვნება თუ არა სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციას?**

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სამხედრო სამსახურის გავლისათვის ჯანსაღი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით, სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელი რისკფაქტორების შემცირების ღონისძიებათა სისტემით, რომელსაც ახორციელებს მეთაური (უფროსი) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.

## თავი XI. ტურიზმი

### 139. უნდა იქნას თუ არა შეთანხმებული გარკვეულ შემთხვევებში თვითმმართველობის ორგანოსთან სანიტარული დაცვის ზონების საზღვრები?

დიახ. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, მეორე ზონის საზღვრები დგინდება: ა) მინერალური წყლების საბადოებისათვის - ტერიტორიის გეოსტრუქტურულ და ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით; ბ) სამკურნალო ტალახის საბადოებისათვის - ზედაპირული წყლების უახლოეს წყალგამყოფ ხაზზე; გ) სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსებისათვის - გეოსტრუქტურულ და გეომორფოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან შეთანხმებით, მეორე ზონის საზღვრები შეიძლება დადგინდეს ჰიდროდინამიკური და სხვა ფაქტორებით, მაგრამ არა უმეტეს 500 მეტრისა პირველი ზონის საზღვრებიდან. გარდა ამისა, მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კურორტებზე, სადაც არ არის ჩატარებული სამუშაოები სანიტარიული დაცვის ზონების დაპროექტებისათვის, კურორტების მართვის ორგანო შეიმუშავებს სანიტარიული დაცვის ზონის დროებით საზღვარს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოსთან, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ სანიტარიული დაცვის ზონის დაპროექტება და დამტკიცება განხორციელდება დადგენილი წესით, კურორტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს ორი წლისა.

### 140. შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში სანიტარული დაცვის ზონების დაფიქსირება?

დიახ. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, ადგილზე სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრებს აფიქსირებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო არა უგვიანეს ექვსი თვისა მისი დამტკიცებიდან (მესამე ზონის საზღვარი).

საკურორტო ადგილისათვის, სადაც: ა) წიაღისეული ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია, დგინდება სანიტარიული დაცვის ორი ზონა (პირველი და მეორე); ბ) კლიმატი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია, დგინდება სანიტარიული დაცვის ერთი ზონა (მეორე).

## თავი XII. კულტურა

### 141. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ძეგლის განთავსების შესახებ?

დიახ. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 3 დეკემბრის №3/203 ბრძანების „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და

სპორტის სამინისტროში შემოსული წინადადებებისა და მათზე თანდართული მასალების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან (შემდგომში – სამინისტრო) შეთანხმებით.; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მონუმენტური სახვითი ხელოვნების ქანდაკების განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ან ქანდაკების ავტორი ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს შემდეგი მასალები: ა) ქანდაკების პროექტი, ესკიზი და მოდელი, შესასრულებელი მასალის მითითებით; ბ) ქანდაკების განთავსების (ადგილმდებარეობის) ზუსტი მისამართი; გ) ქანდაკების განსათავსებელი ტერიტორიის საერთო ხედებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე ქანდაკების განმლის ამსახველი ფოტომასალა.

#### **142. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში?**

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

- ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, აღწერას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზრუნავენ მის მოვლა-პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;
- სამინისტროს აწვდიან ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;
- ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №181 დადგენილების „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, 1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. 2. დამცავი ზონების პროექტს იხილავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელიც

უზრუნველყოფს პროექტის შეთანხმებას იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან, რომლის ტერიტორიაზეც დგინდება დამცავი ზონა.

#### **143. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, დააფინანსოს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამა?**

დაიხ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად:

- საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით კულტურული მემკვიდრეობის ზოგად დამცავ ზონაში შესაძლებელია დადგინდეს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალი, რისი საფუძველიცაა სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამა (პირველი პუნქტი);
- სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები (მე-5 პუნქტი).

#### **144. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, ძეგლზე მესაკუთრის თანხმობის გარეშე თავად ჩაატაროს სარეაბილიტაციო სამუშაოები?**

დაიხ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია, მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე, თავად ჩაატაროს სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლზე ან არქეოლოგიურ ობიექტზე ანდა ეს სამუშაოები სხვა პირს დაუკვეთოს, თუ:

- არსებობს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები (ანუ, თუ ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულებას, ხოლო ძეგლის ინტერესები გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) დადგენა ან მიგნება ვერ ხერხდება. ამ პუნქტით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სამუშაოების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) თანხმობის გარეშე ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო);
- არქეოლოგიური ობიექტი ან მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია იგი, არ არის სახელმწიფოს საკუთრება ან ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემულია სხვა პირზე, ამასთანავე, მესაკუთრე (მფლობელი) არაა თანახმა არქეოლოგიურ ობიექტზე სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე და არსებობს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები (ანუ, თუ ეს აუცილებელია სამეცნიერო საკითხების გადასაჭრელად ან თუ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის

საკმიანობით ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანება ან განადგურება ემუქრება).

**145. შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფო თეატრის დაფინანსების წყარო იყოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი?**

დიახ. „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო თეატრის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო შეიძლება იყოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

**146. შესაძლებელია თუ არა სახელმწიფო თეატრი დაფუძნდეს თვითმმართველობის ორგანოს ინიციატივის საფუძველზე?**

დიახ. „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო თეატრს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო) საკუთარი ინიციატივით ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – შესაბამისი უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოები საკუთარი ინიციატივით ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარდგინებით.

**147. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება დააყენოს საკითხი სახელმწიფო თეატრის მმართველის დანიშვნის ან გათავისუფლების მოთხოვნით?**

დიახ. „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო თეატრის მმართველს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო, ხოლო სახელმწიფო თეატრში, რომლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით;

**148. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს კულტურული ფასეულობის ნივთის საქართველოდან გატანის უფლება?**

დიახ. „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო სამუხეუმო ფონდი, არქივი, ბიბლიოთეკა, კულტურული ფასეულობის საცავი სხვა სახელმწიფო დაწესებულება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვა პირები კულტურის მოძრავი ძეგლისთვის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტისთვის მიკუთვნებული კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანაზე ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართავენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს. განცხადებას უნდა ერთოდეს:

- მიმღებ მხარესთან დადებული ხელშეკრულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანის მიზნებისა და პირობების შესახებ;
- დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ სადაზღვევო რისკის ყველა შემთხვევის უზრუნველყოფას, კომერციული დაზღვევა ან დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მიმღები მხარის მიერ ყველა სხვა რისკის ფინანსურ უზრუნველყოფას სახელმწიფო გარანტიით;
- მიმღები მხარისა და სახელმწიფოს დოკუმენტურად დამოწმებული გარანტიები საქართველოდან დროებით გატანილი კულტურული ფასეულობის დაცვისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ;
- ცნობა იმის შესახებ, არის თუ არა საქართველოდან დროებით გასატანი კულტურული ფასეულობა შეტანილი საქართველოს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სახელმწიფო სიასა და რეესტრში.

**149. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს სამუზეუმო საქმიანობის მართვაში?**

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- აფინანსებენ და აკონტროლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებს;
- საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმების დირექტორებს;
- კოორდინაციას უწევენ მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების საქმიანობას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას უწევენ არასახელმწიფო მუზეუმებს.

მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აღრიცხავენ მათ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებს.

**150. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს შემოქმედებითი კავშირის დაფუძნებისა და მისი პროგრამების დაფინანსების უფლება?**

„შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემოქმედებითი კავშირის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

აღნიშნული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ დააფინანსონ შემოქმედები თი კავშირის ცალკეული პროგრამა.

**151. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს კულტურის სფეროში?**

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, კულტურის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

- თავიანთ ტერიტორიებზე კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ადგილობრივი ბიუჯეტისა და ფონდების ფორმირება კულტურის განვითარებისათვის;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო კულტურული პროგრამების შესასრულებლად გამოყოფილი იმ თანხის რაოდენობის დადგენა, რომელიც ნაწილდება კულტურული პროგრამების მიხედვით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- კულტურის ადგილობრივი (მუნიციპალური) ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია სამთავრობო დაწესებულებასთან შეთანხმებით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა;
- კულტურის სფეროში მუნიციპალური ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ნაგებობების მშენებლობა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა;
- მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- ნაგებობებზე, შენობებსა და სახელმწიფო საკუთრების სხვა ობიექტებზე კონტროლის დაწესება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოვალეობების განხორციელება.

გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენა, აღრიცხვა, შესწავლა, რესტავრაცია და დაცვა.

აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, დაიცვან თავიანთ საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საარქივო და სხვა ანალოგიური ფონდები, უზრუნველყონ მათი შენახვა, ფუნქციონირება და განვითარება.

**152. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, დააფუძნოს სკოლამდელი სააღმზრდელო და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებები?**

დიახ. „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის №126 დადგენილების მე-4 პუნქტის თანახმად, მოქმედი სკოლისგარეშე სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო საქმიანობას მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო და დღის სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა განთავსების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით, რჩებიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადგენს ამ დაწესებულებათა ნუსხას და აფუძნებს მათ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სკოლამდელი სააღმზრდელო და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული სკოლისგარეშე სასპორტო და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, გარდა მე-4 პუნქტით განსაზღვრულისა, ჩაითვალოს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებად და თვითმმართველ ერთეულს დაევალოს მათი დაფუძნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, მოითხოვოს აღნიშნული დაწესებულებების ქონების საკუთრებაში გადმოცემა და შემდგომ უზრუნველყოს არაკომერციული იურიდიული პირების დაფუძნება.

### **153. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს სპორტის სფეროში?**

„სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობას კოორდინაციას უწევენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები. ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირება.

აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ინვალიდების გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები ფინანსდება, მათი სპორტული ბაზების მშენებლობისათვის სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან და კერძო სექტორიდან.

### **154. თავისუფლდება თუ არა ქონების გადასახადისაგან პირი რომელიც აშენებს ოლიმპიურ სოფელს?**

დიახ. საქართველოს კანონის „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ინვესტორი (პირი, რომელიც საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე აშენებს ოლიმპიურ სოფელს და ოლიმპიადის (მათ შორის, ოლიმპიადის ახალგაზრდული ფესტივალის) ორგანიზებისათვის აუცილებელ სხვა დამხმარე ნაგებობებს) ქონებისა და მიწაზე ქონების გადასახადებით იბეგრება ამ ტერიტორიისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი განაკვეთით. ამასთანავე, იგი თავისუფლდება ქონებისა და მიწაზე ქონების გადასახადებისაგან ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში.

**155. შეიძლება თუ არა სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭოს პირს თვითმმართველი ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე?**

დაიხ. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №01/129 ბრძანების „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ მე-13 პუნქტი შესაბამისად, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს სპორტის რაინდის წოდებების მინიჭების საკითხს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული კომისია განიხილავს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სპორტის დამსახურების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების შუამდგომლობის საფუძველზე.

**თავი XIII. მიწით სარგებლობა, სოფლის მეურნეობა**

**156. ექვემდებარება თუ არა სამოვარი პრივატიზებას?**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ძ.ა.“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზებას არ ექვემდებარება სამოვარი, გარდა 2005 წლის 30 ივლისამდე იჯარით გაცემული სამოვრებისა და სამოვრებისა, რომლებიც დადგენილი წესით შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ გაცემული აქტით დამაგრებულია მათზე მდებარე, ფიზიკური ან/და იურიდიული პირების კერძო საკუთრებაში არსებულ ან/და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე;

**157. რომელი ორგანო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში გადაყვანას?**

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად: მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ექვემდებარება:

ა) სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

ბ) ქალაქ თბილისის და ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

გ) სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას არ ექვემდებარება სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრების გარეთ მდებარე, საქართველოს მოქალაქეების (კომლების, ოჯახების) კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მათზე მესაკუთრის პირადი საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობების მშენებლობის შემთხვევაში.

მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

**158. ფინანსდება თუ არა ნიადაგების ქიმიური მელიორაცია, ეროზიისა და გაუდაზნოების საწინააღმდეგო ღონისძიებები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან?**

არა. „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნიადაგების ქიმიური მელიორაცია და ეროზიისა და გაუდაზნოების წინააღმდეგ ღონისძიებები სახელმწიფო საკუთრების მიწებზე ხორციელდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან, მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად.

**159. რა შეზღუდვები და აკრძალვები არსებობს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად?**

„ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად:

ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად იზღუდება:

- ეროზიული პროცესებისაგან ნიადაგების დასაცავად აგროწესების დარღვევით 15 გრადუსზე მეტი დახრილობის ფერდობების სახნავად ათვისება და ნიადაგების დამუშავება ფერდობების დახრილობის გასწვრივ;
- ფერდობების დატერასება ნიადაგების წინასწარი შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავების წესებისა და რწყვის რეჟიმის დარღვევა;
- ნიადაგების ნაყოფიერი ფენის მოხსნა შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე;
- ნაყოფიერებადაცემული და დეგრადირებული ნიადაგების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ამოღება მათი სრულყოფილი გამოკვლევისა და შესაბამისი რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავების გარეშე.

ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად იკრძალება:

- სამოვრების ნიადაგების რღვევა-დაზიანება და ნაყოფიერების დაცემა ნახირისა და ფარის უწესრიგო ძოვებით;
- მინდორსაცავი ზოლების გაკაფვა, ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება;
- იმ სასუქების, მელიორანტების, აგრომანქანების, პესტიციდებისა და ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ყველა სხვა საშუალების ქვეყანაში შემოტანა და გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, რეგისტრირებული და გამოცდილი საქართველოში, ასევე მათი გამოყენება ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუმოწმებლად, რეკომენდაციების გარეშე და რეგლამენტების დარღვევით;
- ნიადაგების დაბინძურება რადიონუკლიდებით, მძიმე მეტალებით, ტოქსიკური ელემენტებითა და სხვა ნივთიერებებით;

- მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჩამოწერა, სარწყავი მიწების ურწყავთა კატეგორიაში გადაყვანა და მათი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე;
- ირიგაციის, დრენაჟის, ნაპირგამაგრებების, აგრეთვე ეროზიის, ლვარცოფისა და მეწყერსაწინააღმდეგო და სხვა ნაგებობათა ჩამოწერა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე;
- ყოველგვარი მოქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგების თვისებებს, შექმნის გაუდაბნოების, დაჭაობების, დამლაშების, გაბიცობების, გამჟავიანებისა და სხვა უარყოფითი პროცესების დაწყების პირობებს.

**160. რა წესით ხდება მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღება და განადგურება და რა ფუნქციას ასრულებს ამ პროცესში თვითმმართველი ერთეული?**

„ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპოზოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბრის №2-236 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპოზოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების (შემდგომში – პროდუქციის) ამოღება წარმოებს შემდეგი წესით:

- პროდუქციის ამოღებას ახორციელებს სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი თავის სამოქმედო ზონაში: ა.ა) ორგანოლუკტიური გამოკვლევით, შენახვის პირობების დარღვევის შედეგად უვარგისად მიჩნეული ან ვადაგასული პროდუქციის გასანადგურებლად; ა.ბ) თანმხლები სათანადო საბუთის გარეშე არსებული პროდუქციიდან ნიმუშების გასაგზავნად ვარგისობაზე ლაბორატორიული გამოკვლევისათვის და ლუქავს პროდუქციას. ნიმუშების ვარგისობის შემთხვევაში პროდუქციას უშვებს შემდგომში გამოსაყენებლად.
- ვეტერინარი ინსპექტორი პროდუქციის ამოღების თაობაზე ადგენს აქტს, რომელსაც ხელს აწერენ ვეტერინარი ინსპექტორი და პროდუქციის მფლობელი.

ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპოზოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების განადგურება წარმოებს შემდეგი წესით:

- ცოცხალი ცხოველების (ფრინველი, თევზი) – დახოცვითა და შემდეგ დაწვით, დაწვის ადგილის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებითა და ნარჩენების დამარხვით;
- მეცხოველეობის პროდუქტების – სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავების შემდეგ დაწვითა და ნარჩენების დამარხვით;
- ცხოველური წარმოშობის ყველა სახის ნედლეულის: ტყავნედლეული, ჯაგარი, ფრთა-ბუმბული, ბეწვეული და სხვა – დაწვითა და ნარჩენების დამარხვით;
- მეორადი ნედლეულის: ცხოველების რქები და ჩლიქები, ნაწლავები, დაკონსერვებული სისხლი, აბრეშუმის ჭუპრი, ნაღველი, ნაღვლის კენჭები – დაწვითა და ნარჩენების დამარხვით;
- ცხოველის სპერმა, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი, ცხოველთა ემბრიონები, ენდოკრინული ნედლეული – დაწვითა და ნარჩენების დამარხვით ან ბეკარის ორმოში მოთავსებით;
- კონსერვების – გაჭყლეტვით, შემდეგ დეზინფექციითა და დამარხვით ან ბეკარის ორმოში მოთავსებით;
- ფურაჟისა და უხეში საკვების – დაწვითა და ნარჩენების დამარხვით;
- ბიოპრეპარატების, სავაქცინე და საკონტროლო შტამების – თანმხლები ან არსებული დარიგების შესაბამისად, დაწვით ან ბეკარის ორმოში მოთავსებით;
- ქიმიურ-ფარმაცევტული და სხვა ვეტერინარული პრეპარატების – დაწვით. დაწვა-დამარხვა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. შესაძლებლობის მიხედვით დაწვა ხორციელდება ასევე საუტილიზაციო ქარხანაში ან სპეციალურ ღუმელში.

### **161. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს ვეტერინარული კარანტინის დაწესების უფლება?**

დიახ. საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უზენბლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 55-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარული კარანტინი და მცენარეთა კარანტინი, გარდა ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული პროფილაქტიკური კარანტინისა, წესდება და იხსნება სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე: ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ; ბ) ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – ამ თვითმმართველ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

### **თავი XIV. კავშირგაბმულობა**

#### **162. რა უფლებამოსილებები აქვთ თვითმმართველობის ორგანოებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში?**

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კომისიასთან კოორდინირებულად შეიმუშავენ მათ საკუთრებაში არსებულ

ტერიტორიაზე და მიწის ნაკვეთებზე ავტორიზებული პირებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სისტემების, ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, აღჭურვილობებისა და დამატებითი რესურსების განთავსებისათვის უფლების მინიჭების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პროცედურებს.

**163. თუ პირები ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის ან განაკაფის ზონაში აწარმოებენ სამშენებლო სამუშაოებს, სამუშაოთა დაწყებამდე ვალდებული არიან თუ არა ისინი, შეატყობინონ თვითმმართველობის ორგანოებს სამუშაოთა დაწყების თარიღი და დრო?**

დიახ. „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის №134 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების“ მე-4 მუხლის შესაბამისად:

- იურიდიული ან/და ფიზიკური პირები, რომლებიც ხაზების დაცვის ან განაკაფის ზონაში აწარმოებენ ნებისმიერი სახის სამშენებლო ან/და სარეკონსტრუქციო ან/და მიწის სამუშაოებს, სამუშაოთა დაწყებამდე სულ მცირე ორი დღით ადრე ატყობინებენ ხაზის მფლობელ ორგანიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სამუშაოთა დაწყების თარიღსა და დროს (მე-11 პუნქტი);
- იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მიწის სამუშაოთა წარმოების დროს აღმოაჩენს მიწისქვეშა კაბელებს, რომლებიც დატანილი არ არიან მიწის სამუშაოთა წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციაში, მოვალეა შეაჩეროს მიწის სამუშაოები, უზრუნველყოს აღმოჩენილი კაბელების ხელშეუხებლობა და აღმოჩენილი კაბელების შესახებ აცნობონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც, თავის მხრივ, აღნიშნულ ფაქტს, თუკი ხაზების მფლობელის ვინაობა მათთვის ცნობილია, დაუყოვნებლად შეატყობინებენ საკაბელო ხაზის მფლობელს და მასთან ერთად მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს (მე-14 პუნქტი);
- იმ შემთხვევაში, თუ გემის ღუზას ან თევზსაჭერ ზადეს ამოღების დროს ამოჰყვება კაბელი, გემის კაპიტანი მოვალეა, ღუზა ან ზადე გაათავისუფლოს კაბელისაგან ისე, რომ არ დააზიანოს, და მომხდარი ფაქტის შესახებ აცნობოს ახლომდებარე საზღვაო პორტს შემთხვევის ადგილის კოორდინატებისა და კაბელის ამოღების დროის ჩვენებით. საზღვაო პორტი, თავის მხრივ, აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და საკაბელო ხაზის მფლობელს (მე-15 პუნქტი).

**164. თუ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების საავარიო სამუშაოთა წარმოება გზის საფარის მოხსნას და გრუნტის გათხრას მოითხოვს, სამუშაოების დაწყებამდე გამოძახებულ უნდა იქნენ თუ არა თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები?**

დიახ. „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2007 წლის 4 ივლისის №134 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხაზების საავარიო სამუშაოთა წარმოება მოითხოვს გზის საფარის მოხსნას და გრუნტის გათხრას, სამუშაოების დაწყებამდე გამოძახებულ უნდა იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საგზაო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამუშაოთა წარმოების ადგილი უნდა შემოიფარგლოს ტრანსპორტისა და ფეხით მოსარულეთა გამაფრთხილებელი ნიშნებით. გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები უნდა შეასრულოს ხაზის მფლობელმა ორგანიზაციამ.

**165. ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის სამუშაოთა წარმოება უნდა ეცნობოს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №964 ბრძანებულების „ელექტრონული ქსელების საზოგადოებრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ მე-4 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, თუ ელექტროგადამცემი ხაზის საავარიო-აღდგენით სამუშაოთა წარმოებისას საჭიროა გზის საფარის მოხსნა და გრუნტის გათხრა, სამუშაოების დაწყებამდე ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გზის მფლობელი პირების წარმომადგენლების გამოძახება. სამუშაოთა წარმოების ადგილი შემოიფარგლება ტრანსპორტისა და ფეხით მოსარულეთა გამაფრთხილებელი ნიშნებით. გზის საფარის აღდგენის სამუშაოებს ასრულებს ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი.

**166. ვალდებულია თუ არა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მფლობელი ოპერატორი უფასოდ გაააქტიუროს თვითმმართველობის ორგანოების ცხელი ხაზები?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილების „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლის „თ.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მფლობელი ოპერატორები, რომლებიც სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებენ აბონენტების მომსახურებას, ვალდებული არიან - უფასოდ გაააქტიურონ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცხელი ხაზების, კომუნალური მეურნეობის საავარიო სამსახურების, რკინიგზის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების საინფორმაციო-საცნობარო სამსახურების 1XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრები იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მოკლე ნომრები გადამისამართებულია ამ ორგანოებში არსებულ სატელეფონო ნომრებზე.

**თავი XV. მართვა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები**

**167. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის (დაფუძნების) უფლება?**

არა. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, რომელსაც უფლება აქვს შექმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 32<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი მშენებლობის ნებართვების გაცემის, ქალაქის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებისა და მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე შესაბამისი კვლევების ჩატარებისა და რეკომენდაციების მომზადების, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესის უზრუნველყოფის ან სხვა მიზნით.

### **168. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება ეკონომიკურ აგენტს მიანიჭოს ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას?**

არა. საქართველოს კანონის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ამ კანონის მიზანია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას. ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ:

- ეკონომიკური აგენტისათვის დააწესოს ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით<sup>1</sup> გათვალისწინებული შემთხვევებისა;

---

<sup>1</sup> „მუხლი 12. სახელმწიფო დახმარება. 1. სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა შემდეგი მიზნით: ა) გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის; ბ) გარკვეული ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის. 2. დასაშვებია და სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს: ა) სახელმწიფო

- აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;
- მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას, თუ ამით არსებითად იზღუდება კონკურენცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

**169. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, უარი თქვას სასამართლოში თავის მიერ შეტანილ სარჩელზე, მორიგდეს ან ცნოს სარჩელი?**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ ორგანოებს – საჯარო სამართლის სუბიექტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს უარი თქვან სარჩელზე, მორიგდნენ ან ცნონ სარჩელი, თუ არსებობს კონკრეტული უტყუარი მტკიცებულებები, ფაქტები და გარემოებები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელის ცნობას, მორიგებას ან სარჩელზე უარის თქმას.

**170. თუ საჩივრდება საკრებულოს ან გამგებლის ადმინისტრაციული აქტი, უნდა იქნეს თუ არა სასამართლოში მათ გარდა მხარედ ჩაბმული თვითმმართველი ერთეული?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების (ფიზიკური და იურიდიული პირები, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები) გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო,

---

დახმარება, რომელიც გაიცემა ფორსმაჟორულ შემთხვევაში; ბ) სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდისათვის; გ) ქვეყნის რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; დ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ე) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ვ) სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება; ზ) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით; თ) გადასახადის შემცირებისა და რესტრუქტურისაციის შემთხვევებში, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა; ი) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები“.

რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება. თვითმმართველი ერთეული არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თვითმმართველობის ორგანოების – საკრებულოს, გამგებლის ქმედებებზე პასუხისმგებელია თვითმმართველი ერთეული. მათ მიერ მიღებული (გამოცემული) ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოში მხარედ შესაბამის ორგანოსთან ერთად ჩაბმული უნდა იქნეს თვითმმართველი ერთეული – იურიდიული პირი.

**171. თუ პირი ითხოვს გამგებლის ბრძანების ბათილად გამოცხადებას, ეკისრება თუ არა გამგებელს მტკიცების ტვირთი სასამართლოში?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

ეს გულისხმობს გამგებლის ვალდებულებას, დაასაბუთოს თავისი ბრძანება და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

**172. ვალდებული არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები, დახმარება გაუწიონ აღმასრულებელს?**

დიახ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დამუშავებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულებისას თუ დამრღვევი არ ემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების ეროვნული ბიურო დახმარებისათვის მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ან/და აღსრულების პოლიციას. ისინი ვალდებული არიან გაუწიონ მას დახმარება.

**173. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, მონაწილეობა მიიღოს ბინაში სააღსრულებო მოქმედებების ჩატარებისას აღმასრულებლისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში?**

დიახ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებლისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ან თუ მოვალის ბინაში განსახორციელებელ სააღსრულებო მოქმედებას არც მოვალე ესწრება და არც მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი, აღმასრულებელი ადგენს აქტს და აგრძელებს სააღსრულებო მოქმედებას ადგილობრივი

თვითმმართველობის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

#### **174. თავისუფლდება თუ არა თვითმმართველი ერთეული აღსრულების საფასურისაგან?**

დიახ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საფასურის გადახდისა და დაკისრებისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას (გარდა ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა<sup>2</sup>), და ამ ორგანოთა კრედიტორები.

#### **175. თუ პირს გააჩნია ალიმენტის გადახდის ვალდებულება და ვალდებულება თვითმმართველობის წინაშე, მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან დაკმაყოფილდება თუ არა პირველ რიგში მოთხოვნა თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ?**

არა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 82<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული თანხიდან მეორე რიგში, ხოლო სხვა თანხებიდან პირველ რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები:

- ა) ალიმენტის გადახდევინების შესახებ;
- ბ) შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე;
- გ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ;
- დ) დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;
- ე) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში თანხების გადახდის შესახებ;
- ვ) ჩვეისა და თამასუქის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები.

#### **176. შესაძლებელია თუ არა, სარჩელის შეტანის დღეს პირმა მოითხოვოს თვითმმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება?**

---

<sup>2</sup> სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას საფასური გადაიხდევინება სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ ამ ქონების შემდგომი რეალიზაციის შემთხვევაში და შეადგენს ამონაგები თანხის 7%-ს

დაიხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება.

**177. შესაძლებელია თუ არა თვითმმართველობის ორგანომ მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონტროლის განხორციელებაში?**

დაიხ. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სრულფასოვანი აღსრულების და მისი ჯეროვანი კონტროლის, მათ შორის, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების, მიზნით პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან ან სხვა დამსაქმებელთან გააფორმოს/დადოს შესაბამისი შეთანხმება/ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს დამსაქმებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებას.

**178. ემსახურება თუ არა პერსონალური ავტომანქანა მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს?**

არა. „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულების დანართით განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთაც ეკუთვნით მსუბუქი ავტომანქანები პერსონალური სარგებლობისათვის. აღნიშნულ დანართში მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე მოხსენიებული არ არის. მასში აღნიშნული არიან შემდეგი თანამდებობის პირები: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის მერი, ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი), ქ. თბილისის მერის მოადგილეები.

**179. რამდენი სამსახურებრივი ავტომობილი შეიძლება ჰყავდეს თვითმმართველ ერთეულს?**

„სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულებით დადგენილია შემდეგი ნორმატივები: ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის 50 საშტატო ერთეულამდე – 1 ავტომანქანა, 50-100-მდე – 2 ავტომანქანა, 100-150-მდე – 3 ავტომანქანა, 150-225-მდე – 4 ავტომანქანა, 225-300-მდე – 5 ავტომანქანა, 300 და მეტი – 6 ავტომანქანა.

**180. შეიძლება თუ არა თვითმმართველ ერთეულს ჰყავდეს სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა?**

დაიხ. „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულების №2 დანართის მე-15

პუნქტის შესაბამისად ასეთი ავტომანქნები შეიძლება ჰყავდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (გამგეობა, მერია) სამხედრო განყოფილებებს.

### **181. ვალდებულნი არიან თუ არა თვითმმართველობები დანერგონ ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 თებერვლის №57 დადგენილების „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა განახორციელონ არა უგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა, ხოლო ქალაქ თბილისის თვითმმართველმა ერთეულმა სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამა დანერგოს არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

### **182. შესაძლებელია თუ არა, ამოღებისა და ჩხრეკის დამსწრე იყოს თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელი?**

დიახ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყადაღის, ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში უნდა მიეთითოს: რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ის ნებაყოფლობითაა გადაცემული თუ იძულებითაა ჩამორთმეული. ყველა ობიექტი ოქმში უნდა აღიწეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარობითი ნიშან-თვისებების მითითებით. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას სცადეს, გაენადგურებინათ ან გადაეძალათ მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ან/და თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის მფლობელს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც ამოღებას ან ჩხრეკას ესწრებოდა. თუ ამოღება ან ჩხრეკა ჩატარდა იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში ან დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი გადაეცემა შესაბამისად ამ საგამომიებო მოქმედების დამსწრე იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

### **183. თავისუფლდებიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?**

არა. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან საერთო სასამართლოებში განსახილველ ყველა საქმეზე თავისუფლდებიან ის დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

## 184. რა შემთხვევებში და რა წესით ხდება პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება?

„პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი\_მე-6 მუხლების თანახმად, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

- საკრებულოს საქმიანობის შეჩერებისას ან დათხოვნისას;
- საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას;
- კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩევლობისას.

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლისა.

საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს დათხოვნის ან საქმიანობის შეჩერების და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია საკრებულოს ქმედუნარობა – განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები.

საკრებულოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ, საკრებულომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებიდან სამ თვეში არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

საქართველოს პარლამენტის თანხმობით და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში - შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

„პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას შესაბამის თვითმმართველ ერთეულში ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამგებელი (მერი), ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნული გამგებელი (მერი). პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონით გათვალისწინებულ უფლებებს და ასრულებს მოვალეობებს. ამ პირის დამატებით უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სათანადო დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – აგრეთვე შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

**185. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი, წარუდგინოს მთავრობას წინადადებები და წარმოადგინოს მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხი?**

დაიხ. „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის აუცილებლობის დასაბუთებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამზადებენ წინადადებებს და წარუდგენენ მთავრობის კანცელარიის უფროსს.

რეგლამენტის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხს უშუალოდ წარადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

**186. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველობის თანამდებობის პირებს დაესწრონ მთავრობის სხდომას?**

„არა. „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის №57 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომა იმართება საჯაროდ. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად – მთავრობის საჯარო სხდომას განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

**187. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, აანაზღაუროს კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება?**

არა. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო სამინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება.

ამდენად, ვალის დაფარვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან. თვითმმართველ ერთეულებს არ გააჩნიათ სახელმწიფო ვალის დაფარვის უფლებამოსილება.

## **188. რომელი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე და რა ფორმით?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ზედამხედველობას როგორც წესი, ახორციელებენ სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები. განსაკუთრებულ შემთხვევაში ზედამხედველობის განხორციელება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიძლება დაეკისროს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს. ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც განახორციელებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ზედამხედველობას, დადგენილებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

## **189. ვინ ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებულ თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე?**

„აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №154 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, ამგვარ ზედამხედველობას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი.

## **190. უფლებამოსილია თუ არა საკრებულოს თავმჯდომარე მიმართოს ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარე (ქალაქ თბილისის შემთხვევაში – აგრეთვე ქალაქის მერი) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიმართოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობითი მოთხოვნით. სამართლებრივი კონსულტაციის თაობაზე წერილობით მიმართვას უნდა ერთოდეს მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტი და პროექტის განმარტებითი ბარათი. შესაბამისი ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია წერილობითი მიმართვის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოამზადოს და შესაბამის თანამდებობის პირს გაუზიაროს სამართლებრივი დასკვნა მისაღები (გამოსაცემი) ნორმატიული აქტის პროექტის კანონიერების თაობაზე. ნორმატიული აქტის პროექტში სამართლებრივი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში დასკვნა უნდა შეიცავდეს საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული აქტის დასახელებას, რომელსაც ეწინააღმდეგება პროექტი, და რეკომენდაციებს სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ. შესაბამისი ზედამხედველობის ორგანოს სამართლებრივი დასკვნა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები სამართლებრივ აქტებს იღებენ (გამოსცემენ) დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

## **191. ვალდებულია თუ არა ზედამხედველობის ორგანო სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გათვალისწინებით?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ზედამხედველობის ორგანო სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გათვალისწინებით, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების მიმართ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის გარეშე<sup>3</sup>.

## **192. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს რომელი ნორმატიული აქტები არ საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას?**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“, შესაბამისად განსაზღვრულია იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელიც არ საჭიროებენ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას. ესენია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცება და შესაბამის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებისა და ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში ცვლილებების განხორციელების წესები; თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამები და მათი განხორციელების წესები;

ბ) თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) და საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, საკრებულოს კომისიის (მათ შორის, დედაქალაქის საკრებულოს მუდმივმოქმედი, დროებითი და სარევიზიო კომისიების), საკრებულოს აპარატისა და დედაქალაქის რაიონის გამგეობებისა და საქალაქო სამსახურების დებულებები; მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) გამგეობის (მერიის) დებულებები, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებები; დედაქალაქის მერიის დებულება; დედაქალაქის მთავრობის რეგლამენტი; დედაქალაქის მერიის ადმინისტრაციისა და მისი სტრუქტურული ერთეულების – სამსახურების დებულებები; თვითმმართველი ერთეულების კომისიების, საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების შექმნა და მათი სამოქმედო დებულებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა

---

<sup>3</sup> აღნიშნულ საკითხზე გამოცემულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანება „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“.

(თანამდებობის პირებსა) და დაწესებულებებს შორის უფლებამოსილების განაწილებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;

გ) სამსახურებრივი (მათ შორის, კანონით გათვალისწინებული) დოკუმენტების ან ფორმებისა და მათი გამოყენების (მათ შორის, მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ ბეჭდის გამოყენების) წესი; სახანძრო დაცვის სამსახურის გავლის წესი; საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროს მიკუთვნებული ნორმატიული აქტები;

დ) ადგილობრივი გადასახადების განაკვეთები; ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთები და გადახდის ინსტრუქციები; დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფი და მისი გადახდის წესი; დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ნარჩენების დედაქალაქში ქალაქში მოქმედი ოპერატორისთვის ან სხვა მეწარმისთვის გადაცემის წესი; დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მიზნით ოპერატორის შერჩევის წესი;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ადგილების განსაზღვრა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (პარკირების წესები); ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარების წესი, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის ფასი, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებისა და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსებისათვის (M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტები; ტრანსპორტის სფეროში რეგულირებადი ტარიფები და შეღავათები;

ვ) თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, მათი საზღვრების დადგენა და მათი გაუქმება; თვითმმართველი ერთეულის ზონირება; დედაქალაქის ტერიტორიის დაყოფა რაიონებად; დედაქალაქის რაიონების სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა. შ.) დაყოფა; დედაქალაქის რაიონისათვის ან უბნისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება; თვითმმართველ ერთეულში ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა; მათთვის სახელწოდებების მინიჭება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესები; სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასი და სარგებლობის ქირის საწყისი ოდენობა; თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა და თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები; დედაქალაქის ადგილობრივი საკუთრების იმ ობიექტების განსაზღვრა, რომელთა გასხვისებაც არ შეიძლება; დედაქალაქის თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმები, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის და დედაქალაქის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესები; დედაქალაქის საკრებულოს თანხმობა დედაქალაქის მთავრობისათვის კრედიტის (სესხის) აღებასა და

გაცემაზე; დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის, ასევე მათი მოჭრის წესები;

თ) დედაქალაქის მთავრობის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირების სამოქმედო წესები; დედაქალაქის მთავრობის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის, დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების წესი და საფასურის ოდენობა;

ი) გეოგრაფიული ობიექტის სახელდება, მრავალბინიან სახლებში ბინების ნუმერაციის წესი, ქუჩებისა და მოედნების სახელდება და ნუმერაცია, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონირება; დედაქალაქის საკუთრებაში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესები; დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული რაიონის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის, მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბადის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება და შესაბამისი ობიექტების სახელდების წესი;

კ) დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმა, დედაქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმა; დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები; დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების წესების დადგენა; დედაქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ცალკეული არქიტექტურული დეტალების, დეკორატიული ელემენტების დამატება-მოწყობის საკითხების რეგულირება; დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტების გამოყენებისა და დაცვის წესები; იმ ადგილების (ტერიტორიული ზონები, შენობა-ნაგებობები) განსაზღვრა, სადაც შესაძლებელია აზარტული და მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობა;

ლ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების საფუძველზე მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები;

მ) გარე ვაჭრობისა და გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; ბაზრებსა და ბაზრობებთან დაკავშირებული საკითხები;

ნ) მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტების გამოყენების ადგილების განსაზღვრა, არხებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებზე იმ ადგილების განსაზღვრა, სადაც შესაძლებელია საქონლის გადარეკვა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გავლა; იმ ადგილების განსაზღვრა, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის აღება სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა;

ო) თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის წესი; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ძაღლებისა და კატების ყოლის წესი;

პ) მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი საზოგადოებრივი მომსახურების გაწვევის წესები; სასაფლაოების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საკითხები;

ჟ) კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების დამატებითი დაფინანსებისა და დახმარების გაცემის წესი;

რ) თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დადგენა;

ს) თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოებისა და წოდებების შემოღება და მათი მინიჭების წესი.

ტ) თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები; შესაბამის უწყებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა სოციალურ დაცვასთან და მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები; მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსები; შრომის შინაგანაწესი; თანამშრომელთა სამსახურში მიღებასთან, კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები; სამსახურის გავლის, სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული საკითხები;

უ) მკაცრი აღრიცხვის ფორმები, მათი გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშებისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის წესები; მოწმობების, სერტიფიკატების, დიპლომების, ცნობების, შეტყობინებების, რეესტრების, ჟურნალების და სხვა ფორმები, მათი წარმოების/გამოყენების წესები;

ფ) სათათბირო ორგანოების/საბჭოების/კომისიების საქმიანობის წესი, შემადგენლობა და დებულება/წესდება; იურიდიული პირის დაფუძნებასთან, რეორგანიზაციასთან/ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები;

ქ) ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების, ბათილად ცნობის ან/და არარად აღიარების საკითხები; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების ფორმები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესი.

### **193. აქვს თუ არა უფლება ზედამხედველობის ორგანოს მიმართოს სასამართლოს თვითმმართველობის ორგანოს წინააღმდეგ?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს ზედამხედველობის ორგანოს ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი ან მოტივირებული წერილობითი უარი. ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნული ვადის გასვლიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა მიმართოს სასამართლოს ნორმატიული აქტის შეჩერების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

#### **194. აქვს თუ არა უფლება ზედამხედველობის ორგანოს მოითხოვოს კონტროლის პალატის მიერ რევიზიის ჩატარება?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, თუ ზედამხედველობის ორგანო მიიჩნევს, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი სახსრები არამიზნობრივად იხარჯება, იგი უფლებამოსილია არა უმეტეს წელიწადში ერთხელ მოითხოვოს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ რევიზიის ჩატარება.

#### **195. აქვს თუ არა უფლება ზედამხედველობის ორგანოს მიმართოს მთავრობას ნორმატიული აქტის გამოცემის მოთხოვნით?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, თუ თვითმმართველობის ორგანო დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში არ მიიღებს სამართლებრივ აქტს, რომლის მიღებაც მას კანონით ევალება, ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მოსთხოვოს მას აღნიშნული ვალდებულების შესრულება; თუ თვითმმართველობის ორგანო არ შეასრულებს მოთხოვნას, ზედამხედველობის ორგანო მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემის თხოვნით.

#### **196. აქვს თუ არა სახალხო დამცველს უფლება, ზედამხედველობა გაუწიოს თვითმმართველობის ორგანოებს?**

დაიხ. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.

აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მე-18 მუხლის შესაბამისად, შემოწმების ჩატარებისას დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში; სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა;

აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის სააგაროში მოხსენებაში მითითებული უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები, თანამდებობის და იურიდიული პირები, რომელნიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებათა შესახებ.

### **197. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის ორგანო განიხილოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები?**

დაიხ. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

### **198. ვალდებულნი არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ყოველკვარტალურად მიაწოდონ ინფორმაცია ფაქტობრივად გამოყოფილი სახსრების შესახებ?**

დაიხ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან ყოველკვარტალურად მიაწოდონ სააგენტოს ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფაქტობრივად გამოყოფილი სახსრების შესახებ.

### **199. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვა, თუ შესასყიდი საქონლის ღირებულება აღემატება ერთ მილიონ ლარს და მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა შესყიდვის განხორციელება?**

არა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგინდა

შესყიდვების განხორციელება. შესაძლებელია, მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყოს თანხა, მაგრამ მასში არ იყოს მითითებული, რომ იგი გამოყოფილია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარების მიზნით და შესყიდვა უნდა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკებით. ასეთ შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ტენდერის საშუალებით.

## **200. მონაწილეობს თუ არა საკრებულოს თავმჯდომარე სატენდერო კომისიის მუშაობაში?**

არა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1<sup>1</sup> და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 1<sup>1</sup>. ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. სატენდერო კომისიის წევრებად ინიშნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები, ამ ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.

საკრებულოს თავმჯდომარე არ არის აღმასრულებელი ორგანოს წევრი. იგი არ მონაწილეობს საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში.

## **201. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველობის ორგანო იყოს სამეწარმეო საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო, და რას გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი?**

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

- თვითმმართველობის ორგანო შესაძლებელია იყოს მაკონტროლებელი ორგანო („გ“ ქვეპუნქტი);
- სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი გულისხმობს კანონმდებლობით მოწესრიგებულ
- ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობას, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი საჩივრის დადება. ამ კანონის მიზნებისათვის კონტროლი არ არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის გაცემა ან ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა, გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემოწმების მიზნით განხორციელებული საქმიანობა, აგრეთვე ნავთობისა და გაზის რესურსებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებითა და ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობა. („ბ“ ქვეპუნქტი).

## **202. განეკუთვნება თუ არა გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის დარქმევა თვითმმართველობის კომპეტენციას?**

დიახ. „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტებია დედამიწის ბუნებრივი წარმონაქმნები: კონტინენტები, ოკეანეები, ზღვები, კუნძულები, მთები, მდინარეები, ტბები, მყინვარები და სხვა, აგრეთვე ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, მათი ცენტრები, ქალაქები, დაბები, თემები, სოფლები, ქუჩები, მოედნები, პარკები და სხვა მსგავსი ობიექტები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას.

აღნიშნულ საკითხებს ეხება - საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №160 ბრძანებულება „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, 2003 წლის 16 იანვრის №13 ბრძანებულება „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, ასევე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის №358 დადგენილება „დამისამართების პროცესში მონაწილე დაწესებულებების თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“.

## **203. რა უფლებამოსილებანი გააჩნია თვითმმართველობას გენდერული თანასწორობის სფეროში?**

საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შეიმუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია; სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწყვენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

## **204. აკისრია თუ არა თვითმმართველობის მოხელეს ბავშვის დაბადების განცხადების ვალდებულება?**

დიახ. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბავშვის დაბადების განცხადების ვალდებულება ასევე ეკისრება გამგეობის (მერიის) რწმუნებულს, თუ ბავშვი დაიბადა

სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე;

## **205. აკისრიათ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს პირის გარდაცვალების განცხადების ვალდებულება?**

დაიხ. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირის გარდაცვალების განცხადების ვალდებულება ეკისრება გამგეობის (მერიის) რწმუნებულს – პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მიერ, აგრეთვე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების, პანსიონატის, თავშესაფრის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციის წარმომადგენლის, ასევე გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის პირის გარდაცვალების შესახებ კანონით დადგენილი წესით შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

## **206. უფლებამოსილია თუ არა გამგეობის რწმუნებული შეადგინოს ოქმი პირის გარდაცვალების დადასტურების შესახებ?**

დაიხ. დაიხ. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაცვალების რეგისტრაციის მიზნებისათვის პირის გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტია გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ შედგენილი ოქმი პირის გარდაცვალების დადასტურების შესახებ. მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, გამგეობის (მერიის) რწმუნებულის მიერ შესადგენი ოქმის რეკვიზიტები, მისი შედგენისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუ გამგეობის (მერიის) რწმუნებულს არ აქვს საკმარისი და უტყუარი ინფორმაცია პირის გარდაცვალების ფაქტის შესახებ და შეუძლებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის ოქმის შედგენა, იგი ვალდებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეატყობინოს ოქმის შედგენის გარეშე.

## **207. ვალდებულია თუ არა საკრებულოს წევრი, შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია ურთიერთობა ჰქონდეს ამომრჩეველებთან, მათ შორის, შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი.

**208. ვალდებულია თუ არა საკრებულოს წევრი, უზრუნველყოს ამომრჩეველთა ინფორმირება გაწეული მუშაობის შესახებ?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია მიაწოდოს ამომრჩეველებს ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

აღნიშნული კანონის 58<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩეველებთან და წარდგენ მათ წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით, უპასუხონ ანგარიშის მოსმენისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

**209. ვალდებულია თუ არა საკრებულოს წევრი, სამ თვეში ერთხელ მაინც შეხვდეს ამომრჩეველებს და წელიწადში ერთხელ წარადგინოს ანგარიში?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მაინც შეხვდეს ამომრჩეველებს. ამ კანონის 58<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩეველებთან და წარდგენ მათ წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით, უპასუხონ ანგარიშის მოსმენისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

**210. რა არის გეოდეზია და კარტოგრაფია და აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, დააფინანსოს გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები?**

„გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, გეოდეზია არის სამეცნიერო, ტექნიკური და საწარმოო საქმიანობის ურთიერთობათა სფერო, რომელიც წარმოიქმნება დედამიწის ფორმის, ზომების, გრავიტაციული ველის, დედამიწის ზედაპირზე წერტილების კოორდინატებისა და მათი დროში ცვლილებების განსაზღვრის პროცესში. კარტოგრაფია არის სამეცნიერო, ტექნიკური და საწარმოო საქმიანობის ურთიერთობათა სფერო, რომელიც წარმოიქმნება კარტოგრაფიული პროდუქციის შესწავლის, შექმნისა და გამოყენების პროცესში.

აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სპეციალური (დარგობრივი) და ადგილობრივი დანიშნულების გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები, რომლებიც სრულდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებით, ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტიდან (მე-2 პუნქტი);

**211. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, ჰქონდეს საინფორმაციო დაფა?**

დიახ. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი პირი წერილობით გაფრთხილებას აძლევს სავარაუდო ხელმოწერას და სთავაზობს მას, ნებაყოფლობით შეწყვიტოს სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაიტანოს მისი მოძრავი ნივთები. წერილობითი გაფრთხილება დგება 2 ეგზემპლარად, საიდანაც ერთი გადაეცემა სავარაუდო ხელმოწერას, უძრავ ნივთზე (ნივთში) მყოფ სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას (რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან აღნიშნული გაფრთხილების შინაარსი აცნობონ სავარაუდო ხელმოწერას), ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება უფლებამოსილ პირთან. გაფრთხილების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე მიძღვების ხელმოწერით. გაფრთხილება ჩაბარებულად ითვლება: ა) თუ სავარაუდო ხელმოწერა უარი განაცხადა გაფრთხილების მიღებაზე ან ხელმოწერაზე (რაც აღინიშნება გაფრთხილების ფურცელში); ბ) პრესაში სავარაუდო ხელმოწერის გაფრთხილების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს. აღნიშნული განცხადება უნდა გამოქვეყნდეს განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. გაფრთხილება შეიძლება განთავსდეს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საინფორმაციო დაფაზე (შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული განცხადების პრესაში გამოქვეყნება ან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება არ არის სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილების ფურცელი ჩაბარდა ამ მუხლით განსაზღვრულ რომელიმე პირს. საინფორმაციო დაფაზე შესაძლებელია განთავსდეს თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები და სხვა საჯარო ინფორმაცია).

## **212. ვალდებულნი არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები აწარმოონ ოფიციალური სტატისტიკა?**

დიახ. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთი საქმიანობის მიზნების, ამოცანებისა და მოვალეობების გათვალისწინებით აწარმოებენ ოფიციალურ სტატისტიკას საბჭოს მიერ დამტკიცებული/აღიარებული საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე.

## **213. საკრებულოს წევრს საკრებულოს წევრად ყოფნა ეთვლება თუ არა საჯარო სამსახურის სტაჟში?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრებზე ვრცელდება მხოლოდ ამ კანონის პირველი–მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 41<sup>1</sup>, 66-ე და 121-ე მუხლები. 121-ე მუხლის თანახმად სამსახურის სტაჟი შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში მოხელის, დამხმარე ან შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდს;

## **214. შეიძლება თუ არა შეიქმნას თვითმმართველობის მოხელეთა რეზერვი?**

არა. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 113-ე მუხლის შესაბამისად მოხელეთა რეზერვი იქმნება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს კანონმდებლობა თვითმმართველობის ორგანოებში მოხელეთა რეზერვის არსებობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

## **215. რა უფლებები აქვს თვითმმართველობის მოსამსახურეს?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს აქვს შემდეგი უფლებები და გარანტიები: ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად; ბ) მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები; გ) მოითხოვოს სამსახურებრივი გამოძიება თავისი პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გაბათილების მიზნით; დ) გაერთიანდეს პროფესიულ კავშირებში და სამსახურისაგან თავისუფალ დროს მონაწილეობდეს მათ საქმიანობაში.

თუ შესაბამისი ორგანო არ განუსაზღვრავს მოსამსახურეს უფლება-მოვალეობებს, არ მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას ან არ გადასცემს საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკურ საშუალებებს, მას უფლება აქვს მიმართოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან სასამართლოს.

## **216. ვალდებულია თუ არა საკრებულოს წევრი, თავის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილი სამართავად სხვას გადასცეს?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე სამსახურის გავლის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და გათვალისწინებულ პირობებში. ეს პუნქტი საკრებულოს წევრზედაც ვრცელდება.

## **217. შეიძლება თუ არა, თვითმმართველობაში სამუშაოდ მიღებულ იქნეს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

## **218. იხსნება თუ არა თვითმმართველობის მოხელეზე შრომის წიგნაკი?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შრომის წიგნაკის არსებობას არ ითვალისწინებს.

## **219. ვალდებულია თუ არა პირი, საჯარო სამსახურში მიღებისას წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 4. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა სამსახურში მიღებისას პირს ან შემდგომ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება მოსთხოვოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის წარდგენა, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით<sup>4</sup>.

## **220. აქვს თუ არა თვითმმართველობის მოსამსახურეს უფლება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ისარგებლოს დამატებითი სასწავლო შევებულებით?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეს 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ეძლევა სასწავლო შევებულება 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. აღნიშნული მუხლი კანონის ანალოგიით უნდა გავრცელდეს თვითმმართველობის მოსამსახურეებზეც.

## **221. შედის თუ არა ოფიციალური დღესასწაულები ყოველწლიურ ფასიან შევებულებაში?**

არა. კონვენციის „ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველწლიურ ფასიან შევებულებაში არ შედის ოფიციალური და ტრადიციული დღესასწაულები.

## **222. აქვს თუ არა პირს უფლება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გაიაროს თვითმმართველობის ორგანოში?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 1 დეკემბერის №887 ბრძანებულების „საქართველოს მოქალაქეთა მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით შესაბამისი სამსახურებისა და არასამხედრო-შრომითი ფორმირებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ვადებში საქართველოს მოქალაქეები გაივლიან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს:

---

<sup>4</sup> 4. სამსახურში მიღებისას პირმა უნდა წარადგინოს ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა. (ამოქმედდება 2013 წლის 1 იანვრიდან)

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილ დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სატრანსპორტო მომსახურებას, კერძოდ, M3 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ საწარმოში უბილეთო მგზავრობის მაკონტროლებელი უფლებამოსილი თანამშრომლის დამხმარედ;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილ დაწესებულებებში, რომლებიც კანონმდებლობით მიკუთვნებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის საჭიროებენ საკურიერო მომსახურებას – კურიერად;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებულ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილ დაწესებულებებში, რომლებიც ელექტრონული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სფეროში ახორციელებენ მომსახურებას – პროგრამისტად, ტექნიკურ მუშაკად და სხვა.

დ) საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციებისა და კონფესიების მიერ წარმოებულ სამშენებლო, სარემონტო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

### **223. თუ პირი განთავისუფლდა სამსახურიდან ადმინისტრაციის ინიციატივით, კუთვნის თუ არა მას გამოუყენებელი შვებულების თანხა?**

დიახ. კონვენციის „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ მე-6 მუხლის შესაბამისად, კუთვნილი შვებულებით სარგებლობამდე დამქირავებელთა მიზეზით დათხოვნილი პირი ამ კონვენციის თანახმად მისი კუთვნილი შვებულების ყოველი დღისათვის იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ გასამრჯელოს.

### **224. რომელი ადმინისტრაციული აქტი გამოიყენა გამგებლის შვებულებაში გასვლისას?**

ამ შემთხვევაში გამოიყენა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება, ვინაიდან, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელს და თვითმმართველი ქალაქის მერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს თანხმობით.

### **225. რა სახის ადმინისტრაციული აქტი გამოიყენა გამგებლის მივლინებისას და რომელი ადმინისტრაციული აქტით წესრიგდება თვითმმართველობის მოხელის მივლინების წესი?**

გამგებლის მივლინებისას გამოიყენა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება. მივლინების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებით „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულების №1 დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი.

## **226. როგორია ქვეყნის შიგნით თვითმმართველობის მოხელის სამსახურებრივი მივლინების თანხის სადღეღამისო ნორმა?**

„მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების №1 დანართის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ეს ოდენობაა 15 ლარი, რომელიც, მე-17 და მე-17<sup>1</sup> პუნქტების თანახმად, მოსამსახურეს სამივლინებო თანხა ავანსის სახით უნდა მიეცეს მივლინებაში გამგზავრებამდე, გარდა ამ წესით დადგენილი გამოწაკლისებისა. ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას მოსამსახურეს სამივლინებო თანხა შეიძლება მიეცეს მივლინიდან დაბრუნების შემდეგ ფაქტობრივად გაწეული შესაბამისი ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

## **227. თუ თვითმმართველობის მოხელეს არ განუმარტეს მისი მოვალეობანი, რის გამოც მისმა უმოქმედობამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგებს თუ არა პასუხს იგი ამ შემთხვევაში?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად:

- საჯარო მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
- მოსამსახურე ვალდებულია სპეციალური მითითებების გარეშე დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამსახურს ეხება და მის სამსახურებრივ ადგილს უკავშირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მითითებულია 55-ე და 56-ე მუხლების პირველ პუნქტებში<sup>5</sup>.

## **228. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის მოხელე, შეასრულოს ხელმძღვანელის ის დავალება, რომელიც არ შედის მის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურემ უნდა შეასრულოს დაწესებულების ხელმძღვანელის დავალება, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში, თუ ამის გაკეთება აუცილებელია ამ დაწესებულებაში სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან გადასარჩენად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი დავალების შესრულება წინააღმდეგნაჩვენებია მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

---

<sup>5</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე და 56-ე მუხლები ეხება შემთხვევებს, როდესაც მოხელე უფლებამოსილია არ დაიცვას ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს ან რომელიც არ უკავშირდება სამსახურის ადგილს.

## **229. როგორ უნდა მოიქცეს თვითმმართველობის მოხელე, თუ მას სთხოვენ კანონსაწინააღმდეგო განკარგულების შესრულებას?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, აკრძალულია განკარგულების გაცემა, თუ იგი: ა) ეწინააღმდეგება კანონმდებლობას; ბ) სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს; გ) თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია.

განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს. განკარგულების წერილობითი ფორმით განმეორებისას იგი უნდა შესრულდეს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა. მოსამსახურეს შეუძლია უარი განაცხადოს დავალებების შესრულებაზე, თუ მათი შესრულება:

- მიმართული იქნებოდა მისი მეუღლის, მშობლის, მძის, დის, შვილის ან სხვა ახლობელ ადამიანთა წინააღმდეგ;
- წინააღმდეგ ნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის;
- არ იძლევა ბავშვთა აღზრდისათვის დაწესებული შეღავათებით სარგებლობის საშუალებას;
- მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.

დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში მოსამსახურემ დავალების მიმცემს უნდა გააცნოს აღნიშნული გარემოება.

## **230. აქვს თუ არა თვითმმართველობის მოხელეს უფლება, იყოს საწარმოს ხელმძღვანელი?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი.

## **231. აქვს თუ არა მოხელეს უფლება, შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაო?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს, იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

## **232. რა სახის ხელშეკრულებების დადება ეკრძალება თვითმმართველობის მოხელეს?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება:

- გარიგების დასადებად მისთვის მინდობილი დაწესებულების ქონების შექენა;
- ქონებრივი გარიგების დადება იმ დაწესებულებასთან, სადაც საქმიანობს, გარდა კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა;

- როგორც საჯარო მოსამსახურემ, დადოს გარიგება თავისი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პარტიასთან ან სხვა დაწესებულებასთან;
- როგორც საჯარო მოსამსახურემ, დადოს ქონებრივი გარიგება საკუთარ მეუღლესთან, საკუთარ ან მეუღლის ბებიასთან, ბაბუასთან, მშობელთან, ძმასთან, დასთან, შვილთან ან შვილიშვილთან.

**233. შეიძლება თუ არა, თვითმმართველობის მოხელეს საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუჩერდეს სამსახურებრივი ურთიერთობა და შეჩერების პერიოდში შეუნარჩუნდეს თანამდებობრივი სარგო?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება მოხელის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ მოხელის სამსახურში მიღების უფლების მქონე პირი ან დაწესებულება ამის წინააღმდეგი არ არის.

აღნიშნული კანონის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ შემთხვევაში მოხელეს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო.

**234. შეიძლება თუ არა, თვითმმართველობის მოხელე გაათავისუფლოს სამსახურიდან მასთან ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნის და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო.

**235. თუ თვითმმართველობის მოხელემ თვითნებურად 7 დღით დატოვა სამუშაო ადგილი, თავისუფლდება თუ არა იგი სამსახურიდან?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მოხელე, რომელიც თვითნებურად (5 დღეზე მეტი ხნით) მიატოვებს სამსახურს, განთავისუფლებულად ჩაითვლება სამსახურის თვითნებური დატოვების მეორე სამუშაო დღიდან.

**236. ვალდებულია თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელი, სამსახურიდან გაათავისუფლოს 65 წელს მიღწეული პირი?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 101-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს და არ აკისრია ვალდებულება, გაათავისუფლოს სამსახურიდან 65 წელს მიღწეული პირი. აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულება „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად - კანდიდატთა (საჯარო სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთა) ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით.

**237. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის მოხელე, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაამჟღავნოს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ინფორმაცია?**

დაიხ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით.

**238. შეიძლება თუ არა, სამსახურიდან განთავისუფლდეს ორსული ქალი შტატების შემცირების გამო?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. ატესტაციის წესი განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულებით „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“.

**239. უნარჩუნდება თუ არა ხელფასი თვითმმართველობის მოხელეს ორსულობის პერიოდში სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევაში?**

დაიხ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეს ორსულობის პერიოდში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათები ჩათვლება საპატიოდ გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში და შეუნარჩუნდება ხელფასი.

**240. რა სახის დახმარებას ითვალისწინებს კანონი თვითმმართველობის მოხელის დაღუპვისას ან დაინვალიდებისას?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 5 000 ლარისა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაღუპვის

შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

**241. თუ პირი გაათავისუფლეს სამსახურიდან და სამსახურიდან მის გაათავისუფლებაზე გამოცემული ბრძანება სასამართლომ ბათილად გამოაცხადა 1 წლის შემდეგ, აქვს თუ არა სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლებულ თვითმმართველობის მოხელეს მოითხოვოს იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის შრომითი გასამრჯელო?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**242. დაიშვება თუ არა თვითმმართველობის მოხელეს მიეცეს ხელფასი ნაღდი ანგარიშწორებით?**

არა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოსამსახურეს ერიცხება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

**243. რა სახის ქცევის წესებს ავალდებულებს თვითმმართველობის მოხელეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი?**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის VI<sup>1</sup> თავი ადგენს ქცევის ზოგად წესებს საჯარო მოხელეებისათვის. კერძოდ:

ა) საჯარო მოსამსახურე ანგარიშვალდებულია თავისი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, თუ კანონით ან შესაბამისი დაწესებულების დებულებით (რეგლამენტი) სხვა რამ არ არის დადგენილი.

ბ) საჯარო მოსამსახურე თავის სამსახურებრივ მოვალეობას უნდა ასრულებდეს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი. მან ზოროტად არ უნდა ისარგებლოს სამსახურებრივი სახსრებით, რათა არ გაიფლანგოს ისინი.

დ) თუ საჯარო მოსამსახურე დააპატიმრეს ან დააკავეს, ან მას აქვს ინფორმაცია, რომ იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ, ან მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მან აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს.

ე) საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დაწესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას.

ვ) საჯარო მოსამსახურე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება და სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობები, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად.

ზ) საჯარო მოსამსახურემ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპით. დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობის ან სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო განკარგულების ან/და დავალების გაცემა.

თ) საჯარო მოსამსახურემ მიზანმიმართულად არ უნდა გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან/და მცდარი ინფორმაცია.

ი) საჯარო მოსამსახურემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები ინფორმაციის (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, საჯარო მოსამსახურის რეპუტაციასთან დაკავშირებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მოპოვებული და სხვა ინფორმაცია, რომლის ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი ქვეყნის კოდექსით) კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული წესი მოქმედებს მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც.

კ) საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დანიშნვიდან (არჩევიდან) ერთი თვის ვადაში, ხოლო შემდგომ – ყოველი მომდევნო კალენდარული წლის 1 თებერვლამდე საჯაროდ განაცხადოს მასთან დაკავშირებული პირის შესახებ, რომელიც მუშაობს იმავე დაწესებულებაში, სადაც დასაქმებულია საჯარო მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის წერილობითი განცხადება აღნიშნულის შესახებ მასთან დაკავშირებული პირის საიდენტიფიკაციო და მათი კავშირის აღმნიშვნელი ინფორმაციის მითითებით წარედგინება და აღირიცხება დაწესებულების კადრების სამსახურში. ამ თავის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურესთან „დაკავშირებულ პირში“ იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ოჯახის წევრი“ და „ახლო ნათესავი“, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელთანაც საჯარო მოსამსახურეს აქვს ერთიანი საოჯახო (შინა) მეურნეობა, ანუ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

ლ) საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

მ) თუ გაურკვეველია, საჯარო მოსამსახურეს აქვს თუ არა შემოთავაზებული საჩუქრის ან ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ანდა მომსახურებით სარგებლობის უფლება, იგი ვალდებულია განაცხადოს ამის თაობაზე.

თუ საჯარო მოსამსახურეს სთავაზობენ არაჯეროვან სარგებელს, იგი ვალდებულია:

ა) უარი თქვას არაჯეროვან სარგებელზე;

ბ) შეეცადოს, მოახდინოს ასეთი წინადადების შემომთავაზებელი პირის იდენტიფიცირება;

გ) შეზღუდოს ამ პირთან კონტაქტი და შეეცადოს, დაადგინოს ასეთი წინადადების შემომთავაზების საფუძველი;

- დ) თუ შეუძლებელია საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება, საჩუქარი 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცეს შესაბამის სახელმწიფო სამსახურს – საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს;
- ე) გამოიყენოს მოწმეთა ჩვენებები (მათი არსებობის შემთხვევაში);
- ვ) შემოთავაზების მცდელობის შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი ფორმით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს.

#### **244. აქვს თუ არა თვითმმართველობის მოხელეს მხილების ვალდებულება?**

დიახ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია: ა) სხვა საჯარო მოსამსახურის მიერ ნებისმიერი უკანონო ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ მტკიცებულების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეტყობინების გზით ამხილოს იგი ზემდგომ თანამდებობის პირთან; ბ) თუ არ ჰყავს ზემდგომი თანამდებობის პირი, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს. ზემდგომი თანამდებობის პირი ვალდებულია ა) შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს შესაბამისი ზომები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აცნობოს სამართალდამცავ ორგანოს; ბ) არ გაამჟღავნოს მამხილებლის და მასთან დაკავშირებული პირის ვინაობა (საიდენტიფიკაციო მონაცემები); გ) არ დაუშვას მამხილებლის და მასთან დაკავშირებული პირის რეპუტაციის შელახვა; დ) დაიცვას მამხილებელი, რათა არ გაუარესდეს მისი სამსახურებრივი მდგომარეობა ან არ შეიზღუდოს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება.

#### **245. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს უფლება, მონაწილეობა მიიღონ კოლექტიური ხელშეკრულების დადების პროცესში?**

არა. საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან პირობების შეცვლის დროს დაუშვებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩარევა. ამგვარი ჩარევით დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ბათილია.

#### **246. დამტკიცებულია თუ არა სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვის წესები?**

დიახ. აღნიშნული წესი განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 18 მაისის №649 ბრძანებით „სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“.

#### **247. შესაძლებელია თუ არა, სასამართლოს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება დაევალოს თვითმმართველობის ორგანოს?**

დიახ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ

ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება განჩინებით დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ანდა უბნის ინსპექტორები ვალდებული არიან, განჩინებით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ მხარეებისათვის, მათი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისა და თარჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება და მისი ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აცნობონ მოსამართლეს.

**248. შესაძლებელია თუ არა, სააპელაციო სასამართლოში თვითმმართველობის ორგანოს ინტერესები დაიცვას პირმა, რომელსაც გავლილი არა აქვს ადვოკატთა ტესტირება?**

დიახ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პირებს, რომლებსაც გავლილი არა აქვთ ადვოკატთა ტესტირება და მიღებული არა აქვთ ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობები, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ორგანიზაციების თანამშრომლებისა - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

**249. აქვს თუ არა თვითმმართველობის მოხელეს, რომელიც არ არის იურისტი, უფლება, წარმომადგენლის თვითმმართველობის ორგანოს ინტერესები სასამართლოში?**

დიახ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

**250. თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, შეიძლება თუ არა, სასამართლო უწყება ჩაბარდეს თვითმმართველობის ორგანოს?**

არა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

## **251. განეკუთვნება თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების საკითხების გადაწყვეტა თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას?**

არა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მიაკუთვნებს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზებას. (მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი), მაგრამ კონსტიტუციურ კანონს აქვს უპირატესი და პირდაპირი მოქმედების ძალა.

## **252. რა არის მუნიციპალური განვითარების ფონდი?**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის (თემების) ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას, განახლებადი ენერჯის (მცირე ზომის ჰიდრო-ელექტროსადგურებისა და გეოთერმული) ობიექტების განვითარებას, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფას, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას, საქართველოში კონფლიქტების შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფონდი თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსახლეობასთან, ახდენს სახსრების მობილიზებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, დონორი სააგენტოებიდან და უცხო ქვეყნიდან, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან. ფონდის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

## 253. რა ვალდებულებები აკისრია მუნიციპალური განვითარების ფონდს?

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის თანახმად, ფონდის ვალდებულებებია:

- ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- ფონდის სახსრების პოტენციური მსესხებლის სესხის ადების შესაძლებლობათა შეფასება, რაც ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან შესაბამისი დონორებისათვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებს;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების შეფასება, რაც ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან შესაბამისი დონორებისათვის მისაღებ სხვა წესებსა და ინსტრუქციებს;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების დაფინანსება საქართველოს მთავრობასა და შესაბამისი დონორებს შორის შეთანხმებული პროცედურებისა და პირობების მიხედვით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის ინიციატივით შემუშავებული მიკროპროექტების განხორციელება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრირების უნარის განვითარება, თვითმმართველი ერთეულის ქონებისა და ფინანსური სახსრების მართვასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარება და ადგილობრივი ორგანოების ანგარიშგების გაუმჯობესება;
- ფონდის მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობა;
- ტექნიკური დახმარების თანხების მობილიზება, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით;
- ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების კონტრაქტების განხორციელების ზედამხედველობა;
- ფონდის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ღონისძიებათა კოორდინირება შესაბამისი სამინისტროებსა და სხვა სააგენტოებთან;
- ტექნიკური დახმარების პროგრამების კოორდინირება სხვა დონორებთან;
- ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების საბუღალტრო და ფინანსური მართვის განხორციელება;
- დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ფონდის ანგარიშების ყოველწლიური აუდიტის განხორციელების უზრუნველყოფა საერთაშორისო სააუდიტო სტანდარტების შესაბამისად;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფონდს შორის გაფორმებული პროექტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება;
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია;
- წყალდიდობებისაგან დაზარალებული საირიგაციო და ნაპირდამცავი

ინფრასტრუქტურის აღდგენა;

- სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა.
- განახლებადი ენერჯის (მცირე ზომის ჰიდროელექტრო და გეოთერმული სადგურები) ფონდის მენეჯმენტის უზრუნველყოფა;
- იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა.
- სახელმწიფო პროგრამის “იფი კრედიტის” მენეჯმენტის უზრუნველყოფა;
- უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოში კონფლიქტების შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის სარეაბილიტაციოდ საჭირო პროექტების მართვა, იძულებით გადაადგილებული პირების დროებითი და მუდმივი თავშესაფრით უზრუნველყოფისა და მათთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის ხელშეწყობა, ამ კონფლიქტებით წარმოქმნილ პრობლემათა გადასაჭრელად დაგეგმილი სხვა პროექტების მართვა, განხორციელება და ზედამხედველობა.

## **254. რა არის პროფესიული კავშირი და ვის აქვს პროფესიული კავშირის შექმნის უფლება?**

„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად:

- პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით - საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა (პირველი პუნქტი);
- პროფესიული კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია 100 დამფუძნებელი მაინც (მე-9 პუნქტი).

## **255. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველ ერთეულში შეიქმნას პროფესიული კავშირი?**

დიახ. „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული კავშირი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და სხვა სამუშაო ადგილებზე.

## **256. რა უფლებები აქვს პროფესიულ კავშირს?**

„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად:

- პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) იცავენ და წარმოადგენენ პროფკავშირის წევრთა შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს.
- პროფესიულ კავშირებს, პროფესიული კავშირების გაერთიანებებს (ასოციაციებს) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის ორგანოებში შრომით და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების წინასწარ განხილვაში, შეიმუშაონ ალტერნატიული წინადადებები.
- პროფესიული კავშირი წარადგენს წინადადებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში ცხოვრების დონის ძირითადი კრიტერიუმებისა და კომპენსაციების განსაზღვრის შესახებ.
- პროფესიული კავშირი იცავს თავისი წევრების უფლებებს, თავისუფლად გამოიყენონ შრომითი შესაძლებლობები, აირჩიონ პროფესია, მიიღონ შრომის სამართლიანი ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ოდენობით მაინც.
- შრომის ნორმებს, შრომის ანაზღაურების სისტემებს, მატერიალური წახალისების ფორმებს, სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების ოდენობას კანონმდებლობის მიხედვით აწესებენ დამსაქმებელები, დამსაქმებელთა გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები), შესაბამისი პროფესიული კავშირების მონაწილეობით, რაც მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აისახება კოლექტიურ (სატარიფო) ხელშეკრულებებში (შეთანხმებებში).
- პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) შეუძლიათ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების) და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების წინაშე მათ მიერ დაყენებული საკითხებისა და წინადადებების განხილვაში.
- პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ხელმძღვანელი ორგანოები მუშაკთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტერესებთან და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) გათვალისწინებულ პირობებში.

მე-17 მუხლის თანახმად:

- პროფესიულ კავშირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის, პროფესიული დაავადებებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო პროგრამების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებაში და დააწესოს საზოგადოებრივი კონტროლი მათი განხორციელებისადმი.
- პროფესიულ კავშირს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი ორგანოებისაგან შრომის პირობების ისეთი დარღვევების აღმოფხვრა, რომლებიც საშიშროებას უქმნის მუშაკის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- პროფესიული კავშირი, მისი შრომის დაცვის სამსახურის მუშაკები, მონაწილეობენ საწარმოო ტრავმებისა და უბედური შემთხვევების გამოკვლევაში.

- პროფესიული კავშირი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საწარმოო ობიექტების, მექანიზმების, ხელსაწყო-დანადგარებისა და ინსტრუმენტების უსაფრთხოების ექსპერტიზაში მათი დაპროექტებისას, მშენებლობისას და საექსპლუატაციოდ მიღებისას.

მე-20 მუხლის შესაბამისად, პროფესიულ კავშირს უფლება აქვს:

- პროფკავშირის წევრების შრომითი უფლებების დასაცავად, კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინოს სარჩელი, შეიტანოს განცხადება და გამოვიდეს სასამართლოში ან შრომითი დავის განმხილველ სხვა ორგანოებში;
- გაუწიოს პროფკავშირის წევრებს სამართლებრივი დახმარება;
- შეიქმნას იურიდიული განყოფილებები და კონსულტაციები თავისი სტრუქტურების ფარგლებში.

## 257. პროფესიული კავშირი ხელს უწყობს თუ არა დასაქმებას?

დაიხ. „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად:

- პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) მონაწილეობენ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის, საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან გათავისუფლებულ მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.
- დამსაქმებლები, დამსაქმებელთა გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები) წინასწარ – ორი თვით ადრე მაინც აწვდიან ინფორმაციებს შესაბამის პროფესიულ კავშირებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან მუშაობის დროებით შეჩერების შესახებ, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას ან შრომის პირობების გაუარესებას, გათავისუფლებულ მუშაკთათვის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) დადგენილი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.
- პროფესიულ კავშირს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების განსახილველად წინადადებები მუშაკთა მასობრივ გათავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ვადების გადატანის ან დროებით შეჩერების თაობაზე.
- პროფესიული კავშირი საზოგადოებრივ ზედამხედველობას უწევს დასაქმების მდგომარეობას.
- დამსაქმებლის ინიციატივით მუშაკთან – პროფკავშირის წევრთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადაზე ადრე გაუქმება, შესაბამისი პროფკავშირის კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით, შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში).
- დაუშვებელია დამსაქმებლის მიერ მუშაკის დისკრიმინაცია პროფკავშირის წევრად ყოფნის ან არყოფნის გამო.
- პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამუშაო ძალის უცხოეთის ქვეყნებიდან საქართველოში ორგანიზებული მოწვევის ან საქართველოდან ორგანიზებული გაყვანის საკითხების განხილვაში.

**258. უფლებამოსილია თუ არა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, გამოიყენოს თვითმმართველობის ორგანოთა ძალები და საშუალებები?**

დიახ. „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უფლება აქვს დაცვის ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიზნით მოიზიდოს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ძალები და საშუალებები, მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

**259. რა არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უფლებამოსილია თუ არა გამგებელი, გამოსცეს ბრძანება, რომელიც შეიცავს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. გამგებელს არა აქვს უფლება, გამოსცეს ნორმატიული შინაარსის დოკუმენტი. გამგებლის ბრძანება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

**260. რა შემთხვევაშია უფლებამოსილი საკრებულო, მიიღოს დადგენილება?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს დადგენილება არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით.

**261. თუ ორი კანონი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული?**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თუ ორი კანონი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, გამოიყენება ის კანონი, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული.

**262. თუ არ არსებობს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, სამართლის რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული?**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, თუ არ არსებობს ნორმა, რომელიც კერძოსამართლებრივ ურთიერთობას მოაწესრიგებს, გამოიყენება მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, ხოლო თუ მსგავსი ნორმაც არ არსებობს, საკითხი უნდა გადაწყდეს სამართლის მთელი სისტემის და ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

**263. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, მიიღოს ნორმატიული აქტის მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი?**

დაიხ. ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

**264. ვინ არის უფლებამოსილი, მოამზადოს საკრებულოს დადგენილების პროექტი?**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების უფლება აქვს საკრებულოს წევრს, გამგებელს. გამგებელი დადგენილების პროექტს წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 32<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით საკრებულოს წევრს უფლება აქვს, ინიცირების წესით საკრებულოში შეიტანოს საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

**265. უფლებამოსილია თუ არა გამგებელი, ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება დაუკვეთოს არასახელმწიფო ორგანიზაციას ან სპეციალისტთა ჯგუფს?**

დაიხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტს ან თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირს) უფლება აქვს, ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება დაუკვეთოს სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის, უცხოეთის დაწესებულებას), ცალკეულ სპეციალისტსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის, უცხოელებს).

**266. აქვს თუ არა თვითმმართველობას უფლება, ნორმატიული აქტი გამოაქვეყნოს არასახელმწიფო ენაზე?**

დიახ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული აქტი უნდა მომზადდეს, გამოიცეს და გამოქვეყნდეს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტები – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზედაც, მაგრამ ასეთ ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა.

**267. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, ჰქონდეს საკუთარი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო?**

არა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ გამოსაქვეყნებლად უნდა გაეგზავნოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებიდან (ხელმოწერიდან) არა უგვიანეს მეორე დღისა.

**268. რა შემთხვევაში აქვს უფლება „საკანონმდებლო მაცნეს“ უფლება, უარი განაცხადოს საკრებულოს დადგენილების გამოქვეყნებაზე?**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ითქვას, თუ:

ა) გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ ნორმატიულ აქტს (გარდა ამ კანონის 27-ე მუხლის მე-2–მე-6 პუნქტებში მითითებული ნორმატიული აქტებისა, აგრეთვე ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი შემთხვევებისა<sup>6</sup>) თან არ ახლავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა ან გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შინაარსი არ შეესაბამება მისი პროექტის შინაარსს, რომელზედაც იუსტიციის სამინისტრომ გასცა დადებითი დასკვნა;

ბ) გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილია ინდივიდუალური შინაარსის ნორმატიული აქტი;

გ) გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილია ნორმატიული აქტი არასახელმწიფო ენაზე;

დ) ნორმატიულ არ აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

ნორმატიული აქტის სახე;

ნორმატიული აქტის სათაური;

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება, – მისი შეტანის თარიღიც);

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული (გამოცემული));

<sup>6</sup> აქ თვითმმართველობებთან დაკავშირებით იგულისხმება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული თვითმმართველობის აქტები, რომლებიც სამართლებრივ დასკვნას არ საჭიროებენ.

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი.

დ) გამოსაქვეყნებლად გადაგზავნილია ვადის დარღვევით (მეორე დღის შემდეგ).

ნორმატიული აქტის გამოქვეყნებაზე უარი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება.

## **თავი XVI. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

### **269. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს გამოხატვის თავისუფლება?**

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს:

- აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;
- ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;
- ქველმოქმედების უფლებას;
- მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;
- თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.

გამოხატვის თავისუფლება აქვს ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) გარდა.

### **270. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, დააფუძნოს საკუთარი გაზეთი, რომელშიც იგი გაავრცელებს ნებისმიერი სახის ინფორმაციას?**

არა. თვითმმართველ ერთეულს არ გააჩნია გამოხატვის თავისუფლება. მას არა აქვს უფლება, გაავრცელოს ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის ინფორმაცია. თუმცა ეს გარემოება არ უზღუდავს თვითმმართველ ერთეულს უფლებას, გაავრცელოს თავისი ადმინისტრაციული აქტები. ადმინისტრაციულ აქტად ითვლება მის მიერ გამოცემული ან დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს იურიდიული შედეგები.

**271. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, დააფუძნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება ან იყოს წილის მფლობელი იმ საწარმოში, რომელსაც აქვს ლიცენზია?**

არა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ამ მიზნების მისაღწევად საინფორმაციო საშუალებების დაფუძნების უფლებას.

**272. როგორ განმარტავს საქართველოს კანონმდებლობა სიტყვას „აზრი“ და რას ნიშნავს ფრაზა „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“?**

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად:

- „აზრი“ არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს („ბ“ ქვეპუნქტი);
- „აბსოლუტური პრივილეგია“ ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას („ფ“ ქვეპუნქტი).

ასე რომ, არ შეიძლება პირმა პასუხი აგოს საკუთარი აზრისათვის.

**273. იწვევს თუ არა პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრის მიერ გაკეთებული განცხადება?**

არა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

- პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;
- უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

**274. არის თუ არა საკრებულოს თავმჯდომარე, წევრი, გამგებელი საჯარო პირი და ეკისრება თუ არა პირს პასუხისმგებლობა მათი ცილისწამებისათვის?**

დიახ. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო პირი არის:

- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი (კერძოდ, „ქ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით თანამდებობის პირებად განსაზღვრულია ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები);
- პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე;
- პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

ამდენად, საკრებულოს თავმჯდომარე, წევრი, გამგებელი არის საჯარო პირი.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

## **275. რა შემთხვევაში თავისუფლდება ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობისაგან პირი?**

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

## **276. რა ვადაში უნდა წარადგინოს პირმა სასამართლოში სარჩელი ცილისწამებისათვის და როდიდან აითვლება სარჩელის წადგენის ვადა?**

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.

## **277. რა არის რეკლამა და ვალდებულია თუ არა თვითმმართველობა, უზრუნველყოს გარე რეკლამის რეგულირება?**

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეკლამა არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2

პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, გარე რეკლამის განთავსების რეგულირება თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება.

## **278. უნდა ჰქონდეს თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს გარე რეკლამის გავრცელების გეგმა?**

დიახ. საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების გეგმა (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული: ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ); ბ) საპატრულო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე; გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას; დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო – საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში – ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

## **279. კერძო საკუთრებაში გარე რეკლამის განთავსება საჭიროებს თუ არა ნებართვას?**

არა. საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა მხოლოდ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსებისათვის. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსება დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ საჭიროებს ამ კანონით განსაზღვრულ გარე რეკლამის განთავსების ნებართვას. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## **280. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს კონტრრეკლამის განხორციელების უფლება?**

დიახ. საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ მე-19 მუხლის შესაბამისად, 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და კონტრრეკლამის განხორციელების თაობაზე. 2. დამრღვევი ვალდებულია

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობიდან დაუყოვნებლივ შეაჩეროს არასათანადო რეკლამა და 10 დღეში გაავრცელოს კონტრრეკლამა. 3. რეკლამის კანონმდებლობის დამრღვევის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს არასათანადო რეკლამის შეჩერებისა და დამრღვევისათვის კონტრრეკლამის გავრცელების დაკისრების მოთხოვნით. 4. კონტრრეკლამა უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებით და მათი თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც არასათანადო რეკლამა. კონტრრეკლამის შინაარსი უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. მისი გადაწყვეტილებით შეიძლება კონტრრეკლამის გავრცელების საშუალებათა თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის მახასიათებლების შეცვლა.

## **თავი XVII. მშენებლობა**

### **281. რა არის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები და ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, დაამტკიცოს აღნიშნული წესები?**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიებზე უძრავი ნივთების განვითარების, გამოყენების და მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს.

აღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია დაამტკიცოს აღნიშნული წესები.

### **282. განეკუთვნება თუ არა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების შემუშავება თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებსა და წესებს შეიმუშავებენ და ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული განვითარების სფეროებისა და ტერიტორიებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **283. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, დააწესოს ტერიტორიის განვითარების შეზღუდვა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე (დასახლებაში)?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ტერიტორიებზე (დასახლებებში) მნიშვნელოვანი ქალაქთმშენებლობითი, გეგმარებითი,

საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, თავდაცვითი, კულტურული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მთავრობასთან შეთანხმებით და საქართველოს მთავრობას უფლება აქვთ, სპეციალური სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადით გამოაცხადონ ტერიტორიების განვითარების შეზღუდვა.

## **284. რა არის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა?**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა განსაზღვრავს დასახლების ტერიტორიის გამოყენებას (მიწათსარგებლობას), გამომდინარე მიწათსარგებლობის ზონის ტიპიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრატეგიისა და შესაძლო განვითარების გათვალისწინებით, მათ შორის:

- სივრცის კატეგორიებს: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, სპეციალური ტერიტორიები;
- დასახლების სტრუქტურას და საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების იერარქიას;
- ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციებს;
- ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებით ღერძებს;
- დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილებს, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიებს;
- სივრცეებს ზელოკალური ტრანსპორტისათვის და ძირითადი ადგილობრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის;
- კომუნალური მომსახურების და ტერიტორიების კეთილმოწყობის ძირითად ასპექტებს;
- გამწვანების სისტემას;
- სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიებს;
- ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობებს;
- დაცული ტერიტორიების სისტემას;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიებს;
- სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიებს;
- წიაღისეულის მოპოვების ადგილებს;
- წყლის ობიექტებს და წყალშემკრებ ტერიტორიებს, წყლის რეზერვუარებს, ავზებს;
- მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებულ სხვა ტერიტორიებს;
- თავდაცვის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერიტორიებს;
- მიწათსარგებლობის პრინციპებს.

## **285. განაშენიანების რომელი ზონების შეიძლება გამოიყოს?**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, როგორც წესი, გამოიყოფა განაშენიანების შემდეგი ძირითადი ზონები: ა) საცხოვრებელი

ზონა; ბ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა; გ) სამრეწველო ზონა; დ) კომერციულ-სასაწყობო ზონა; ე) სპეციალური დანიშნულების ზონა. ასევე გამოიყოფა განაშენიანების შემდეგი ზონები: ა) საინჟინრო ინფრასტრუქტურის ზონა; ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა, მათ შორის, სასოფლო დასახლებათა; გ) გამწვანებული ტერიტორიების ზონა; დ) წყლის ობიექტების ზონა.

## **286. განეკუთვნება თუ არა დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას ახორციელებენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, დასახლების მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

## **287. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს მიწის ნაკვეთების უპირატესი შესყიდვის უფლება და თუ აქვთ \_ რა შემთხვევაში?**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენონ უპირატესი შესყიდვის უფლება მიწის ნაკვეთზე და მასთან მყარად დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებზე სივრცით-ტერიტორიული განვითარების აუცილებელი საჭიროებისთვის, თუ ამ მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ:

- ტერიტორიები მოქცეულია განაშენიანების რეგულირების გეგმის მოქმედების არეალში და მათი გამოყენება ითვალისწინებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ქალაქთმშენებლობით რეკონსტრუქციას ან დასახლების განვითარების პროგრამის განხორციელებას;
- ტერიტორიების განაშენიანება უნდა განხორციელდეს გარემოს და საინჟინრო უსაფრთხოების დაცვით;
- ტერიტორიები მოქცეულია ურბანული მემკვიდრეობისა და დასახლების ისტორიული ნაწილის ზონაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოსაყენებლად უნდა განსაზღვრონ და დაასაბუთონ მიწის ნაკვეთების გამოყენების მიზნები და შესაძლებლობები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის უპირატესი შესყიდვის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთები აღნიშნული უნდა იყოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაში, რომელიც არეგულირებს დასახლებათა ტერიტორიების ამ ნაწილის განაშენიანებას.

**288. პასუხისმგებელი არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები დასახლებათა ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარებისათვის?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარებისათვის პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

**289. შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში სივრცით-ტერიტორიული ნორმების და წესების დამტკიცება?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმები და წესები არის – დაგეგმვაზე უფლებამოსილი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

**290. შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში შენობისათვის შეუსაბამო სტატუსის მინიჭება?**

დიახ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებისა და წესების, აგრეთვე მიწათსარგებლობის გეგმების მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამება განაშენიანების ნებადართულ სახეობებს, ქალაქთმშენებლობით და მოცულობით-სივრცით მოთხოვნებს, იძენს შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სტატუსს, რომელსაც ანიჭებს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო; შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების შემდგომი განვითარება (ტერიტორიის გაფართოება, ფუნქციის შეცვლა, რეკონსტრუქცია) ხორციელდება მხოლოდ შეუსაბამობის შემცირების პირობით.

**291. აქვს თუ არა საკრებულოს უფლება შექმნას დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისია?**

დიახ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ მე-16 მუხლის შესაბამისად, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების შემდგომი დახვეწისა და ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, თვითმმართველობის ორგანოებთან საკრებულოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისია“, რომელიც ექვემდებარება შესაბამისი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს. კომისიის კომპეტენციათა სფეროს შესაძლებელია

განეკუთვნებოდეს: ა) საკრებულოებისათვის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებში რეგულარული მოხსენებების მომზადება და კონსულტაციების გაწევა; ბ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესების საჯაროობის მიზნით საზოგადოებრივი ინფორმირების სამუშაოებისა და განხილვების ორგანიზება თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან ერთად; გ) დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებზე წინადადებების, შენიშვნების და საჩივრების განხილვა; დ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების გეგმარებითი დავალებების გაცემის თაობაზე თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა მომზადება; ე) მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისათვის საკრებულოების გადაწყვეტილებათა მომზადება თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან ერთად; ვ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცების თაობაზე თვითმმართველობის გადაწყვეტილებების და/ან დასკვნების მომზადება; ზ) სპეციალური ზონალური შეთანხმებისათვის საკრებულოს გადაწყვეტილების მომზადება. კომისიის არსებობის შემთხვევაში მისი ფუნქცია და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ქ. თბილისში და ქ. ბათუმში ამტკიცებს, შესაბამისად, ქ. თბილისის ან ქ. ბათუმის მერია, ხოლო სხვა თვითმმართველ ერთეულებში – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

## **292. აქვს თუ არა საკრებულოს სარეაბილიტაციო არეალის დადგენის უფლება?**

დაიხ. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების განვითარების ან/და რეაბილიტაციის მიზნით თვითმმართველი ერთეულის – საკრებულოს (ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობის) დადგენილებით შესაძლებელია დადგინდეს სარეაბილიტაციო არეალი; სარეაბილიტაციო არეალში მდებარე უძრავი ქონების განვითარებაში ან/და რეაბილიტაციაში თვითმმართველი ერთეული მონაწილეობს თავისი გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების ან თავის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით, როგორც რეაბილიტაციის განმახორციელებელი სუბიექტი (დამკვეთი, მშენებელი).

## **293. გაცემს თუ არა თვითმმართველობა მშენებლობის ნებართვას?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა.

## **294. რამდენი სტადიაა საჭირო მშენებლობის ნებართვის გასაცემად?**

საჭიროა სამი სტადია. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის (მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებისა) ნებართვა გაიცემა სამი სტადიით (გარდა ამ დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისებისა), რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს, მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

- I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) – არა უმეტეს 15 დღისა, V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის – არა უმეტეს 30 დღისა;
- II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (შემდგომში – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება) – არა უმეტეს 20 დღისა;
- III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 10 დღისა.

## **295. დაიშვება თუ არა, რომ კერძო მესაკუთრემ თვითმმართველ ერთეულთან გააფორმოს შეთანხმება მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე?**

დაიხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ ეფექტიანად გამოყენებისათვის შესაძლებელია მათი საზღვრების კონფიგურაციის შეცვლა, სათანადო ხელშეკრულების, მათ შორის, ნატურალური ან/და ფულადი კომპენსაციის საფუძველზე. მიწის ნაკვეთების საზღვრების კონფიგურაციის ცვლილების საფუძველია მომიჯნავე ნაკვეთების მესაკუთრეებს შორის დადებული შეთანხმება მიწის ნაკვეთების საზღვრების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე. საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიწის ნაკვეთების საზღვრების კონფიგურაციის შეცვლა ხორციელდება მესაკუთრეთა ინტერესების დაცვითა და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე – საკუთრების უფლებათა გადანაწილებით. ერთი მხრივ – სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის, და მეორე მხრივ – კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება ხორციელდება შეთანხმების საფუძველზე. საზღვრების გამიჯვნა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში.

## **296. საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებისას საჭიროა თუ არა თვითმმართველი ერთეულის თანხმობა?**

დაიხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი დაგეგმილია არსებული საინჟინრო-საკომუნიკაციო ნაგებობების გამოყენებით (ღარები, არხები, შახტები, გვირაბები, ხიდები, ანძები და ა.შ.), აღნიშნული

უნდა შეთანხმდეს არსებული საინჟინრო-საკომუნიკაციო ნაგებობების მესაკუთრეებთან. ტრანშეის გათხრის ან/და საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანის შემთხვევაში საჭიროა მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის თანხმობა, ხოლო საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანხმობა.

**297. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული დაამტკიცოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახის მიწის ნაკვეთის საზღვრები?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების საპროექტო დოკუმენტაციას ამუშავებს ნებისმიერი მეწარმე სუბიექტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაკვეთით; განცხადება მრავალბინიანი სახლების მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების დამტკიცების შესახებ, ან წესით დადგენილი ფორმიტა და შემადგენლობით, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საზღვრების თანდართულ საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება თვითმმართველი ერთეულის მიერ ამისთვის უფლებამოსილ სამსახურს; თვითმმართველი ერთეული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით იხილავს და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრების დამტკიცების ან აღნიშნულზე უარის თქმის შესახებ.

**298. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობა დაადგინოს საზოგადოებრივი ტერიტორიის დროებითი სარგებლობის წესი?**

დიახ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 84-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც სამშენებლო მოედნის საზღვრები არ არის საკმარისი სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად და ამისათვის არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა, მაშინ იმ მოსაზღვრე მიწის ნაკვეთების ან/და საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის გამოყენება, რომელსაც არ ფლობს საკუთრებაში მშენებლობის ნებართვის მფლობელი, განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც მშენებლობის ნებართვის მფლობელსა და ამ მიწის ნაკვეთების ან/და საზოგადოებრივი სივრცეების/ტერიტორიების მესაკუთრეებს შორის არის გაფორმებული. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ადგენენ საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესს.

**299. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული დაადგინოს საზოგადოებრივ ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობის გამოყენების ვადა?**

დიახ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების ვადას, ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში, ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**300. უფლებამოსილია თუ არა ქ. თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო განსაზღვროს ის ზონები, სადაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა II და III სტადიით?**

არა. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 38<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა და მოქმედებს დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ხოლო ქ. თბილისში – დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, განსაზღვრულ ზონებში III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ<sup>2</sup>-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცემა II და III სტადიით. აღნიშნულ ზონებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის მთავრობა.

**301. სად უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა, თუ მშენებლობა დაგეგმილია განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 41-ე მუხლის შესაბამისად, განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ დაგეგმილი მშენებლობისას საინფორმაციო დაფა უნდა განთავსდეს იმ თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის ადმინისტრაციული შენობის მახლობლად, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის დაგეგმილი მშენებლობა, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილზე.

**302. შესაძლებელია თუ არა თვითმმართველი ერთეულისათვის არქიტექტურული პროექტი წარგენილი იყოს ელექტრონული ფორმით?**

დიახ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის (ქ. თბილისის ტერიტორიაზე – ქ. თბილისის მთავრობის) გადაწყვეტილებით, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტი შესაძლებელია წარდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით.

გარდა ამისა, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის (ქ. თბილისის ტერიტორიაზე – ქ. თბილისის მთავრობის) გადაწყვეტილებით, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები შესაძლებელია წარდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით.

### **303. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული განსაზღვრონ კონკრეტულ ქუჩაზე არქიტექტურული პროექტის ფასადის ნაწილის შეთანხმების სავალდებულობა?**

დიახ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 50-ე მუხლის შესაბამისად, 1. არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სექციის შეთანხმება სავალდებულოა: ა) არქიტექტურული პროექტის – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში. აგრეთვე ქ. თბილისის ტერიტორიაზე II, III, IV კლასების მქონე შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობისას, გარდა დადგენილებით განსაზღვრული შემთხვევებისა; ბ) კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სექციის – მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, ამ დადგენილებით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, დადგენილების 32-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. 2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო, ხოლო სხვა თვითმმართველობის სამოქმედო ტერიტორიაზე – თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, უფლებამოსილი არიან, არქიტექტურული პროექტის ფასადის ნაწილის შეთანხმების სავალდებულობა განსაზღვრონ კონკრეტულ ქუჩებზე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

### **304. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული განსაზღვროს ზონები, დადაც აკრძალულია გარკვეული შენობების მშენებლობა?**

დიახ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები და პირობები, სადაც I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა გარკვეული სახეობების განთავსება/მშენებლობა აკრძალულია.

### **305. რომელი ორგანოები მონაწილეობენ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე შესაბამისად, 1. მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ამ დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის პირველ და მეორე სტადიაზე მონაწილეობას იღებენ შემდეგი სხვა ადმინისტრაციული ორგანოები: ა) ამ დადგენილებით IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში – სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო, გარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაცემი მშენებლობის ნებართვისა; ბ) ბაკურიანის, ბახმაროს, ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის, ასევე ქ. ბორჯომის

ტერიტორიაზე განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებისათვის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ბ<sup>1</sup>) გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის – ქ. თბილისის მერია; გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა ქალაქ თბილისის ტერიტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭო, რომლის შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით; ე) დაცული ტერიტორიისა და იმ ობიექტებისათვის, რომლებშიც განსახორციელებელი სამშენებლო საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეთანხმებას – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ვ) სანაპირო ზოლში ან/და სანაპირო ზონებში – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ – მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი; ზ) სასაზღვრო ზოლში ან/და სასაზღვრო ზონებში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია; თ) გრუნტის ზედაპირიდან ან შენობა-ნაგებობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფუძიდან არანაკლებ 25 მეტრ სიღრმეზე გვირაბის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო გვირაბის) ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე ისეთი შენობა-ნაგებობებისათვის, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემას, ან/და რომლებიც უშუალოდ გამოიყენება ელექტროენერჯის წარმოებისათვის, მათ შორის, იმ ენერგეტიკული ობიექტებისათვის, რომელთა განთავსებაც გათვალისწინებულია შემდეგ მდინარეებზე: ენგური, რიონი, ყვირილა, მტკვარი, ხრამი, თერგი, ქსანი, არაგვი, სუფსა, ბახვისწყალი, ხობისწყალი, ტეხური, ცხენისწყალი, ძირულა, ნენსკრა, კინტრიში, ჯეჯორა, ყანისწყალი, გუზაზეული, ფარავანი, სტორი, ნაკრა, ხელედულა, ჯანაული, საკაურა, ჩაქვისწყალი, წაბლარისწყალი, სამყურის წყალი, მაგანა და პირიქითა ალაზანი, – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ი) მაგისტრალური ნავთობსადენისათვის, მაგისტრალური (მაღალი წნევის) გაზსადენისათვის, ფუნქციონირებისათვის, საჰაერო-საბაგრო გზისა და იმ შენობა-ნაგებობისათვის, რომელიც საშიში საწარმოო პროცესის მიმდინარეობის ან კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სახიფათო ნივთიერებების შენახვა-გამოყენების გამო საჭიროებს უსაფრთხოების დაცვის განსაკუთრებულ პირობებს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია; კ) ამ დადგენილების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზეც დაგეგმილია მშენებლობა.

### **306. რომელი სამშენებლო სამუშაოები არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის თანახმად, 1. I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის

ნებართვა (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა). I კლასს განეკუთვნება: ა) 60 მ<sup>2</sup>-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა; ბ) 20 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა; გ) გრუნტის ზედაპირიდან 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე; დ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა; ე) V კატეგორიის ელექტროსადგურები (ჰიდროელექტროსადგური 50 კვტ-მდე, მზისა და ბიოგაზის დანადგარი); ვ) კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით ან კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟისათვის ტრანშეის/თხრილის მოწყობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი დამატებით საჭიროებს სანებართვო შენობა-ნაგებობის მშენებლობას/მონტაჟს); ზ) გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობა; თ) საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობები ან/და დანადგარები; ი) ხაზობრივი ნაგებობები – III კატეგორიის გაზსადენი, III კატეგორიის წყალსადენი, III კატეგორიის წყალარინების მილი, III კატეგორიის ქუჩა, IV და V კატეგორიების ელექტროგადამცემი ხაზები; კ) ლანდშაფტური მშენებლობა; ლ) კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა; მ) სახურავზე კეხის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად სამერცხლეს მოწყობა; ნ) ბანკომატის განთავსება; ო) საჩრდილობლის მოწყობა; პ) შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის ისეთი სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, რომელთა დროსაც ხდება შენობა-ნაგებობის ფერის ან მოსაპირკეთებელი მასალის ცვლილება; ჟ) ღია სათამაშო და სპორტული (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის ან სხვა შენობების გარეშე) მოედნებისა და ღია ავტოსადგომების მოწყობა; რ) საზოგადოებრივ ტერიტორიებზე განსათავსებელი ბაზრობა-გამოფენებისათვის, საზოგადოებრივი და სანახაობითი ღონისძიებებისათვის საჭირო დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, რომელთაც არ გააჩნია საძირკველი და რომელთა მოწყობის შესახებ მიღებულია საქართველოს მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გადაწყვეტილება; ს) სამშენებლო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხებისა და დრენაჟების მოწყობა; ტ) სამშენებლო მიწის ნაკვეთზე 25 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის და არა უმეტეს 2.2 მ სიღრმის აუზის, ღია საცურაო აუზის, აგრეთვე ჭებისა და წყაროების მოწყობა; უ) სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე განსათავსებელი 8 მ-მდე სიმაღლის ანძების, გაყვანილობისა და განათებისათვის ბოძების, ანტენებისა და 2 მ<sup>3</sup>-მდე რეზერვუარიანი წყლის სადაწნო კომპლექსების მშენებლობა; ფ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსების მოწყობა; ქ) გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება; ლ) აზრებისა და რეკლამების განთავსება; ყ) ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღობების მოწყობა/დემონტაჟი. თუ აღნიშნული სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა, დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ; შ) შენობა-ნაგებობის ექსტერიერზე მცირე ზომის არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლება. 2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული

უფლებამოსილია, მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები, პირობები და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობები, რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის ან/და ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე იქნება შესაძლებელი. 2<sup>1</sup>. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები და პირობები, სადაც I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა გარკვეული სახეობების განთავსება/მშენებლობა აკრძალულია. 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის მთავრობა, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასის მშენებლობებისათვის დადგენილი წესით. 4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო – ქ. თბილისის მთავრობა განსაზღვრავს კავშირგაბმულობის ხაზის გაყვანა/მონტაჟისათვის და I კლასის ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟისათვის ამ დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისათვის უფლებამოსილ ორგანოს.

**307. თუ პირმა მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი და მშენებლობის ნებართვა არ გაიცა კანონით დადგენილ ვადაში, ასეთ შემთხვევაში ითვლება თუ არა მშენებლობის ნებართვა გაცემულად და აქვს თუ არა ნებართვის მაძიებელს უფლება, მოითხოვოს სანებართვო მოწმობა?**

დაიხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 54-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ იქნა მიღებული მშენებლობის ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება, მშენებლობის ნებართვა გაცემულად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია ნებართვის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ნებართვის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს სანებართვო მოწმობა.

**308. რომელ ორგანოს აქვს უფლება, ექსპლუატაციაში მიიღოს მშენებლობადამთავრებული ობიექტი?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების ან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ კომპეტენციას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს შესაბამის სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილ ორგანოს. ექსპლუატაციაში მიღება ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

**309. განცხადების წარდგენიდან რა ვადაში უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ და თუ ნებართვის გამცემი გადაწყვეტილებას არ მიიღებს დადგენილ ვადაში, ჩაითვლება თუ არა ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებულად?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ამ დადგენილებით განსაზღვრული II და III კლასის შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ მიღებული უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის (III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ<sup>2</sup>-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მ-მდე სიმაღლის სათავსების შემთხვევაში – 5 დღის), ხოლო IV და V კლასის, აგრეთვე შენობა-ნაგებობის ნაწილ(ებ)ის შემთხვევაში – 30 დღის განმავლობაში. თუ ამ პერიოდში არ იქნება გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შენობა-ნაგებობა ჩაითვლება ექსპლუატაციაში მიღებულად და ნებართვის მფლობელის მოთხოვნისთანავე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

**310. შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში ზედამხედველობის განხორციელება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სხვა რომელი ორგანოები არსებობენ?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები არიან – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები;

**311. უფლებამოსილია თუ არა საკრებულო, დაადგინოს ყადაღადადებული მიწის ნაკვეთის აუქციონის ჩატარების გზით რეალიზაციის წესი?**

დიახ. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ყადაღადადებული მიწის ნაკვეთის აუქციონის ჩატარების გზით რეალიზაციის წესს ადგენს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

### **312. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, მიიღოს გადაწყვეტილება უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ლეგალიზების შესახებ?**

დიახ. საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, გარდა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მოთხოვნებისა. მნიშვნელოვანია, რომ ლეგალიზება შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის № 660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ საფუძველზე.

### **313. რა შემთხვევაში და როგორ უნდა განხორციელდეს მშენებარე ობიექტის კონსერვაცია?**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 90-ე მუხლის შესაბამისად, დამკვეთის მიერ მშენებლობის პროცესის 6 თვეზე მეტ ხანს შეჩერების შემთხვევაში უნდა მოხდეს მშენებარე ობიექტის კონსერვაცია, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. კონსერვაცია გულისხმობს ობიექტის მდგრადობის, უსაფრთხოებისა და სანიტარიული ნორმების დაცვას, მისი კონსტრუქციული ელემენტების დაუზიანებლად შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო ღონისძიებათა შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას, ამასთან, მოსაზღვრე შენობებისა და ტერიტორიების უსაფრთხოებას. მშენებარე ობიექტის კონსერვაციის პროცესი მოიცავს: ა) სანებართვო პირობებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესრულების შეჩერებას; ბ) კონსერვაციის პირობების განსაზღვრას და კონსერვაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას; გ) დამკვეთის მიერ ობიექტის პერიოდულ დათვალიერებას უსაფრთხოების მიზნით. მშენებარე ობიექტის კონსერვაციის პირობები განი-საზღვრება შესაბამისი სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. ობიექტის კონსერვაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს მისი ფიზიკური ცვეთა, კერძოდ: ა) ობიექტიდან გატანილი უნდა იქნეს ნაგავი და სამშენებლო ნარჩენები; ბ) ობიექტი უნდა მოწესრიგდეს ისე, რომ არ მოხდეს ლითონის კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და ელემენტების კოროზია; რკინა-ბეტონის კვანძები ბეტონით უნდა დაიფაროს; გ) საძირკველი და ქვაბული დაცული უნდა იქნეს ფერდების ჩამოქცევის, ასევე ატმოსფერული ნალექებისა და წყლის დაგროვებისაგან; დ) ობიექტსა და სამშენებლო მოედანზე დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მოთხოვნები; ე) ყოველგვარი მასალა (ფიცრები, ყალიბები, ცემენტი, გაჯი და სხვ.) ისე

უნდა დასაწყობდეს, რომ არ მოხდეს მათი ჩამოვარდნა, ჩამოცვენა, გაფრქვევა, მიმდებარე ტერიტორიის დაზინძურება ან დაზიანება, არ მოჰყვეს სხვა გაუთვალისწინებელი შედეგები; ვ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მოედანზე უცხო პირთა შეუღწევლობა (უსაფრთხოების ღობე, ჩაკეტილი ჭიშკარი); ზ) მშენებარე ობიექტი არ უნდა იქნეს გამოყენებული საწყობად, სათავსად, დროებით საცხოვრებლად, სხვა დანიშნულებით; თ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე დაშვებულ პირთა უსაფრთხოება; ი) ამწე-მექანიზმები მოყვანილი უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას ნებისმიერი ამინდის პირობებში; კ) საინფორმაციო დაფაზე გაკეთდეს თვალსაჩინო აღნიშვნა ობიექტის კონსერვაციის შესახებ; ლ) ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილებსა და შემთხვევებში ობიექტი უნდა შეიფუთოს დამცავი ბადით. ცვეთის შესაბამისად, პერიოდულად, უნდა მოხდეს დამცავი ბადის განახლება-გამოცვლა, ასევე – უსაფრთხოების ღობის განახლება-გადაღებვა; მ) ნებართვის მფლობელმა/დამკვეთმა რეგულარულად, დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად საჭირო პერიოდულობით უნდა შეამოწმოს დაკონსერვებული ობიექტი. შენობა-ნაგებობის კონსერვაცია შესაძლებელია არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში კი – არა უმეტეს ერთი წლის ვადით. ამ მუხლის ვადის გასვლის შემდეგ დამკვეთი ვალდებულია გააგრძელოს დაკონსერვებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა ან მოახდინოს დემონტაჟი.

## **თავი XVIII. წარმომადგენლობითი ორგანოები, ლობირება**

### **314. რომელი დღე ითვლება საკრებულოს ნორმატიული აქტის მიღების თარიღად?**

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისი კენჭისყრით მიღების დღე.

### **315. უფლებამოსილია თუ არა იუსტიციის სამინისტრო მიმართოს თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტის გაუქმების მოთხოვნა?**

არა. საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-25 მუხლის მე-9 და 9<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს. თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოებანი, ოგი ვალდებულია მიმართოს ნორმატიული აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს) ან ნორმატიული აქტის გაუქმების (შეჩერების) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირს) ან/და საერთო სასამართლოს ნორმატიული აქტის (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს

პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტებისა) გაუქმების (შეჩერების) მოთხოვნით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას საერთო სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

### **316. საკრებულოს სხდომის ოქმები უნდა იქნას თუ არა შენახული ელექტრონული მატარებლის სახით?**

დიახ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №70 ბრძანების „ელექტრონული მატარებლის სახით შესანახი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული მატარებლის სახით შესანახ დოკუმენტებს განეკუთვნება - ყრილობების, კონგრესების, კონფერენციების, თათბირების, სემინარების ჩატარების დოკუმენტები (დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ოქმები, სტენოგრამები).

### **317. რა არის საკრებულოს განკარგულების პროექტების შენახვის ვადა?**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“ №1 დანართის შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის შენახვის ვადაა 1 წელი.

### **318. რა არის ლობისტური საქმიანობა?**

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ლობისტური საქმიანობა არის საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის (ლობისტის) ისეთი ზემოქმედება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

### **319. შეიძლება თუ არა პირი დარეგისტრირდეს საკრებულოში ლობისტად?**

დიახ. „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლობისტად რეგისტრაცია ხდება რაიონის (იმ ქალაქის, რომელიც შედის რაიონის შემადგენლობაში) და იმ ქალაქის საკრებულოში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

### **320. ვის აქვს ლობისტად რეგისტრაციის უფლება?**

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ლობისტად რეგისტრაციის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, გარდა ამავე კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შემდეგი შემთხვევებისა, კერძოდ, თუ:

- მისი სამსახურებრივი მდგომარეობა შეუთავსებელია ლობისტური საქმიანობის განხორციელებასთან;

- იგი ნასამართლევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ან თანამდებობრივი დანაშაულისათვის;
- მის მიერ განცხადებაში მითითებული მონაცემები ან წარმოდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;
- მას ლობისტის სამართლებრივი მდგომარეობა ჩამოერთვა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით.

ლობისტად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

### **321. როგორ ხდება ლობისტად რეგისტრაცია თვითმმართველ ერთეულში?**

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ლობისტად რეგისტრაციისათვის პირმა უნდა წარადგინოს:

- განცხადება ლობისტად რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისი სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ნორმატიული აქტი (მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტები), ნორმატიული აქტის პროექტი (მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტები), რომლის მიღებით ან, შესაბამისად, შეცვლით ან უარყოფით დაინტერესებულია განმცხადებელი, აგრეთვე მისი საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომრები;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
- დავალების ხელშეკრულება ლობისტური საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე მის ზემოქმედებას;
- ცნობა მისი ნასამართლობის შესახებ.

თუ დავალებაში მარწმუნებლად წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირი, ჩამოთვლილ საბუთებს უნდა დაერთოს აგრეთვე ამ იურიდიული პირის წესდების (დებულების) და რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლები.

აღნიშნული დოკუმენტები უნდა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, თუ დავალებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება განეკუთვნება საკრებულოს კომპეტენციას, ხოლო თუ ცვლილებების განხორციელება თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციაა – გამგებელს. საკრებულო ან გამგებელი საბუთების წარდგენიდან 15 დღის ვადაში წყვეტს პირის ლობისტად რეგისტრაციის საკითხს. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, პირი ჩაითვლება ლობისტად რეგისტრირებულად. საკრებულოს აპარატი აწარმოებს ლობისტთა რეესტრს.

### **322. რა უფლებები აქვს ლობისტს?**

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9\_მე-12 მუხლების თანახმად, ლობისტს უფლება აქვს:

- შევიდეს და გადაადგილდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში ამ ორგანოს საჯარო მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) ფარგლებში. საქართველოს პარლამენტის აპარატი, სახელმწიფო კანცელარია

ან სხვა სამთავრობო დაწესებულება, ხოლო რაიონებსა და ქალაქებში – საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო, ვალდებულია, პირის ლობისტად რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს იგი აღნიშნული უფლების დამადასტურებელი მოწმობით;

- დაესწროს წარმომადგენლობითი ორგანოს სტრუქტურის (სტრუქტურული ქვედანაყოფის) მიერ დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის (მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტების) ღია განხილვის ყველა სტადიას;
- ღია განხილვის დროს წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამისი სტრუქტურის (სტრუქტურული ქვედანაყოფის) გადაწყვეტილებით, მისთვის დაწესებული რეგლამენტით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული ნორმატიული აქტის პროექტთან (მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტებთან) დაკავშირებით გამართულ კამათში;
- დაესწროს დახურულ სხდომას, მონაწილეობა მიიღოს კამათში დავალებით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა;
- დაესწროს წარმომადგენლობითი ორგანოს ღია სხდომას ამ ორგანოს რეგლამენტით საზოგადოებრიობის წარმომადგენელთათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილებზე;
- წარმომადგენლობით ორგანოში დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის დროს, გარდა პლენარული სხდომებისა, გამოვიდეს რეგლამენტირებული სიტყვით;
- დაესწროს აღმასრულებელ ორგანოში ან მის სტრუქტურებში (სტრუქტურულ ქვედანაყოფებში) დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის ღია განხილვას, რომლის ჩატარების დროსა და ადგილს შესაბამისი ორგანოს ან სტრუქტურის (სტრუქტურული ქვედანაყოფის) ხელმძღვანელი აცნობებს ლობისტს განხილვამდე არა უგვიანეს 2 დღით ადრე, მის განცხადებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე;
- შესაბამის წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის თაობაზე. ისინი უნდა დაერთოს ნორმატიული აქტის პროექტს;
- წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში გაეცნოს შესაბამის წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოში დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით არსებულ ოფიციალურ მასალებს, აგრეთვე დადგენილი წესით გადაიღოს მათი ასლები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- შეხვედეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს მოქალაქეებთან შეხვედრებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით შეხვედეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

აღმასრულებელ ორგანოში დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის ღია განხილვის დროს ლობისტს ამ ორგანოს ან სტრუქტურის

(სტრუქტურული ქვედანაყოფის) ხელმძღვანელის ნებართვით შეიძლება მიეცეს რეგლამენტირებული სიტყვით გამოსვლის უფლება.

ლობისტის მოთხოვნა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთან შეხვედრის შესახებ, შეხვედრის თემისა და სასურველი დროის მითითებით, წარედგინება ამ წარმომადგენლობითი ორგანოს აპარატს, რომელიც დადგენილი წესით გადასცემს მას წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამის წევრს სამსახურის ადგილის მიხედვით. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ვალდებულია, მიმართვის მიღებიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო კვირის ვადაში აცნობოს ლობისტს წერილობითი პასუხი მის მოთხოვნასთან დაკავშირებით მის განცხადებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე.

### **323. აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება, გაეცნოს ლობისტის მიერ საკრებულოში წარდგენილ საბუთებს და გადაიღოს ასლები?**

დიახ. „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ლობისტური საქმიანობა საჯაროა. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, გაეცნოს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოში ლობისტის მიერ წარდგენილ საბუთებს და ანგარიშებს, გადაიღოს მათი ასლები.

### **324. აქვს თუ არა პარლამენტის წევრს უფლება, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს მუშაობაში?**

დიახ. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრს უფლება აქვს, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საკითხები საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო.

### **325. რა ფუნქციის შესასრულებლად იქმნება პარლამენტის წევრის (მაჟორიტარი დეპუტატის) ბიურო?**

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობასა და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით ადგილებზე იქმნება მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო.

### **326. რა ვალდებულებები აკისრიათ თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს პარლამენტის წევრის წინაშე?**

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან უზრუნველყონ იგი სამუშაო ოთახით, ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასაადგილებლად სატრანსპორტო საშუალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, მათ შორის, სამთავრობო კავშირით. „საქართველოს პარლამენტის

წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილებზე პარლამენტის წევრის საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფასთან, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი წესით.

**327. აქვთ თუ არა უფლება თვითმმართველობის ორგანოებს, მაჟორიტარ პარლამენტის წევრს დამატებით აღმოუჩინონ დახმარება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე?**

დიახ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე აღმოუჩინონ დახმარება მაჟორიტარ პარლამენტის წევრს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. პარლამენტის წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნული პუნქტის შესაბამისად გაწეული დახმარების შესახებ.

**328. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება?**

დიახ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანოებს (გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა), ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს (საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების ან კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე).

**329. აქვს თუ არა თვითმმართველობას კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერის დადასტურების უფლება?**

დიახ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა. ისინი პირადად აღნიშნავენ შემდეგ მონაცემებს: სახელს, გვარს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერს, მისამართს და ხელმოწერის თარიღს. ყოველ ასეთ ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი. მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო ბიუროში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში.

**330. აქვს თუ არა საკრებულოს საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის უფლება?**

დიახ. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის ვ<sup>2</sup> პუნქტის შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს კონსტიტუციის 7<sup>1</sup> თავთან მიმართებით;

**331. ვალდებულნი არიან თუ არა თვითმმართველობები მიაწოდონ პარლამენტის წევრთა ჯგუფს ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ?**

დიახ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-200 მუხლის შესაბამისად, საარჩევნო ოლქის ან ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შექმნილი პარლამენტის წევრთა ჯგუფი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საერთო კოორდინაციას უწევს პარლამენტის ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოებთან. ამ ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას, მოითხოვონ ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო, სამეურნეო, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო და კანონიერების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლება-თავისუფლებათა დაცვის სფეროებში საქმიანობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან მოთხოვნიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტის წევრთა ჯგუფს წარუდგინონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგება მოხსენება შესაბამისი წინადადებებით, რომელიც შეიძლება პარლამენტის განხილვის საგანიც გახდეს.

**332. აქვს თუ არა საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება მოითხოვოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა?**

დიახ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებს, როგორც წესი, პარლამენტის თავმჯდომარე მიიღებს, თუ: ა) განცხადება-საჩივრებში დასმული საკითხები მნიშვნელოვანია და არსებობს პარლამენტის თავმჯდომარესთან მათი შეხვედრის დასაბუთებული მოთხოვნა; ბ) მათ მიერ შეტანილ განცხადება-საჩივრებზე არ არის გაცემული სათანადო პასუხი; გ) პარლამენტის წევრებს, კომიტეტებს, საგამომიებო ან სხვა დროებით კომისიებს შემოსულ განცხადება-საჩივრებზე პასუხი საერთოდ არ გაუციათ.

**თავი XIX. პრივატიზება**

**333. რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზება?**

საბინაო ფონდის პრივატიზება ხდება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი

თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ შესაბამისად.

### **334. აქვს თუ არა მუნიციპალიტეტის გამგებელს უფლება, უსასყიდლოდ გადასცეს პირს ბინა?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

### **335. რა დოკუმენტები უნდა წარუდგინოს გამგებელს პირმა არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით?**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის თანახმად, გამგებელს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) იმ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) განმცხადებლის მოთხოვნას;

დ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა), კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში აგრეთვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში, აგრეთვე წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი;

დ) ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა (თანხმობები), თუ კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულია რამდენიმე კანონიერი

მოსარგებლე და საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლეების) მიერ ერთი ან რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის სასარგებლოდ.

ე) გარკვეული პირობით დროებით გადაცემული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლეების) ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი უარი უფლებამოსილი ორგანოსაგან პირობის შესრულების მოთხოვნაზე, რომელიც დამოკიდებული იქნება მისი განცხადების დაკმაყოფილების პირობაზე;

ვ) დროებით გადაცემული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლეების) მიერ ამ დებულების ამოქმედებამდე აღნიშნულ ფართობზე რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

ზ) ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლში არსებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართობთან ერთად შესაბამისი მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, აგრეთვე ინფორმაცია ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან (ცნობა-დახასიათება, საინვენტარიზაციო გეგმა და სხვა).

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენისას, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითებული ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცულ საინვენტარიზაციო გეგმაში მითითებულ მიწის ნაკვეთის ფართობს. თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არ არის დაცული ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ, საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითება მიწის ნაკვეთის მხოლოდ ის ფართობი, რომელზედაც უშუალოდ განლაგებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

განმცხადებელს უფლება აქვს, განცხადებას დაურთოს ასევე სხვა დოკუმენტი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტას.

### **336. რა ვადაში განიხილება მოქალაქის განცხადება ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ?**

15 დღის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან 15 დღეში.

### **337. კანონიერი მოსარგებლის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე რა დოკუმენტების გაცემის ვალდებულება ეკისრება გამგებელს?**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, კანონიერი მოსარგებლის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო გასცემს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს – საკუთრების უფლების მოწმობას (დანართი №2) და დამოწმებულ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის შიდა საკადასტრო აზომვით ნახაზს. ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლში არსებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართობთან ერთად შესაბამისი მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო გასცემს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს – საკუთრების უფლების მოწმობას (დანართი №3), დამოწმებულ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის შიდა საკადასტრო აზომვით ნახაზს და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზს.

უძრავი ნივთების კანონიერი მოსარგებლის საკუთრებაში გადაცემით ხორციელდება სახელმწიფო ქონების გასხვისება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ქონების გასხვისება განხორციელდეს ქონების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ, ვინაიდან ქონება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

### **338. განეკუთვნება თუ არა საკრებულოს კომპეტენციას თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას, ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

### **339. აქვს თუ არა იურიდიული ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონის საფუძველზე მიღებულ ნორმატიულ აქტს?**

არა. საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული

ძალადაკარგულად. მაგ: იურიდიული ძალა არა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №1-1/1417 ბრძანებას „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ, რადგან იგი გამოცემულია ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონის საფუძველზე (25.06.2012 წლის მდგომარეობით).

### **340. რომელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ადგენს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვის წესებს?**

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვის წესი განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 7 სექტემბრის N 1-1/1487 ბრძანებით „სახელმწიფო ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

### **341. აქვს თუ არა საკრებულოს უფლება, დააფუძნოს სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობის და არასამეწარმეო იურიდიული პირები?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით თვითმმართველი ერთეულის ქონების ბაზაზე კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თაობაზე. გამგეობის (მერიის) მართვამი არსებული საწარმოების საწესდებო კაპიტალში თვითმმართველი ერთეულის ქონების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარე.

### **342. რა წესით ხდება თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული საწარმოს ლიკვიდაცია?**

აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

### **343. თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება განეკუთვნება თუ არა საკრებულოს კომპეტენციას?**

დიახ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება განეკუთვნება საკრებულოს უფლებამოსილებას.

### **344. ვინ იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველობის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

**345. რომელი ორგანო ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, სარგებლობის უფლებით გადაცემის და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესს?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>6</sup> მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების პრივატიზაციისა და მათი მართვის უფლებით გადაცემის წესი განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავით დადგენილი წესით.

**346. უფლებამოსილია თუ არა გამგებელი, მოამზადოს საკითხი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების თაობაზე?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების ან/და აქციებისა და წილების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქონების მმართველის, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. საკითხს ამზადებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

**347. რა წესით ხდება თვითმმართველობის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრა?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>2</sup> მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-19 მუხლის შესაბამისად კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურისა და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

**348. ვალდებულია თუ არა საკრებულო, დაამტკიცოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმა?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>4</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. აუქციონში

გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპურ ფორმებს ამტკიცებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

**349. რა ფორმით შეუძლია თვითმმართველ ერთეულს სარგებლობის უფლებით გადასცეს ქონება?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმებით: ა) აღნაგობა; ბ) უზუფრუქტი; გ) ქირავნობა; დ) იჯარა; ე) თხოვება; ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

**350. აქვს თუ არა გამგებელს უფლება, აუქციონის გარეშე გადასცეს თვითმმართველობის ქონება უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>5</sup> მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო თვითმმართველი ერთეულის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცემს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს. აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“;

**351. აუცილებელია თუ არა თვითმმართველი ერთეულის ქონების გასხვისების ხელშეკრულება დამოწმდეს სანოტარო წესით?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, უძრავ ნივთზე უფლებათა წარმოშობისათვის სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის არსებობის აუცილებლობა.

**352. დაიშვება თუ არა თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ქონების გასხვისება?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ძირითადი ქონების გასხვისება შესაძლებელია თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკრებულოს თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) გამგებლის (მერის) მიერ მომზადებულ დასაბუთებულ წინადადებას თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ქონების გასხვისების თაობაზე, ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად, წარუდგენს შესაბამის საკრებულოს. საკრებულო ძირითადი ქონების გასხვისებაზე თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს წევრთა ხმების 2/3-ით.

### **353. უფლებამოსილია თუ არ თვითმმართველი ერთეული სხვა თვითმმართველ ერთეულს გადასცეს ქონება?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, აქციებისა და წილების სახელმწიფოსათვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ქონების გადაცემა ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

### **354. უფლებამოსილია თუ არა საკრებულო განსაზღვროს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის ქირა?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის ქირის საწყის ოდენობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის.

### **355. უფლებამოსილია თუ არა გამგებელი მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლების გაცემის შესახებ?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, პირდაპირი განკარგვის წესით თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

## თავი XX. საგზაო მეურნეობა

### 356. საქართველოს კანონმდებლობით როგორ არის განმარტებული საავტომობილო გზა და რა ითვლება მის შემადგენელ ნაწილად, რომლის მოვლა-პატრონობა თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება?

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა, უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით. საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

- მიწის ვაკისი სავალი ნაწილი, ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგამტარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვავების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი;
- მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;
- საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში;
- თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და წყალამრდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვავების ზოლის გარეთ;
- საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი.

### 357. რომელი გზები მიეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს?

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

- რაიონების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე რაიონების დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები;
- დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;
- რაიონების დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურიზმის ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების რაიონების, ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზედაც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი

გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელები საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

აღნიშნულ საკითხს ეხება ასევე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 10 ოქტომბრის №220 დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებად ჩაითვალა:

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ამავე მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები;
- თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში არსებული საავტომობილო გზები;
- დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;
- მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურისტული ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების მუნიციპალიტეტის პუნქტებთან (რომელთა ტერიტორიაზედაც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელები საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან;

საავტომობილო გზები, რომლებიც არ არის განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის №287 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხით“. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს აღნიშნული წესით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 10 ოქტომბრის №220 დადგენილებით დამტკიცებულ „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესში“ აღნიშნულია, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. როგორც წესი, იგი გადაინიშნება 3 წელიწადში ერთხელ.

### **358. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, დაამტკიცოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა?**

დიახ. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი

ხელისუფლების უმაღლესი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. როგორც წესი, იგი გადაისინჯება 3 წელიწადში ერთხელ.

### **359. შეიძლება თუ არა დაწესდეს გზებით სარგებლობის საფასური?**

დიახ, თუ ორ დასახლებულ პუნქტს შორის არსებობს პარალელური უფასო გზა („საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი).

### **360. აქვს თუ არა პირს უფლება, მოაწყოს კერძო საავტომობილო გზა?**

დიახ. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, კერძო საავტომობილო გზის მოწყობა ნებადართულია.

### **361. აქვს თუ არა პირს უფლება, ლითონისბორბლებიანი მანქანით იმოდრაოს გზის შავსაფარიან სავალ ნაწილზე?**

არა. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოდრაონ გზის სავალ ნაწილზე. აკრძალულია მუხლუხა ან ლითონისბორბლებიანი მანქანების მოძრაობა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების შავსაფარიან სავალ ნაწილსა და გვერდულებზე. სატრანსპორტო საშუალებების გასატარებლად, რომელთა ღერძული დატვირთვა და გაბარიტები აღემატება ნორმატიულს, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები (უცხოელების ჩათვლით) დადგენილი წესით იღებენ ნებართვას და თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები დაახიანებენ გზის ელემენტებს, დადგენილი წესით იხდიან აღდგენის საფასურს.

### **362. თვითმმართველ ერთეულთან შეუთანხმებლად რა მოქმედებების განხორციელება იკრძალება გზებზე?**

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, გზის მესაკუთრესთან (შესაბამის თვითმმართველ ერთეულთან) შეუთანხმებლად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) აკრძალულია:

- ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური მიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ საგზაო ორგანოებს), ტექნოლოგიური ტვირთხიდვის ორგანიზება;
- გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;
- მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;
- სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერებელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;

- კაშხლების, გუბურების და სხვა მელიორაციულ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა, მდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ;
- მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;
- ხიდების ბურჯებთან ნაგების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნაგების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობების მოწყობა.

ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების და მოქალაქეების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად ამშენებელთა ხარჯზე.

### **363. შეიძლება თუ არა საავტომობილო გზების კილომეტრაჟის გამომწვევებისათვის საწყის ბოლო წერტილად მიღებულ იქნას თვითმმართველობის შენობა?**

დიახ. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საავტომობილო გზების კილომეტრაჟის გამომწვევებისათვის საწყის და ბოლო წერტილებად მიიღება: ა) საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან გამავალი საავტომობილო გზებისათვის - თავისუფლების მოედანი; ბ) დასახლებების ერთმანეთთან შემაერთებელი გზებისათვის - შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული შენობები, ფოსტა ან დასახლების ცენტრში განლაგებული სახელმწიფო, მუნიციპალური და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობანი; გ) სხვა გზების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზებისათვის - შეუღლებული გზების ღერძების გადაკვეთა; დ) გეოგრაფიული, ისტორიული ან სხვა ობიექტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზებისათვის - ამ ობიექტის საზღვრები.

### **364. დაიშვება თუ არა გზებზე სპორტული შეჯიბრების მოწყობა თვითმმართველობის ორგანოს ნებართვის გარეშე?**

არა. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საავტომობილო გზებზე აკრძალულია გზების ბლოკირება, საკონტროლო და შესამოწმებელი პუნქტების მოწყობა, დემონსტრაციების, სპორტული შეჯიბრებების, სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა, რომლებიც ცვლის მოძრაობის დადგენილ რეჟიმს, ასევე გზაზე ავტოტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა საამისოდ დაუდგენელ ადგილებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საგზაო სამსახურებისა და საპატრულო პოლიციის ნებართვის გარეშე;

### **365. აქვს თუ არა თვითმმართველობას უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი?**

დიახ. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს.

### **366. აქვს თუ არა საკრებულოს უფლება განსაზღვროს ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალების დგომის წესი?**

დიახ. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალების დგომის/გაჩერების წესებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

### **367. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება გზებზე მოძრაობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ?**

დიახ. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვა ან დროებით შეწყვეტა ხორციელდება:

- საავტომობილო გზის გაუმართაობისას ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
- ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით;
- აუცილებლობის შემთხვევაში, გადაუდებელი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი XXI. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა**

### **368. ვალდებულია თუ არა პროკურორი, მიაწოდოს თვითმმართველობის ორგანოებს ინფორმაცია მართლწესრიგის მდგომარეობის შესახებ?**

დიახ. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს აწვდის ინფორმაციას კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობის შესახებ.

### **369. ვალდებულია თუ არა სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს თვითმმართველ ერთეულს?**

დიახ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ერთობლივი ბრძანების №40-№61-№222 „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის შესახებ“ პირველი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, მისი ტერიტორიული სამსახურები და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი ვალდებული არიან ამ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად ფიზიკურ პირთა შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდონ: ა) საქართველოს სისიხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ორგანოების გამომძიებლებს; ბ) „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოპერატიულ ორგანოებს; გ) საქართველოს სამინისტროებს, მათ ტერიტორიულ ორგანოებს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და მათ ტერიტორიულ ორგანოებს, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განმახორციელებელ ნებისმიერ პირს.

### **370. შეიძლება თუ არა ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს ჩამოერთვას საბიუჯეტო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება?**

დაიხ. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა:

- სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
- საექიმო საქმიანობის უფლება;
- საადვოკატო საქმიანობის უფლება;
- პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;
- პასიური საარჩევნო უფლება;
- იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

### **371. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო, განსაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახე?**

არა. საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, ხოლო ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.

### **372. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს თვითმმართველი ერთეულის ძალები და საშუალებები?**

დაიხ. „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას, ტერორისტული აქტის აღკვეთის მიზნით ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიულ შტაბს უფლება აქვს, მიიზიდოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოთა აუცილებელი ძალები და საშუალებები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფენ კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისათვის აუცილებელ შეიარაღებას, სპეციალურ, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და სხვა მატერიალურ საშუალებებს.

### **373. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, მიიღოს ზომები დასუფთავების წესების დარღვევისას?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ქვეითად მოსიარულის მიერ ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრა; ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაგდება, დატოვება ან დაყრა; სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა; იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან (შესაბამისი მუნიციპალიტეტის სათანადო დასახლებაში ნარჩენების გამტანი საწარმოების მომსახურების არსებობის შემთხვევაში, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4<sup>2</sup> პუნქტის თანახმად, აღნიშნულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლებამოსილება აქვთ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს, ხოლო 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირებს.

### **374. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი მწვანე ნარგავების დაზიანების შემთხვევაში?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება; თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების შინაური ცხოველის მიერ დაზიანება ან/და განადგურება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **375. უნდა იქნას თუ არა გაფრთხილებული ადგილობრივი თვითმმართველობა წინასწარ, თუ მანიფესტაცია იმართება ტრანსპორტის სავალ ადგილას?**

დიახ. საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მე-5

მუხლის შესაბამისად, 1. ამ კანონით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისაგან ან მანიფესტაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო; 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის სავალდებულოა რწმუნებულის/რწმუნებულების მიერ სათანადო გაფრთხილების შეტანა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილის მიხედვით. გაფრთხილებას ხელს აწერენ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები. 3. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება იყვნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები ან/და პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი.

გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში შეტანილი უნდა იქნეს მის ჩატარებამდე არა უგვიანეს 5 დღისა (მუხლი 8).

### **376. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ქუჩის თვითნებურად გადათხრის შემთხვევაში?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152-ე მუხლის (ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას) შესაბამისად, ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება წარმოადგენს სამართალდარღვევას.

ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **377. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობა, ებრძოდეს უნებართვო გარე ვაჭრობას?**

არა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153<sup>ა</sup> მუხლის თანახმად, გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე, - გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20-დან 50 ლარამდე ოდენობით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. აღნიშნულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილება არ გააჩნია თვითმმართველობის ორგანოს და ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოებს აქვთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლება.

### **378. გარე ვაჭრობისას ობიექტი ექვემდებარება თუა რა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემას?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმ საგნის (საქონლის) კონფისკაცია, რომელიც ამ

კოდექსის 153<sup>6</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ობიექტი იყო, ექვემდებარება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას. სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს ადგენს ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო.

**379. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზიანია ანაზღაურების შესახებ?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 40<sup>1</sup> მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან/და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ დაინტერესებული ორგანო/თანამდებობის პირი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც უგზავნის სამართალდამრღვევს. დაინტერესებული ორგანო/თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

**380. გასცემს თუ არა თვითმმართველი ერთეული შენობა-ნაგებობებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამადასტურებელ დოკუმენტს?**

დაიხ. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 18<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების, შეკეთებისა (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) და მისით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიების მისაღებად იურიდიულმა პირმა ან ინდივიდუალურმა მეწარმემ უნდა წარადგინოს შენობა-ნაგებობებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტს გასცემს თვითმმართველობის ორგანოების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური.

**381. თუ პირი შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას და ეს ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, აქვს თუ არა თვითმმართველი ერთეულს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლება?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51<sup>3</sup> მუხლის თანახმად, სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა, \_ გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, \_ გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**382. მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის**

**გადაცემა არის თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ასეთ შემთხვევაში აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53<sup>3</sup> მუხლის თანახმად, მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის გადაცემა, – გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან შვიდას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**383. მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა არის თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ასეთ შემთხვევაში აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა, – გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან შვიდას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ათი დღის ვადით, საზღვრის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ლარამდე. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**384. თუ პირს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი დაკავებული აქვს უნებართვოდ, ასეთ შემთხვევაში აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**385. აქვს თუ არა თვითმმართველი ერთეულის მოხელეს უფლება თანამდებობის პირის მიმართ შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად, მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა, – გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე. ასევე ამ კოდექსის 173<sup>6</sup> მუხლის თანახმად, შვილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა, – გამოიწვევს თანამდებობის პირების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამასიდან ხუთას მინიმალურ ოდენობამდე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>7</sup> მუხლის შესაბამისად, გასაშვილებელი ბავშვის ან მშვილებლის ძებნა ან შეთავაზება საჯარო განცხადების მეშვეობით, – გამოიწვევს თანამდებობის პირის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორი ათასი მინიმალური ოდენობით. ამ კოდექსის 173<sup>9</sup> მუხლის თანახმად, შვილობილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევა, – გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასი მინიმალური ოდენობით. ამ კოდექსის 175<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ მონაცემების მიწოდებისათვის ვალდებული თანამდებობის პირის მიერ სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთას მინიმალურ ოდენობამდე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 და 22-ე ნაწილების თანახმად, სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**386. თუ პირი ახორციელებს სამშენებლო მასალების ან ნარჩენების გადაზიდვას ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც აქვს გაუმართავი საბარგული, რაც ქმნის გზის საფარის დანაგვიანების ან დაზიანების საფრთხეს, აქვს თუ არა თვითმმართველი ერთეულის მოხელეს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სამშენებლო ან სხვა სახის მასალების, ნარჩენების გადაზიდვა ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებსაც აქვთ გაუმართავი საბარგული ან მისაბმელი მოწყობილობა, რაც ქმნის გზის საფარის დანაგვიანების ან დაზიანების საფრთხეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 900 ლარით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**387. სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება გამოიწვევს თუ არა პირთა დაჯარიმებას?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) შესაბამისად, სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება

შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ლობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ლობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება; სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **388. შენობის ფერის თვითნებურად შეცვლა გამოიწვევს თუ არა პირთა დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150<sup>1</sup> მუხლის (თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა) თანახმად, თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის, შენობანაგებობის ფერის შეცვლა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. სავენტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხის საშრობის, გისოსების, ჯიხურების, დახლების ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი ან/და განთავსება, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - 1 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 20 დღის ვადაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **389. აქვს თუ არა თვითმმართველი ერთეულის მოხელეს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევის შესახებ ოქმი რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევაზე?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - 3 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**390. არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, აშკარად ყალბი რეკლამის განთავსებისა და გავრცელების შემთხვევაში აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლება?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება), – გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისა – განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არასათანადო რეკლამა არის არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**391. ამკრძალავი ნიშნის „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**392. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლება, თუ პირმა ტროტუარზე, ქუჩაში, გზაზე დაყარა სამშენებლო მასალა და ამით შეზღუდა საზოგადოებრივი ადგილით სარგებლობა?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა, – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 20 დღის ვადაში, – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიულ პირთა დაჯარიმებას – 4 000 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**393. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის მოხელე, ჯართის ჩაბარების ან გაყიდვის წესის დარღვევაზე შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 179<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შექმნის, ტრანსპორტირების, გაყიდვის ან ჩაბარების დადგენილი წესის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი დარღვევისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას 3000-დან 5000 ლარამდე, შავი და ფერადი ლითონების, მათი შემცველი ნაკეთობების, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების კონფისკაციით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**394. ველოსიპედით სკვერში გადაადგილება შეიძლება თუ არა წარმოადგენდეს სამართალდარღვევას?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 107<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა, მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას საქართველოს კანონმდებლობით ან/და შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. ამ მუხლის ნორმები არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოყენებულ მოძრავ საშუალებებზე. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

**395. ადგენს თუ არა თვითმმართველობა ავტოსადგურის ფუნქციონირების წესს?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ავტოსადგურის ფუნქციონირება განსაკუთრებული რეგულირების ზონაში თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი წესების დარღვევით – გამოიწვევს ავტოსადგურის მესაკუთრე ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **396. ადგენს თუ არა თვითმმართველობა ოქმს უბილეთო მგზავრობის შემთხვევაში?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ შესაბამისად, მგზავრობის უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა ტროლეიბუსით, ტრამვაით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით (მიკროავტობუსით), – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით. ამ კოდექსის 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **397. სკვერში მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა წარმოადგენს თუ არა სამართალდარღვევას?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, აგრეთვე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის მიმაგრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო ან სხვა ნარჩენების თვითნებური დაყრა; თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა; ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა წარმოადგენს სამართალდარღვევას. ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

### **398. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, თვითმმართველობის მოხელეებს მიანიჭოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილება?**

დიახ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის მიზნით თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, შექმნას სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები) ან შესაძლებელია თვითმმართველი ერთეულის მოხელეებს მიანიჭოს ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

### **399. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვის უფლება?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209<sup>3</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსის 55<sup>5</sup>, 103-ე, 107<sup>2</sup>, 107<sup>3</sup> და 107<sup>4</sup> მუხლებით, 114<sup>2</sup>

მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> და 125<sup>3</sup> მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებით, 146<sup>2</sup> მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151<sup>1</sup> და 152<sup>3</sup> მუხლებით და 153<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი; ამ კოდექსის 107<sup>4</sup> მუხლით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> მუხლით, 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებითა და 146<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ჩადენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას); ამ კოდექსის 119<sup>1</sup> მუხლით და 153<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას); ამ კოდექსის 55<sup>5</sup> და 103-ე მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151<sup>1</sup> და 152<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას); ამ კოდექსის 55<sup>5</sup>, 103-ე და 107<sup>4</sup> მუხლებით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> მუხლით, 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებით, 146<sup>2</sup> მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151<sup>1</sup> და 152<sup>3</sup> მუხლებით და 153<sup>6</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.

**400. ადგილობრივი თვითმმართველობის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელებს აქვთ თუ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 220-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 196<sup>1</sup>, 197-ე და 198-ე მუხლებით – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებების ხელმძღვანელებს;

#### **401. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის განსაზღვრა შედის თუ არა თვითმმართველობის უფლებამოსილებაში?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსის 103-ე და 107<sup>4</sup> მუხლებით, 114<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>2</sup> მუხლით, 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე და 135<sup>1</sup> მუხლებით, 153<sup>6</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მერი. ამ ოქმის შინაარსი შეიძლება არ ითვალისწინებდეს ამ კოდექსის 240-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

#### **402. უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დაადგინოს საჯარიმო ქვითრის ფორმა?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 3<sup>1</sup>, მე-4, 4<sup>1</sup> და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითრის ფორმას, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მერი.

#### **403. დაიშვება თუ არა, რომ ჩამორთმეული ხე-ტყე გადაეცეს თვითმმართველობის წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მის დაცვაზე?**

დაიხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის 2<sup>2</sup> პუნქტის შესაბამისად, ამ კოდექსის 66-ე და 128<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილი ხე-ტყე, რომელიც სამართალდარღვევის უშუალო ობიექტია, შეიძლება დროებით დარჩეს მის მფლობელთან ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩამორთმეული ან აღმოჩენილი ხე-ტყე – ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ტყის დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შესაბამისი ლიცენზიის მფლობელისთვის გადაცემულ ტერიტორიაზე ჩამორთმეული ან

ადმოქმენილი ხე-ტყისა, რომელიც მიზარდება ლიცენზიის მფლობელს ან მის წარმომადგენელს), რომლებიც ასევე პასუხისმგებელი არიან მიზარებული ხე-ტყის დაცვისთვის. თუ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისათვის ამ კოდექსით დადგენილ ვადებში ხე-ტყის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ვერ დადგინდება, ხე-ტყის განკარგვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **404. საწარმოო შენობებში ადვილადააღებადი მასალები შენახვის ადგილი უნდა შეუთანხმდეს თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს?**

დიახ. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის №191 ბრძანების „ელექტროსადგურების თბომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი წესების“ დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საწარმოო შენობებში აკრძალულია ბენზინის, ნავთის, სპირტის, საღებავების, გამხსნელების და სხვა ადვილადააღებადი მასალების შენახვა, ყოველდღიური მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობის გარდა, რომელიც შეიძლება დაშვებულ იქნეს როგორც გამონაკლისი. ამ მასალების რაოდენობა და შენახვის ადგილი შეთანხმებულ უნდა იქნეს საწარმოს სახანძრო დაცვის სამსახურთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მასალების რაოდენობა და შენახვის ადგილი შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფებთან. მასალები უნდა ინახებოდეს საამქროების სპეციალურ საწყობებში, რომელთა კარებზე უნდა იყოს გაკრული სიგარეტის მოწვევისა და ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი უსაფრთხოების ნიშნები.

#### **405. რა ვალდებულებანი აკისრიათ თვითმმართველობის ორგანოებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში?**

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება:

- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების ორგანიზება და განხორციელება;
- სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შესრულებაში მონაწილეობა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე, მათ შორის, სახანძრო დაცვის სამსახურების შენახვაზე, ხარჯების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტებში;
- სახანძრო დაცვის სამსახურების პირადი შემადგენლობისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალური დაცვის განხორციელება;
- ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზება;
- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სახანძრო უსაფრთხოების ეკონომიკური და სოციალური სტიმულირების განხორციელება, სახანძრო-ტექნიკური საშუალებების შეძენა;
- მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება და მათი ჩაბმა ხანძრის თავიდან აცილებისა და ჩაქრობის საქმეში;

- სახანძრო დაცვის სამსახურებისათვის და მოხალისე მეხანძრეთა საქმიანობისათვის ხელის შეწყობა;
- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზება;
- ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახანძრო დაცვის სამსახურების შექმნა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და მათი საქმიანობის კონტროლი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან შესაბამის ტერიტორიებზე:

- უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება;
- დადგენილი ნორმების შესაბამისად შექმნან და შეინახონ ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯებიდან დაფინანსებული სახანძრო დაცვის სამსახურები;
- დაადგინონ ხანძრების ჩაქრობისა და საავარიო-სამამშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების წესი;
- უზრუნველყონ განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის შემოღება (დადგენა);
- ორგანიზება გაუწიონ მოსახლეობაში სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას;
- ხელი შეუწყონ მოხალისე მეხანძრეების საქმიანობას.

**406. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, შექმნას მოხალისე მეხანძრეთა რაზმი?**

დიახ. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის ერთეულის მიერ მოხალისე მეხანძრეთა რაზმის შექმნისა და რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**407. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, სახანძრო დაცვის სამსახურის თანამშრომლებს დაუწესოს გარანტიები და სოციალური შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კანონით?**

დიახ. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ, დაადგინონ სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიებიც.

**408. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინოს მეხანძრეთა დაზღვევის ხარჯები?**

დიახ. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვის მოსამსახურეთა სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვის შესანახი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სახსრებით.

#### **409. მეხანძრის დაღუპვისას ან დაინვალიდებისას რა ოდენობის თანხა ანაზღაურდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან?**

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად:

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოების თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით;
- სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანოების თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების ან დაინვალიდების შემთხვევაში, სხულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის მიხედვით, შესაბამისი ბიუჯეტის სახსრებიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

#### **410. არსებობს თუ არა ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესი?**

დიახ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 მაისის №738 ბრძანებით დამტკიცებული „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდებით“ განსაზღვრულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესი.

#### **411. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს ხანძრების აღრიცხვის ვალდებულება?**

დიახ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 25 დეკემბრის №1574 ბრძანების „საქართველოში ხანძრებისა და მათი შედეგების სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წესისა და დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფები ახორციელებენ ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვას: ა) დასახლებულ პუნქტებსა და საწარმოებში მომხდარ ხანძრებზე; ბ) სატრანსპორტო საშუალებებზე მომხდარ ხანძრებზე, თუ ხანძარი გაჩნდა სატრანსპორტო საშუალებების გარაჟებში, ღია მოედნებზე, დეპოებში, ანგრებში, ვაგზლებში, აეროდრომებზე, ვერტოდრომებზე, საზღვაო ნავსადგურებში, ნავმისადგომთან დგომის დროს; გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მომხდარ ხანძრებზე, თუ ხანძარი გაჩნდა ტრანსპორტის მსვლელობის დროს ან დროებით სადგომზე (მისი აღმოჩენის ადგილას).

#### **412. რა შემთხვევაშია უფლებამოსილია თვითმმართველობის ორგანოს სახანძრო დაცვის დანაყოფის უფროსი დატოვოს ხანძრის ადგილი?**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 მაისის №738 ბრძანების „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდების დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის

შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სახანძრო დაცვის დანაყოფის უფროსს და მართვის შტატგარეშე დანაყოფის თანამდებობის პირებს, რომლებიც ასრულებენ ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოვალეობებს შეუძლიათ დატოვონ ხანძრის ადგილი იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია ინფორმაცია სხვა, მეტად მაღალი ნომრის ხანძრის, საგანგებო შემთხვევის შესახებ, აგრეთვე სხვა ვითარებაში, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ რეგირებას, ამასთან ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელად უნდა დანიშნონ სხვა თანამდებობის პირი ხანძრის ჩაქრობის მონაწილეთაგან, რის შესახებაც აუცილებელი წესით უნდა ეცნობოს სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის განყოფილებას და გაკეთდეს ჩანაწერი შესაბამის დოკუმენტაციაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს.

#### **413. ხანძრის ჩასაქრობად მოსახლეობის მობილიზება განეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციას?**

დიახ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 მაისის №738 ბრძანების „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდების დამტკიცების შესახებ“ მე-53 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას საჭიროა განვითარებული ხანძრების ჩასაქრობად დასახლებული პუნქტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით სამეურნეო ტექნიკისა და მოსახლეობის მობილიზება;

#### **414. ვალდებულია თუ არა საკრებულოს თავმჯდომარე საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემდეგ მოახდინოს საგანგებო შტაბის შეკრება?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბების შეკრებას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

#### **415. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული შეიმუშაოს ადგილობრივ ხანძრებზე გასვლის განრიგი?**

დიახ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 29 ივნისის №571 ბრძანების „ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გასვლის განრიგი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძირითადი ოპერატიული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ხანძრებისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო

ძაღებისა და საშუალებების სწრაფი და ორგანიზებული გადაწვების წესს სახანძრო დაცვის ძალებისა და საშუალებების ჩაბმისას. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ტერიტორიულ საზღვრებში წარმოქმნილ ადგილობრივ ხანძრებსა და სხვა საგანგებო სიტუაციებზე გასვლის განრიგის დადგენილი წესით შემუშავებას უზრუნველყოფენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფები და ამტკიცებენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ქალაქების – თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი – სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გასვლის განრიგი თანხმდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან. ამ ბრძანების მე-18 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრებში სხვადასხვა სირთულის ხანძრების და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზების მიზნით გასვლის განრიგის შემუშავებისას უნდა დადგინდეს რეაგირების ძალებისა და საშუალებების რაოდენობა (რეზერვების გათვალისწინებით) და მოზიდვის თანმიმდევრობა, აგრეთვე სპეციალური ტექნიკის ჩაბმის და უფლებამოსილი თანამდებობის პირების შემთხვევებზე გასვლის წესი სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მახასიათებლებიდან გამომდინარე, გასვლის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული ორგანიზაციების ოპერატიულ-ტაქტიკური თავისებურებების და ერთდროულად წარმოქმნილი ხანძრების შესაძლო რაოდენობის გათვალისწინებით.

#### **416. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული საგანგებო სიტუაციის დროს კავშირგაბმულობის საწარმოებს აღმოუჩინოს დახმარება?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების „ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციის დროს დაზიანებული კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, კავშირგაბმულობისა და ფოსტის საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **417. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული საგანგებო სიტუაციის დროს ენერგომომარაგების საწარმოებს აღმოუჩინოს დახმარება?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების „ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების დროს დაზიანებული ენერგომომარაგების ქსელების ავარიული მდგომარეობის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ენერგომომარაგების საწარმოებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება (სამუშაო ძალა, ტრანსპორტი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **418. მოსახლეობის ევაკუაციისას ტრანსპორტით უზრუნველყოფა განეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციას?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულების „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – უზრუნველყოფენ მუნიციპალური, საქალაქო სატრანსპორტო სამსახურების საშუალებით საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციას ტრანსპორტით.

#### **419. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული განსაზღვროს საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება?**

დიახ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 მაისის №738 ბრძანების „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდების დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის ხელმძღვანელის (საავარიოსამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელის) უფლებამოსილება განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **420. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განახორციელოს პოლიციის მატერიალური უზრუნველყოფა?**

დიახ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, ტერიტორიული ორგანოები, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **421. რა აუცილებელი მოქმედებები ტარდება ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების განხორციელებისას ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქონების გადასარჩენად?**

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების განხორციელებისას ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქონების გადასარჩენად ტარდება აუცილებელი მოქმედებები:

- ხანძრების საშიში ფაქტორების გავრცელების (შესაძლო გავრცელების), აგრეთვე ავარიების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების საშიში გამოვლენის ადგილებზე მისასვლელად;
- ხანძრების, აგრეთვე ავარიების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების გავრცელების დამაბრკოლებელი და მათი ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფი პირობების შესაქმნელად;

- ხანძრების გაჩენის ადგილებში, ავარიების, კატასტროფების, სხვა საგანგებო სიტუაციების ზონებში შესვლის და მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეზღუდვისათვის ან აკრძალვისათვის;
- ხანძრების ჩაქრობის ადგილის, აგრეთვე ავარიების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ზონების დაცვისათვის (მათი გაჩენის მიზეზებისა და გარემოებების წინასწარი გამოძიების პერიოდში);
- ხანძრების, აგრეთვე ავარიების, კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ადგილებიდან ადამიანთა და ქონების ევაკუაციისათვის.

ხანძრის ჩაქრობას ადგილზე უშუალოდ ხელმძღვანელობს ხანძარზე მისული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი ოპერატიული თანამდებობის პირი - ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი), რომელიც ერთმმართველობის პრინციპით ხელმძღვანელობს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო დაცვის პირად შემადგენლობას, აგრეთვე ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმულ სხვა ძალებს.

ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი ადგენს ტერიტორიის საზღვრებს, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის მოქმედებები, მათი ჩატარების წესსა და თავისებურებებს, აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებებს ხანძარზე ადამიანთა და ქონების გადარჩენის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი იღებს სხვა გადაწყვეტილებებსაც, მათ შორის, ისეთებს, რომლებიც ზღუდავენ პირთა უფლებებს აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მითითებები აუცილებელია შესასრულებლად ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის მოქმედებები.

ხანძრის ჩაქრობის დროს არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოქმედებებში ან შეცვალოს მისი განკარგულებები.

სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობა, ხანძრების, ავარიების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის სხვა მონაწილეები, რომლებიც მოქმედებდნენ უკიდურესი აუცილებლობის ან/და დასაბუთებული რისკის პირობებში, თავისუფლდებიან მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან.

ხანძრის ჩაქრობის დროს სახანძრო დაცვის პირადმა შემადგენლობამ უნდა მიიღოს ზომები ნივთიერი მტკიცებულებების შესანარჩუნებლად და ქონების დასაცავად.

#### **422. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა?**

დიახ. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა არის საზოგადოების მიზანდასახული ინფორმირება სახანძრო უსაფრთხოების პრობლემების შესახებ, რომელიც ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემების, სპეციალურილიტერატურისა და სარეკლამო პროდუქციის გამოშვებით, თემატური გამოფენების, ჩვენებების, კონფერენციების მოწყობით, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმების გამოყენებით, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით. ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოები, სახანძრო დაცვის სამსახურები და ორგანიზაციები. სახელმწიფო ხელისუფლებისა და

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, მიაწოდონ მოსახლეობას ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და ხელი შეუწყონ სახანძრო-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას.

#### **423. რა უფლებები აქვთ და რა ვალდებულებები აკისრიათ საქართველოს მოქალაქეებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში?**

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეებს უფლება აქვთ:

- ხანძრის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;
- აინაზღაურონ მიყენებული ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მიიღონ მონაწილეობა იმ ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობასა და ქონებას;
- მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის, სახანძრო დაცვის სამსახურებიდან;
- მონაწილეობა მიიღონ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მათ შორის, ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის საქმიანობაში.

მოქალაქეები ვალდებული არიან:

- დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;
- ხანძრის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ სახანძრო დაცვის სამსახურებს;
- სახანძრო დაცვის სამსახურების მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კერძო და სახელმწიფო ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;
- დაეხმარონ ხანძრის ჩაქრობაში სახანძრო დაცვის სამსახურებს.

#### **424. რა უფლებები აქვთ და რა ვალდებულებები აკისრიათ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში?**

„სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციებს უფლება აქვთ:

- დადგენილი წესით შექმნან თავიანთ დაფინანსებაზე მყოფი შესაბამისი საუწყებო, კერძო ან ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის სამსახური, აგრეთვე მოახდინონ მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- ჩაატარონ სამუშაოები ორგანიზაციებში მომხდარი ხანძრების გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების დასადგენად;
- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინონ სოციალური და ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებები;
- დადგენილი წესით მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სახანძრო დაცვის სამსახურებიდან.

ორგანიზაციები ვალდებული არიან:

- დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

- აწარმოონ ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა, აგრეთვე უზრუნველყონ თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;
- იქონიონ გამართულ მდგომარეობაში ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და სისტემები, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ხელი შეუწყონ სახანძრო დაცვის სამსახურებს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა გამოვლენაში;
- ორგანიზაციის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობისას გამოყონ აუცილებელი ძალები და საშუალებები;
- დაუყოვნებლივ აცნობონ სახანძრო დაცვის სამსახურებს ხანძრის გაჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და საშუალებების გაუმართაობის, გზებსა და გასასვლელებში ცვლილებების შესახებ;
- ხელი შეუწყონ მოხალისე მეხანძრეების საქმიანობას.

ორგანიზაციების ხელმძღვანელები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე.

#### **425. საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია განეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციას?**

დაიხ. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე იურიდიული პირები, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც მათივე ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, მათ ხელთ არსებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების გამოყენებით. თუ აღნიშნული ძალებითა და საშუალებებით შეუძლებელია საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობენ ერთიან სისტემაში შემავალი შესაბამისი ორგანოები.

#### **426. რა უფლებამოსილებანი აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში?**

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

- იღებენ ნორმატიულ და სხვა სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;
- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის მიზნით ქმნიან საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფებს საგანგებო სიტუაციებზე

რეაგირების ძალებითა და საშუალებებით, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და აღიარებულია საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მათ მომზადებასა და მუდმივ მზადყოფნას;

- საგანგებო სიტუაციის დროს აუცილებლობის შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ, ევაკუირებულ მოსახლეობას უზრუნველყოფენ სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომებით;
- იღებენ და ამუშავებენ შესაბამის ინფორმაციას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;
- უზრუნველყოფენ ჰუმანიტარული დახმარებების განაწილებას დაზარალებულ და უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთათვის;
- ორგანიზებას უწევენ საავარიო-სამაშველო და სხვა სახის გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებას და ასრულებენ მათ;
- საგანგებო სიტუაციის დროს აფინანსებენ მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებებს;
- საგანგებო სიტუაციის დროს დახმარებას უწევენ ორგანიზაციებს უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით;
- საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ასრულებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### **427. საიდან ფინანსდება საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები?**

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები ფინანსდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახსრებით, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზედაც მათივე ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, სადაზღვევო ფონდებისა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროების ხარჯზე.

#### **428. რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს საგანგებო სიტუაციის დროს?**

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანგებო სიტუაციებისაგან დაცვის მიზნით, ნებაყოფლობით დააზღვიონ საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება;

- საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად ისარგებლონ კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, თვითმმართველობის ორგანოებისა და იურიდიული პირების ქონებით. კერძო სამართლის იურიდიული პირის კუთვნილ ქონებასა და მატერიალურ საშუალებებს გამოიყენებს მხოლოდ სახელმწიფო სათანადო ანაზღაურებით, ამ კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე;
- საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე ყოფნის რისკისა და უსაფრთხოების აუცილებელი ზომების შესახებ მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების ან ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში;
- გაერთიანდნენ მოხალისეთა სამაშველო ფორმირებებში და შეისწავლონ საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ძირითადი მეთოდები.

საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებული არიან:

- დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;
- დაიცვან უსაფრთხოების ზომები ყოფა-ცხოვრებასა და ყოველდღიურ სამსახურებრივ საქმიანობაში, აგრეთვე საწარმოო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნები;
- შეასრულონ საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების დადგენილი წესები;
- აუცილებლობიდან გამომდინარე და საკუთარ შესაძლებლობათა ფარგლებში დაეხმარონ მაშველებს საავარიო-სამაშველო და სხვა სახის გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებაში;
- საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებით განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებანი.

**429. ვალდებული არიან თუ არა თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია საგანგებო სიტუაციის შესახებ ?**

დიახ. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს საგანგებო სიტუაციის და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო, რადიაციული, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური, სახანძრო, ეკოლოგიური ვითარებების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე. საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, გარდა იმ ინფორმაციისა, რომლის გავრცელებაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და იურიდიული

პირის ადმინისტრაცია ვალდებული არიან მოსახლეობას ოპერატიულად და გასაგებად მიაწოდონ ინფორმაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებით, მათ შორის, ინტერნეტით). აკრძალულია საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ინფორმაციის დაფარვა, მისი დაგვიანებით ან განზრახ გაყალბებული სახით წარდგენა.

#### **430. რა უფლებამოსილებები გააჩნია სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში?**

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;
- ბ) კოორდინაციას უწევს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების საქმიანობას და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას;
- გ) ეროვნული რეაგირების გეგმითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის გამგებლობაში არსებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების გამოყენებას;
- დ) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციაში მოსახლეობის ევაკუაციას;
- ე) კოორდინაციას უწევს ევაკუირებული მოსახლეობის სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას;
- ვ) იღებს და ამუშავებს შესაბამის ინფორმაციას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;
- ზ) კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ჰუმანიტარული დახმარებების განაწილებას დაზარალებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის;
- თ) კოორდინაციას უწევს საავარიო-სამაშველო და სხვა სახის გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებას;
- ი) კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციაში ორგანიზაციების უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით ღონისძიებების განხორციელებას;
- კ) საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### **431. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს უფლება დადონ ხელშეკრულებები კერძო პირებთან საგანგებო სიტუაციის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებების მიზნით?**

დიახ. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის

მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მხარდაჭერის მიზნით ხელშეკრულება დადონ შესაბამის პირობებში, თუ მათი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი.

**432. აქვთ თუ არა უფლება თვითმმართველობის ორგანოებს მოამზადონ მოსახლეობა საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში?**

დიახ. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ მოსახლეობის მომზადებას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში.

**433. ვალდებულია თუ არა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია თვითმმართველობის ორგანოს წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ?**

დიახ. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 45-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 3 თვისა ადმინისტრაცია აცნობებს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მსჯავრდებულის გათავისუფლების, მისი საცხოვრებელი ადგილის, შრომისუნარიანობისა და სპეციალობის შესახებ.

**434. აქვთ თუ არა უფლება ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების თანამშრომლებს, ფარულად მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობის საქმიანობაში?**

არა. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოებს (საჯარო მოსამსახურეებს) ეკრძალებათ ფარული მონაწილეობა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში. აკრძალულია ფარული მონაწილეობა ოფიციალურად რეგისტრირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ ეს საქმიანობა მიზნად არ ისახავს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამცობას ან ძალადობით შეცვლას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ანდა თუ ეს ორგანიზაციები არ ეწევიან ომის ან ძალადობის პროპაგანდას, არ აღვივებენ ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობა.

**435. ფიზიკური პირის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება შედის თუ არა თვითმმართველობის უფლებამოსილებაში?**

დაიხ. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით.

„საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 ნოემბრის №968 ბრძანებულებით დამტკიცებულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შესაძლებელია განისაზღვროს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი სხვა ორგანო.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომისიის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“.

**436. მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს თვითმმართველობის ორგანოში?**

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

- მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი;
- საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა არის – სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოემვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა;

#### **437. რა არის მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი?**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი არის - ცნობა-დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში ასევე აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ, დადგენილი წესით, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი, აგრეთვე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 7<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის დადგომამდე – პრივატიზაციის გეგმა, 1999 წლამდე შედგენილი დროებით სარგებლობის დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი, 1999 წლამდე მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის ბალანსზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის გაუქმებული, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პროექტი.

**438. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს თვითმმართველობის ორგანოში?**

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება;

ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში<sup>7</sup> – მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზედაც მითითებული უნდა იყოს მაგისტრალური მილსადენის ადგილმდებარეობა და მანძილი მაგისტრალურ მილსადენსა და მიწის ნაკვეთს შორის;

გ) ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად;

დ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები.

კომისია განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან ორი თვის ვადაში. თუ საკუთრების უფლებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ორ თვეზე მეტი ვადა, კომისია უფლებამოსილია განცხადების განხილვის ვადა დამატებით გაზარდოს არა უმეტეს ექვსი თვით.

**439. რა არის მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი?**

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის – ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი;

**440. აქვს თუ არა კერძო სამართლის იურიდიულ პირს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის უფლება?**

---

<sup>7</sup> „3. ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით განსაზღვრული მაგისტრალური მილსადენების დაცვის III და IV ზონებში თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა“.

არა. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-74 მუხლის თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლობიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

#### **441. მიეცემა თუ არა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებს ხელფასი?**

არა. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიაში უფლებამოსილების განხორციელებისათვის კომისიის წევრებს ანაზღაურება არ მიეცემათ. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებზე. აღნიშნული კომისიის წევრთა საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საკრებულოს მიერ განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

#### **442. საჯაროა თუ არა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისია საქმიანობას ეწევა კომისიის სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია; კომისია ვალდებულია 2 სამუშაო დღით ადრე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე გამოაქვეყნოს, ხოლო დაინტერესებულ პირს 1 კვირით ადრე წერილობით აცნობოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ; კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომებს ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა; კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები, ცალკეული დარგის ექსპერტები/სპეციალისტები ან/და სხვა მოწვეული პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები; დაინტერესებული პირი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომებს და მისცეს ახსნა-განმარტება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება; კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმების

თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა; ხმის მიცემა წარმოებს ღია კენჭისყრის ფორმით. ხმის მიცემა წარმომადგენლის მემვებობით დაუშვებელია; კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან ან ხმა მისცეს იმ საკითხს, რომლის განხილვაშიც არ იღებდა მონაწილეობას.

#### **443. თვითნებურად დაკავებული რომელი სახელმწიფო საკუთრების მიწა არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას?**

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწა:

- პირუტყვის გადასარეკი ტრასა;
- წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომელთა საკუთრებაში გადაცემა და გამოყენება შესაძლებელია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მიწა, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც დაკავებულია ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ, რომელთა საკუთრებაში გადაცემა შესაძლებელია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის შესაბამისად და რომელთა სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვა ხელს არ შეუშლის სახელმწიფო ტყის ფონდის მართვისა და დაცვის განხორციელებას;
- დაცული ტერიტორია, გარდა დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა;
- რეკრეაციული დანიშნულების პარკი, ტყე-პარკი, სკვერი და სხვა, გარდა „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 ნოემბრის N968 ბრძანებულებით დამტკიცებული სარეკრეაციო ტერიტორიებისა;
- ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები;
- საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (მოედანი, ქუჩა, გასასვლელი, გზა, ტროტუარი, სანაპირო), დასასვენებელი ადგილი (პარკი, ტყე-პარკი, სკვერი, ხეივანი), დენდროლოგიური პარკი და ბოტანიკური ბაღი;
- თუ მასზე განთავსებულია წყალსაცავი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი ზონები;
- თუ მასზე განთავსებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგაყვანილობის) ობიექტები;
- სპეციალური დანიშნულების (თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილი) მიწის ნაკვეთები;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებული მიწის ნაკვეთი, მათ შორის, ის მიწის ნაკვეთი, რომელზე განთავსებული სახელმწიფო

ქონებაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ ექვემდებარება პრივატიზებას;

- სასაფლაო და პანთეონი;
- სანიტარიული და დაცვითი ზონები;
- თუ იგი განკუთვნილია ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენებისა და მათთან დაკავშირებული მიწისქვეშა და მიწისზედა საშუალებების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით განსაზღვრული მაგისტრალური მილსადენების დაცვის III და IV ზონებში თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.

#### **444. რა მიეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობას?**

„საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №687 ბრძანებულებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა წუსხის“ თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების (მათ შორის, ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციები და წილები) სახეობებია:

- ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, რომლის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შენობა-ნაგებობები, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად.
- დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები, ნაპირსამაგრი ნაგებობები.
- ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები.
- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების (თავშესაფრების) განთავსებისათვის აუცილებელი ობიექტები.

#### **445. რამდენია საკუთრების უფლების აღიარების საფასური?**

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

- მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებობა დგინდება ამ მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

- მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე, კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის, ასევე ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ხუთმაგ ოდენობას.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს:

- კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის შეადგენს: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე – მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ასმაგ ოდენობას;
- ფიზიკური პირისათვის შეადგენს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ ჰექტარზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ათმაგ ოდენობას, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე – საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგ ოდენობას, მაგრამ თუ მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის ოცმაგი ოდენობა მეტია მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე მოქმედ ნორმატიულ ფასზე, მაშინ თვითნებურად დაკავებული მიწის ყოველ კვადრატულ მეტრზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური შეადგენს მოთხოვნის დროისათვის შესაბამის მიწაზე მოქმედ ნორმატიულ ფასს.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილი წესით და განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება განისაზღვროს მიწის ნორმატიული ფასით.

საკუთრების უფლების აღიარების საფასური გადახდილი უნდა იქნეს ერთიანად.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაადგინოს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურისაგან განთავისუფლების შემთხვევები

**446. შესაძლებელია თუ არა, გამგებლის თანხმობით რამდენიმე მრავალბინიანი სახლის მესაკუთრეებმა დააფუძნონ ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა?**

დიახ. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (გამგებლის) თანხმობით შეიძლება დაფუძნდეს ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

**447. შესაძლებელია თუ არა, გამგებლის თანხმობით ერთ მრავალბინიან სახლში იყოს იმდენი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რამდენი სადარბაზოცაა?**

დიახ. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (გამგებლის) თანხმობით შეიძლება დაფუძნდეს ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

**448. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განახორციელოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამები და ხელი შეუწყოს მის ჩამოყალიბებას?**

დიახ. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, თვითმმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას, რისთვისაც შეიძლება განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

- სააგიტაციო-განმარტებითი მუშაობა მესაკუთრეებთან;
- შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტებისა და მრავალბინიანი სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა სწავლება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშესაწყობად პროგრამების შემუშავება.

**449. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველ ერთეულს სარგებლობაში გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება?**

დიახ. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაიცემა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე; სახელმწიფო ქონება სარგებლობაში შეიძლება გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს; ამ კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ქონების მმართველს მიმართავს განცხადებით სახელმწიფო ქონების სარგებლობაში პირველადი გადაცემის შესახებ. ქონების მმართველი განცხადების წარდგენიდან 2 კვირის ვადაში, დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას განცხადებაში დასმულ საკითხზე თანხმობის გაცემის თაობაზე, რომელიც შესაბამისი ორგანოსთვის სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველია, ან მოტივირებულ უარს აცხადებს სახელმწიფო ქონების გადაცემაზე. ქონების მმართველის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების გადაცემის საკითხი განიხილება საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული წესით. (5.06.2012. N6377 ამოქმედდება 2012 წლის 17 სექტემბრიდან.)

#### **450. შეიძლება თუ არა სახელმწიფო ქონების შემძენი იყოს თვითმმართველობა?**

არა. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების შემძენი (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევისა) შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე სახელმწიფოს, სხვა სუბიექტის ან სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტის მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.“

#### **451. შეიძლება თუ არა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების შემძენი იყოს მუნიციპალიტეტი?**

დაიხ. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-3 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, ამ კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონება შეიძლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გადაეცეს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ასევე სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონება, სახეობის გათვალისწინებით, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს სოციალური მიზნებისათვის.

#### **452. უნდა დაესწროს თუ არა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განადგურებას თვითმმართველობის ორგანო?**

დაახ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №771 ბრძანების „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-18 მუხლის შესაბამისად, ქონების განადგურების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების შეფასების სამსახურის ან სხვა საექსპერტო დაწესებულების (ექსპერტის) და/ან აუდიტორი ფირმის (აუდიტორის) სათანადო შეფასების/დასკვნის საფუძველზე. ქონების განადგურების პროცესს ესწრება სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებელი პირი. ქონების განადგურების ტექნიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება საქონლის განადგურება. ამ ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქონების განაწილება ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შუამდგომლობების, ასევე სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დასაბუთებული შუამდგომლობების საფუძველზე. სახეობის გათვალისწინებით, ქონება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს სოციალური მიზნებისათვის.

#### **453. რომელი ქონება არის გამოცხადებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად გამოცხადდა გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. თვითმმართველი ერთეული ვალდებულია მიმართოს საჯარო რეესტრს და უზრუნველყოს აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

#### **454. რა პროცედურებით ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემა?**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65<sup>1</sup> მუხლის 6<sup>28</sup> და 6<sup>39</sup> პუნქტებში აღნიშნული

---

<sup>8</sup>,<sup>6</sup><sup>2</sup>. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების ან/და თვითმმართველობის 100%-იანი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები ან/და მათი ნაწილები, რომლებზედაც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება, მათზე დამაგრებული მიწით“.

ობიექტებისა, თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს ქონების მმართველი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს თხოვნის საფუძველზე, ხოლო ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულს – ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით. (5.06.2012 N 6383 ამოქმედდეს 2012 წლის 17 სექტემბრიდან)

- ქონების მმართველი წარდგენილ თხოვნაზე იღებს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას და წერილობით აცნობებს თხოვნის წარმდგენს მისი წარდგინიდან 1 თვის ვადაში, ხოლო თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი ძირითადი (გაუსხვისებელი) უძრავი ქონების თაობაზე ქონების მმართველის გადაწყვეტილება მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. თუ უფლებამოსილმა ორგანომ 1 თვის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, თვითმმართველი ერთეულის მიერ მოთხოვნილი ქონება ჩაითვლება მისთვის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად. (5.06.2012 N 6383 ამოქმედდეს 2012 წლის 17 სექტემბრიდან)
- თუ ქონება მომსახურებას უწევს ერთზე მეტ თვითმმართველ ერთეულს, იგი საკუთრებაში გადაეცემა იმ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ან რეგისტრირებულია. ქონების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს ყველა თვითმმართველი ერთეული, რომლებიც გამოიყენებენ ამ ქონებას.

#### **455. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, შეიძინოს ქონება სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონება შეიძლება მდებარეობდეს როგორც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

#### **456. რას ნიშნავს ქონების ლეგალიზება და რას ისახავს მიზნად?**

„ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად ქონების ლეგალიზება არის სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერ ქონებაზე, რომელზედაც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან გარეგნობით ამ კანონის ამოქმედებამდე, კანონიერი საკუთრების უფლების დადასტურება, რომელიც შეიძლება

---

<sup>9</sup> „6<sup>3</sup>. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად საჯარო რეესტრში საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე დარეგისტრირდეს ის საერთო საცხოვრებლები, რომლებიც აღრიცხულია ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში, როგორც საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე იმ საერთო საცხოვრებლების შენობა-ნაგებობები ან/და მათი ნაწილები, რომლებზედაც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება“.

შეიზღუდოს ან ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით<sup>10</sup> განსაზღვრულ შემთხვევებში.

ქონების ლეგალიზება არ ვრცელდება შემდეგ ქონებაზე:

ა) ქონებაზე, რომლის პრივატიზება აკრძალულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით;

ბ) ქონებაზე, რომელზედაც საკუთრების უფლების ან საკუთრების შეძენის საფუძვლის გაუქმების შესახებ ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის მიმდინარეობს სასამართლო დავა (რომლის ერთ-ერთი მხარე სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულია) ან ადმინისტრაციული წარმოება;

გ) ქონებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის მიმდინარეობს გამოძიება საკუთრების (საკუთრების შეძენის საფუძვლის) განკარგვის მართლზომიერების დასადგენად;

დ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV<sup>1</sup> თავით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>2</sup> თავით გათვალისწინებულ ქონებაზე;

ე) ყალბი დოკუმენტის წარდგენით მოპოვებულ ქონებაზე;

ვ) მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენებისა და მათთან დაკავშირებული მიწისქვეშა და მიწისზედა საშუალებების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

ამ კანონის ამოქმედება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე გავრცელდება სასამართლო დავის, ადმინისტრაციული წარმოების ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღნიშნული ქონება ლეგალიზებულად ჩაითვლება და მასზე გავრცელდება ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლების დებულებები.

**457. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცეს შემდეგი სახელმწიფო ქონება: ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სამუსიკო სკოლა, საკლუბო დაწესებულება, კულტურის სახლი, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი?**

დიახ. „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ“

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. „1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. 3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილებით დამტკიცდა იმ დაწესებულებების (სახელმწიფო ბიბლიოთეკა, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი, საკლუბო დაწესებულება (კულტურის სახლი), მუზეუმი, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება და შემოქმედებითი კოლექტივები (ანსამბლები, გუნდები, ორკესტრები და სხვ.) ნუსხა, რომლის გარდა ყველა ქონება ჩაითვალა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებად.

თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს ქონების მმართველისაგან მოითხოვოს ზემოთ აღნიშნული ქონების გადმოცემა და გადმოცემულ ქონებაზე დააფუძნოს არაკომერციული იურიდიული პირი.

#### **458. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, ისარგებლოს სახელმწიფო ქონებით?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად:

- სახელმწიფო თვითმმართველ ერთეულს ანიჭებს უფლებას, ისარგებლოს სახელმწიფო ქონებით, რომელიც საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;
- სარგებლობის უფლებით გადასაცემი შესაბამისი ქონების განსაზღვრა და სარგებლობის უფლების მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულების თანახმად;
- თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადაცემული ქონება რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, ისარგებლოს ასეთი ქონებით;
- თვითმმართველი ერთეულის მიერ ასეთი ქონებით სარგებლობის პირობები განისაზღვრება ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებით.

#### **459. რა პროცედურით ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაცია?**

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე (წილის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამოიჯვინის წესის“ მე-6 მუხლის თანახმად:

- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის გამოიჯვნა ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 651 მუხლის მე-6 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე;

- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვნებულ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის გამიჯვნასა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადაწყვეტილება მიიღება წერილობით, თანხმობის ფორმით;
- შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამიჯვნისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირების მიზნით წერილობითი მოთხოვნით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
- თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს: ა) შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასახელება; ბ) მოთხოვნის არსი; გ) ქონების დასახელება, ადგილმდებარეობა და აღწერა; დ) მოთხოვნაზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა; ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საზღვრები და ფართობი; ვ) ინფორმაცია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოსარგებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ზ) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ მოთხოვნილი ქონება არ ექვემდებარება ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის, წიაღზე დამაგრებას. სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს წერილი არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გაიცა მიმართვიდან 14 დღის ვადაში; თ) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ მოთხოვნილ მიწაზე არ არის გათვალისწინებული ელექტროსადგურის ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსება. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილი არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გაიცა მიმართვიდან 14 დღის ვადაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 14 დღის ვადაში იხილავს შემოსულ მოთხოვნებს და გაცემს თანხმობას ან დასაბუთებულ უარს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე. სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების 14 დღის ვადაში მიუღებლობის შემთხვევაში, თანხმობა ჩაითვლება გაცემულად.

ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვნებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვაზე.

#### **460. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველ ერთეულს მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება?**

დაიხ. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით. ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება ხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით. მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება.

ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება სახელმწიფო ორგანო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა შეიცავდეს საექსპროპრიაციო ქონების დეტალურ აღწერას და შესაბამის მითითებას მესაკუთრის სათანადო კომპენსაციით უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე.

#### **461. რა სახის სამუშაოების ჩასატარებლად შეიძლება მიენიჭოს თვითმმართველ ერთეულს ექსპროპრიაციის უფლება?**

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება შემდეგი სამუშაოების წარმოების მიზნით:

- გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის;
- რკინიგზის ხაზების გაყვანისათვის;
- ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანისათვის;
- ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის;
- წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის;
- სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის;
- სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის;
- საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის;
- ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.

#### **462. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობა, გასცეს საბუთი, რომელიც დაადასტურებს გეოგრაფიული საქონლის წარმოშობას?**

დაიხ. „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაცხადი ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციაზე „საქპატენტში“ შეაქვს განმცხადებელს. განაცხადი უნდა შეიცავდეს თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მიერ გაცემულ საბუთს, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის წარმოშობის გეოგრაფიულ ადგილს;

## **თავი XXIII. სოციალური საკითხები**

### **463. უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა განეკუთვნება თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციას?**

დაიხ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველობის ორგანოები:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში (შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ფასდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დგინდება მისი კეთილდღეობის დონე);
- უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;
- აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;
- უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სამსახურისათვის (სააგენტოსათვის) ხელმისაწვდომობას.

### **464. ახორციელებს თუ არა თვითმმართველობა უსახლკაროთა რეგისტრაციას?**

დაიხ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უსახლკარო პირი არის – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო;

### **465. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული დააზღვიოს მეხანძრე-მაშველი?**

დაიხ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილების „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, რეაგირების ძალების თანამშრომლები ექვემდებარებიან ჯანმრთელობის დაზღვევას; რეაგირების ძალების დაზღვევას უზრუნველყოფს მათი დამსაქმებელი.

### **466. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობის ორგანო მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალიზებულ დაწესებულებაში თანადაფინანსებით პირის მოთავსების შესახებ?**

დიახ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სპეციალიზებული დაწესებულება არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების სოციალურ მომსახურებას მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში, გარდა პანსიონური მომსახურების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა. სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ან თანადაფინანსებით პირის მოთავსების, აგრეთვე სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში არასრულწლოვნის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპეტენტური ორგანო. კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პირის სპეციალიზებულ დაწესებულებაში დაფინანსებას (თანადაფინანსებას), ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

#### **467. აქვს თუ არა თვითმმართველობას უფლება სპეციალიზებულ დაწესებულებას მიმართოს პირის მოთავსების მოთხოვნით?**

დიახ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების შესახებ მიმართვა ხორციელდება დაინტერესებული მხარის წერილობითი განცხადების საფუძველზე. დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თუ სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების მსურველი მარტოხელაა და არ შეუძლია განცხადების დამოუკიდებლად წარდგენა;

#### **468. აქვს თუ არა თვითმმართველობას სპეციალიზებული დაწესებულების დაფინანსების უფლება?**

დიახ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, სპეციალიზებული დაწესებულების დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროები. სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

#### **469. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული სახელმწიფო ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ?**

დიახ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ

კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ მონაცემთა სამინისტროსა და სააგენტოსათვის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურისათვის) ხელმისაწვდომობას და ამ ინფორმაციის შეთავსებას სააგენტოს მიერ წარმოებულ ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან, მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ფორმითა და პერიოდულობით.

#### **470. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული დააფინანსოს სოციალური დახმარებები?**

დაიხ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ამ კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების შესაბამისად, დამატებით დააფინანსონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ამავე კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარებები. ასევე 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროა - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

#### **471. სოციალური დახმარების რა სახეები არსებობს საქართველოში?**

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად (ამოქმედდება 2013 წლის 1 იანვრიდან), საქართველოში არსებობს სოციალური დახმარების შემდეგი სახეები:

**საარსებო შემწეობა** (საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით).

**რეინტეგრაციის შემწეობა** (რეინტეგრაციის შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს რეინტეგრაციის შემწეობა. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით).

**მინდობით აღზრდის ანაზღაურება** (მინდობით აღზრდის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილს/მამობილს შვილობილის მოსაველეად და აღსაზრდელად. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მინდობით აღზრდის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის

გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით).

**სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება** (სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა პირს, რომელიც სრულწლოვანს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობასა და გაცემის პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით).

**არაფულადი სოციალური დახმარება** (სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი შეიძლება იყოს არაფულადი სოციალური დახმარების მიმღები. პრევენციისა და რეინტეგრაციის მიზნით არაფულადი სოციალური დახმარება შეიძლება გაეწიოს აგრეთვე ბავშვს ან/და მის ოჯახს, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა, ან მზრუნველობამოკლებულ ბავშვს მისი ოჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად. არაფულადი სოციალური მომსახურების სახეები, აგრეთვე ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები, რომელთა შემეფოებიტაც დგინდება ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის რისკის მაჩვენებელი, განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით).

**სოციალური პაკეტი** (სოციალური პაკეტი არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძვლებია: ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; ბ) მარჩენალის გარდაცვალება. (ამოქმედდება 2012 წლის 1 სექტემბრიდან).

#### **472. იღებენ თუ არა მონაწილეობას თვითმმართველობის ორგანოები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში?**

დიახ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად, 1. მაძიებელთა იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის პროცესი ემყარება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობას, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთობლივი მონაწილეობით. 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: ა) ეხმარებიან სააგენტოს უფლებამოსილ პირ(ებ)ს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მაძიებელთა საცხოვრებელი ადგილის დადგენაში; ბ) უზრუნველყოფენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების მოძიებას და ხელს უწყობენ მათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის პროცედურის გავლაში; გ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ რეგისტრირებული ოჯახების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სააგენტოსათვის მიწოდებას მონაცემთა ბაზაში დატვირთული მონაცემების სრულყოფის მიზნით; დ) უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ოჯახის სოციალურ-

ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, დადგენილი წესის შესაბამისად; ე) ახორციელებენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“;

#### **473. რა ვალდებულებები აკისრია თვითმმართველ ერთეულს დევნილის მიმართ?**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ეხმარება დევნილს დროებით საცხოვრებელ ადგილზე საკუთარი უფლებების განხორციელებაში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად, რომლებიც:

- ეხმარებიან დევნილს დროებით დასაქმებაში, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით;
- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემწეობებსა და სხვა დახმარებებს;
- უზრუნველყოფენ დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სახელმწიფოს ხარჯზე უფასო სწავლებას;
- წყვეტენ დევნილის საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს;
- ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში;
- მონაწილეობენ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაღუპულთა სამარხებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ღონისძიებებში;
- ეხმარებიან დევნილს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებაში ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ;
- უზრუნველყოფენ დევნილს საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებლითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით;
- დევნილის გარდაცვალებისას ანაზღაურებენ მისი დაკრძალვის ხარჯებს დადგენილი წესით, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის, სამინისტრო, უზრუნველყოფენ მათთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს დევნილისთვის დროებით საცხოვრებელ ადგილზე უსაფრთხო, ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაქმნელად.

ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ დევნილი, ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, დაბრუნდება საცხოვრებელ ადგილას - აღმასრულებელი ხელისუფლებისა და

ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპროვინებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისთვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება მისი ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარჯისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია;

ამ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად.

#### **474. რამდენია სახელმწიფო პენსიის დანამატი შრომითი სტაჟის მიხედვით?**

„შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, 2007 წლის 1 სექტემბრიდან შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- 5 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 2 ლარი;
- 5 წლიდან 15 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 4 ლარი;
- 5 წლიდან 25 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 7 ლარი;
- 25 წელი და მეტი საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 10 ლარი.

იძულებით გადაადგილებული პირისათვის - დევნილისათვის, რომელიც დოკუმენტურად ვერ ადასტურებს შრომით სტაჟს, 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ასაკის გამო დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი ამავე პერიოდიდან განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) დევნილი მამაკაცებისათვის:

- ა.ა) 65 წლიდან 67 წლამდე - 2 ლარი;
- ა.ბ) 67 წლიდან 69 წლამდე - 4 ლარი;
- ა.გ) 69 წლიდან 71 წლამდე - 7 ლარი;
- ა.დ) 71 წლიდან ზემოთ - 10 ლარი.

ბ) დევნილი ქალებისათვის:

- ბ.ა) 60 წლიდან 62 წლამდე - 2 ლარი;
- ბ.ბ) 62 წლიდან 64 წლამდე - 4 ლარი;
- ბ.გ) 64 წლიდან 66 წლამდე - 7 ლარი;
- ბ.დ) 66 წლიდან ზემოთ - 10 ლარი.

**475. თუ მოქალაქეს არ გააჩნია შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეუძლებელია მათი მიღება ან აღდგენა, როგორ უნდა დადგინდეს შრომითი სტაჟი?**

„შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ მოქალაქეს არ გააჩნია შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეუძლებელია მათი მიღება ან აღდგენა, შრომითი სტაჟს ადგენს სასამართლო. შრომით სტაჟის დასადასტურებლად მიიღება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და მოიცავს ინფორმაციას პირის შრომითი საქმიანობის პერიოდზე;

**476. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველობა აღმოუჩინონ დახმარება მოქალაქეებს შრომით სტაჟთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში?**

დიახ. „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილების შესაბამისად ეთხოვათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, აღმოუჩინონ დახმარება მოქალაქეებს შრომით სტაჟთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში, ხოლო სააგენტოს – შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმებაში.

**477. სოციალურად დაუცველ პირებს თვითნებურად დაკავებული მიწა გადაეცემათ თუ არა საკუთრებაში უსასყიდლოდ?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის „34“ პუნქტის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ დაინტერესებულ პირს, რომლის სარეიტინგო ქულა ნაკლებია ასი ათასზე (100 000) თვითნებურად დაკავებული მიწა საკუთრებაში გადაეცემა უსასყიდლოდ.

**478. რა ვალდებულებანი აკისრიათ ლტოლვილის მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს?**

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარუდგინონ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისათვის საცხოვრებელ ადგილად შეთავაზებული დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა

და ლტოლვილთა სამინისტრო ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს აწვდის ინფორმაციას ამ პუნქტებში არსებული საცხოვრებელი პირობების შესახებ.

ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად - თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიღების, სტატუსის განსაზღვრის და განთავსების ხარჯები, მათ შორის, საქართველოს ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მათ ტერიტორიაზე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მიღებასა და განთავსებასთან, ანაზღაურდება სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებით.

#### **479. ვალდებული არიან თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირობები?**

დაიხ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-საანახობითი დაწესებულებებითა და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით. ჩამოთვლილი მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარგებლობის წესს, პირობებსა და შეღავათებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის, სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

ამავე კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო დახმარების მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ქმნიან სარეაბილიტაციო, მათ შორის, სამეცნიერო-საწარმოო, ცენტრების ქსელს, აღდგენითი მეურნალობის განყოფილებებს ამბულატორიულ და სტაციონარულ სასწავლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში; სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს, საწარმოებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ეხმარებიან შინ ან ინდივიდუალურად მომუშავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აღნიშნული საქმიანობისათვის არასაცხოვრებელი შენობების გამოყოფაში, ნედლეულის შეძენასა და პროდუქციის გასაღებაში.

ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა პანსიონატში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის, ობოლ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს – სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **480. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, განახორციელოს სამხედრო საფლავისა და დაღუპული მეომრის ნეშტის აღმოჩენის სამუშაოები;**

დიახ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, სამხედრო საფლავისა და დაღუპული მეომრის ნეშტის აღმოჩენის, დაღუპული მეომრის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის ვინაობის დადგენის მიზნით წარმოებს საძიებო სამუშაოები. საძიებო სამუშაოები ტარდება სამთავრობო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობიდან უფლებამოსილი პირების მიერ სპეციალური პროგრამებით. საძიებო სამუშაოს წესი განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტებით.

#### **481. ნეშტის აღმოჩენის შემდეგ უზრუნველყოფენ თუ არა მის დაკრძალვას თვითმმართველობის ორგანოები?**

დიახ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხო ქვეყნის არმიის მეომრის ნეშტი უნდა დაიკრძალოს ამ ქვეყნის წარმომადგენლობის ინფორმირებითა და მისი მონაწილეობით.

#### **482. შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში სამხედრო სასაფლაოს აღრიცხვა და მისი დაცვა?**

დიახ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამხედრო სასაფლაო ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას. საქართველოს ტერიტორიაზე მას აღრიცხავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ხოლო უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე – საქართველოს წარმომადგენლობა. თითოეულ სამხედრო საფლავზე კეთდება მემორიალური დაფა და დგება პასპორტი. ასევე მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად – ადრე უცნობი სამხედრო საფლავის აღმოჩენისას დგინდება პირის ვინაობა, აგრეთვე ხდება საფლავის აღრიცხვა, რეგისტრაცია, დაცვა და კეთილმოწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო გარნიზონის მონაწილეობით.

**483. აკისრიათ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს სამხედრო სასაფლაოს აღდგენის და კეთილმოწყობის ვალდებულება?**

დაიხ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო სასაფლაოს დაცვა და კეთილმოწყობა ეკისრებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონების გათვალისწინებით, ხოლო სამხედრო გარნიზონის ტერიტორიაზე – ამ გარნიზონის ხელმძღვანელობას. ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამხედრო სასაფლაო დაზიანების შემთხვევაში უნდა აღადგინონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა.

**484. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის ნეშტის გადასვენების შესახებ?**

დაიხ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის ნეშტის გადასვენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

**485. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვის უფლებამოსილება?**

დაიხ. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხო ქვეყნის არმიის მეომრის ნეშტი უნდა დაიკრძალოს ამ ქვეყნის წარმომადგენლობის ინფორმირებით და მისი მონაწილეობით.

**486. რა თანხა უნდა გამოიყოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის დაკრძალვისას?**

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომარი უნდა დაიკრძალოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. დაკრძალვის თანხა უნდა შეადგენდეს: ქალაქ თბილისში – 350 ლარს, თვითმმართველ ქალაქებში – 300 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტებში – 250 ლარს.

**487. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, მაღალმთიან რეგიონში ახლად დასახლებულს გაუწიოს ფინანსური დახმარება?**

დაიხ. „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მაღალმთიან რეგიონში თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ახლად დასახლებულებს უწევენ ფინანსურ დახმარებას შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან.

#### **488. იხდის თუ არა მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირი საშემოსავლო გადასახადს?**

დაიხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

#### **489. უმცირდებათ თუ არა 50%-ით მიწის გადასახადი პირებს, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან რეგიონებში?**

დაიხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქონების გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

#### **490. უნაზღაურდებათ თუ არა ბუნებრივი აირის ღირებულება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირებს?**

დაიხ. საქართველოს კანონის „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მე-40 მუხლში აღნიშნულია:

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის ანაზღაურდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 15 მაისამდე პერიოდში თითოეულ აბონენტზე თვეში 700 მ<sup>3</sup> (მაისში - 350 მ<sup>3</sup>) ბუნებრივი აირის საფასური, გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სათანადოდ დამოწმებული აბონენტების ნუსხის მიხედვით, ხოლო 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში - თითოეულ აბონენტზე თვეში არა უმეტეს 700 მ<sup>3</sup>-ისა (ოქტომბერში - არა უმეტეს 350 მ<sup>3</sup>-ისა).

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯალმინის, ზაქანის, ხადის და კაიშაურნის) მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება ანაზღაურდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 15 მაისამდე და 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდებში - თითოეულ აბონენტზე თვეში არა უმეტეს 700 მ<sup>3</sup>-ისა (მაისსა და ოქტომბერში - არა უმეტეს 350 მ<sup>3</sup>-ისა).
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელდეს იმ აბონენტებზე, რომლებიც ირიცხებოდნენ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯალმინი, ზაქანი, ხადა და კაიშაურნი) 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

**491. აქვთ თუ არა უფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს, დააფინანსონ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები?**

დაიხ. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებული თავისუფალი სახსრებისა და საშუალებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ურთიერთობის შეუცვლელად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ოჯახის სოციალური დაცვისათვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების შესახებ, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

**492. როგორ ახორციელებს სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სოციალურ დაცვას?**

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ოჯახის სოციალური დაცვის გარანტი არის სახელმწიფო. ოჯახის სოციალური დაცვა ითვალისწინებს:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უზო-უკვლოდ დაკარგულთა, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა გადმოსვენებასა და დაკრძალვას;
- საპენსიო უზრუნველყოფას „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების - წყლის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანის, გაზის, ელექტროენერჯის, ტელეფონის სააბონენტო გადასახადებისაგან გათავისუფლებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ელექტროენერჯის უფასო მოხმარება ზამთრის სეზონზე

(ნოემბერიმარტი) განისაზღვრება 250 კვტ სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 150 კვტ სთ-ით თვეში;

- სხვა სოციალური დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **493. რამდენია საქართველოში მინიმალური ხელფასი?**

„მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულების შესაბამისად, მინიმალური ხელფასი დამტკიცებულია 20 ლარის ოდენობით.

#### **494. რამდენია აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო?**

135 ლარი, „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №43 ბრძანებულების შესაბამისად.

#### **495. რამდენია თვითმმართველობის მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო:**

135 ლარი, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ პირველი პუნქტის შესაბამისად. ამავე ბრძანებულებით დადგენილია თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი.

#### **496. რა შემთხვევაში გაიცემა საავადმყოფო ფურცელი?**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, საავადმყოფო ფურცელი არის თანდართული ფორმის (დანართი 11), დასაქმებულთა დროებითი შრომისუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი და გაიცემა:

- დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვის გამო;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;
- ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო;
- კარანტინის გამო;
- შრომისუნარობისას დროებით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;
- პროთეზირების გამო.

საავადმყოფო ფურცელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია, რომელსაც აქვს სერია, ნომერი და დაცვის სხვა ნიშნები.

#### **497. რამდენია ერთი დევნილის და ლტოლვილის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები?**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 27 იანვრის №14 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებში დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები ერთ დევნილზე და ლტოლვილზე თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში არა უმეტეს 10.2 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – არა უმეტეს 5 ლარის ოდენობით, საიდანაც დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის ხარჯი განისაზღვროს 2 ლარის ოდენობით;

დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების ხარჯის ოდენობა განისაზღვროს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში დადგენილი ტარიფის (მოსაკრებლის) ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს:

ქალაქ თბილისში მოხმარებული წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურებისათვის – 3.15 ლარისა (მათ შორის, მოხმარებული წყლის მიწოდების მომსახურებისათვის – 2.67 ლარი და კანალიზირებულ ან არაკანალიზირებულ ობიექტებში, შესაბამისად, კანალიზაციის ან ასენიზაციის ხარჯი – 0.48 ლარი), ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში 2.50 ლარისა (მათ შორის, მოხმარებული წყლის მიწოდების მომსახურებისათვის – 2.00 ლარი და კანალიზირებულ ან არაკანალიზირებულ ობიექტებში, შესაბამისად, კანალიზაციის ან ასენიზაციის ხარჯი – 0.50 ლარი);

ნარჩენის გატანისათვის – ქალაქ თბილისში 5.0, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში 0.45 ლარისა;

დეზინფექცია-დერატოზისათვის – 0.05 ლარისა.

#### **498. ირიცხება თუ არა თვითმმართველობის ანგარიშზე ლტოლვილთა და დევნილთა მომსახურების ხარჯი (მოსაკრებელი)?**

დიახ. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 27 იანვრის №14 ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, მომსახურების ხარჯი, რომელიც წარმოადგენს მოსაკრებელს, ჩაირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული ხარჯების გადარიცხვა ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულის ბიუჯეტში ხორციელდება თვითმმართველობის მიერ შესაბამისი მოსაკრებლის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემდგომ.

## **თავი XXIV. სახელმწიფო სიმბოლოები**

### **499. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშა აღმართოს მუდმივად?**

დიახ. „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება ამ ორგანოთა სხდომები – სხდომების მთელ პერიოდში;

### **500. დასაშვებია თუ არა, სახელმწიფო დროშა მუდმივად იყოს აღმართული ქუჩებში ან მოედნებზე?**

არა. „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ შენობა-ნაგებობებს და ობიექტებს, სადაც მუდმივად აღიმართება სახელმწიფო დროშა. მასში ქუჩები და მოედნები არ არის მითითებული. ქუჩებში და მოედნებზე სახელმწიფო დროშა შესაძლებელია აღმართოს დროებით, მხოლოდ საქართველოში მიმდინარე ოფიციალური საერთაშორისო ღონისძიებებისას.

### **501. დაისმება თუ არა საკრებულოსა და გამგებლის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სახელმწიფო გერბი?**

არა. საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საკუთარი გერბის არსებობის შემთხვევაში გამოსახება საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (მაყურებლიდან მარცხენა მხარის ზედა კუთხეში) და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (მაყურებლიდან მარჯვენა მხარის ზედა კუთხეში), ხოლო საკუთარი გერბის არარსებობის შემთხვევაში – მხოლოდ საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (ცენტრში). საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომელთა სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სრული სახით გამოსახება სახელმწიფო გერბი. ვინაიდან უპირატესი ძალა აქვს ორგანულ კანონს, გამოიყენება ორგანული კანონი და შესაბამისად თვითმმართველობის ადმინისტრაციულ აქტებზე არ დაისმება სახელმწიფო გერბი. (ზოგადად, თვითმმართველი ერთეული არ არის სახელმწიფო ორგანო).

## **502. შეიძლება თუ არა თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს გერბი, დროშა და სხვა სიმბოლოები?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით თვითმმართველ ერთეულს აქვს გერბი და დროშა. თვითმმართველი ერთეულის გერბს და დროშას საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

## **503. დაშვებულია თუ არა თვითმმართველი ერთეულის გერბისა და მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახვა ერთ ფირნიშზე?**

არა. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულების „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის გერბისა და მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახვა ერთ ფირნიშზე შესაბამისი დაწესებულების დასახელებასთან ერთად.

## **თავი XXV. ტრანსპორტი**

### **504. უნდა შეთანხმდეს თუ არა თვითმმართველ ერთეულთან გადაწყვეტილება რკინიგზის სადგურების გახსნა-დახურვის და სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მიერთების შესახებ?**

დიახ. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, რკინიგზის სადგურების გახსნა-დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით იღებს და მათ მიერ გასაწევი მომსახურების (შესასრულებელი სამუშაოს) ნუსხას განსაზღვრავს რკინიგზა. ამ კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მიერთება სარკინიგზო ქსელთან ხორციელდება რკინიგზის ნებართვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

### **505. ადგენს თუ არა თვითმმართველობა სოფლის ტიპის იმ დასახლებების ჩამონათვალს, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურიდან ავტობუსების რეისში გასვლა?**

დიახ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აგვისტოს №1-1/1558 ბრძანების „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე“ მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამგზავრო რეგულარული გადაყვანისას ავტობუსების რეისში გასვლა ხდება ავტოსადგურიდან. სოფლის ტიპის

დასახლებების ჩამონათვალი, სადაც სავალდებულოა ავტოსადგურიდან ავტობუსების რეისში გასვლა, განისაზღვრება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტით.

**506. დასახლებულ ადგილებში სადემონსტრაციო ფრენის ნებართვა უნდა გაიცეს თუ არა თვითმმართველ ერთეულთან შეთანხმებით?**

დიახ. საქართველოს საჰაერო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასახლებულ ადგილებზე სადემონსტრაციო ფრენის ნებართვას გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

**507. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის ნებართვას მხოლოდ თვითმმართველი ქალაქის უფლებამოსილი ორგანო გასცემს?**

დიახ. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის ნებართვა, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, ნებართვა არის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ან თვითმმართველი ქალაქის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირისათვის მინიჭებული უფლება, გარკვეული ვადით განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა კანონით დადგენილი პირობების დაცვით. ნებართვა გაიცემა თვითმმართველი ქალაქის უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თვითმმართველი ქალაქების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანისათვის ნებართვა არ არის საჭირო. ამ კანონის 5<sup>ე</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცემა არანაკლებ ერთი წლის ვადით. ნებართვის ვადას განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

**508. უნდა შეთანხმდეს თუ არა თვითმმართველ ერთეულთან ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არაგაბარითული და ზენორმატიული ტვირთის გატარება?**

დიახ. „საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარითული (მსხვილგაბარითიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის და უსაფრთხოდ გადაადგილების წესის დამტკიცებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 3 აგვისტოს №956/1-1/746 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარითული (მსხვილგაბარითიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის, უსაფრთხოდ გადაადგილების და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საავტომობილო ტრანსპორტით

არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთის გატარება დასაშვებია საპატრულო პოლიციასთან და შესაბამისი ქალაქის/რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით (რეკომენდაციით).

### **509. ვალდებულია თუ არა თვითმმართველობის ორგანო ჩაატაროს საზღვაო ინციდენტის გამოკვლევასთან დაკავშირებული სამუშაოები?**

დიახ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 15 სექტემბრის №123 ბრძანების „ტექნიკური რეგლამენტის „საზღვაო ინციდენტების სამსახურებრივი გამოკვლევის წესის“ დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გემთმფლობელი, საკლასიფიკაციო საზოგადოება, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან გაუწიონ გამომკვლევს<sup>11</sup> ყოველგვარი დახმარება, დაუყოვნებლივ მიაწოდონ გამომკვლევს მათ ხელთ არსებული დოკუმენტები და ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მისი მოთხოვნით ჩაატარონ საზღვაო ინციდენტის გამოკვლევასთან დაკავშირებული სამუშაოები, აგრეთვე გამოუყონ გამომკვლევს მათ განკარგულებაში არსებული საშუალებები და მიიღონ ზომები საზღვაო ინციდენტის ადგილის დასაცავად.

### **თავი XXVI. ჯანდაცვა**

### **510. რა უფლებამოსილებანი გააჩნიათ თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში?**

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში დელეგირებული აქვთ შემდეგი უფლებამოსილებები:

- გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის, ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

---

<sup>11</sup> საზღვაო ინციდენტთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტის შეგროვებას და საზღვაო ინციდენტის შიდა გამოკვლევას აწარმოებს მარცხგანციდილი გემის კაპიტანი/გემთმფლობელი, ხოლო საზღვაო ინციდენტის გამოკვლევას – ადმინისტრაციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი (ერთპიროვნულად) ან ადმინისტრაციის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) შექმნილი კომისია - გამომკვლევ. (მუხლი 1.5)

- საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- პროფილაქტიკური აგრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;
- პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

### **511. გადამდები დაავადებებისა და ეპიდემიების კონტროლი შედის თუ არა თვითმმართველობის კომპეტენციაში?**

დიახ. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის თანახმად, გადამდები (მათ შორის, ზოონოზოოზოონოზური, ზოონოზური ბუნების), ენდემური დაავადებებისა და ეპიდემიების, აგრეთვე განსაკუთრებით გავრცელებული არაგადამდები დაავადებების კონტროლი შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პრეროგატივაა.

### **თავი XXVII. ადმინისტრაციული წარმოება**

#### **512. რა წესით უნდა იქნეს მიღებული ნორმატიული აქტი – საკრებულოს დადგენილება?**

საკრებულოს დადგენილება არის ნორმატიული აქტი და მისი მიღება უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად. იგი მიღებული უნდა იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით, კერძოდ:

- ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს საკრებულოს განკარგულებით „ნორმატიული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ (211-ე მუხლის პირველი ნაწილი);
- განკარგულებაში უნდა მიეთითოს პირი ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, მოამზადოს ნორმატიული აქტი (212-ე მუხლი);
- მომზადებული ნორმატიული აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს (213-ე მუხლი);
- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ცნობაში ადმინისტრაციული წარმოების შესახებ აღინიშნება: ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება; ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს

მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა; დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ცნობაში აღინიშნება ნორმატიული აქტის დასახელება და მისი მოკლე შინაარსი (213-ე მუხლი);

- უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა (110-ე, 111-ე, 112-ე, 120-ე მუხლები);
- საკრებულოს სხდომა უნდა ჩატარდეს და დადგენილება უნდა გამოიცეს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში (120-ე მუხლი).
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს: ა) განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა). განმარტებით ბარათში აღინიშნება აგრეთვე ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი; ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა);

ყველა ზემოთ აღნიშნული და სხვა გარემოებები, ფაქტები, მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა დადგენილება, უნდა აღინიშნოს დადგენილებაში. უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რატომ გახდა აუცილებელი ასეთი შინაარსის დადგენილების მიღება.

**513. იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წარუდგინა საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელსაც არ აქვს თანდართული განმარტებითი ბარათი, ამ შემთხვევაში უფლებამოსილია თუ არა საკრებულო დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული აქტის გამოსაყვამად?**

არა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტს (განცხადებას) უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი. ამ შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს ადმინისტრაციული წარმოება და განუსაზღვროს გამგებელს ვადა განმარტებითი ბარათის წარმოსადგენად. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. თუ დადგენილ ვადაში საკრებულოს თავმჯდომარე არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, საკრებულო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. გამგებლის განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება განმარტებითი ბარათის წარდგენისთანავე.

**514. რა ვადაში საჩივრდება სასამართლოში გამგებლის ბრძანება და საკრებულოს დადგენილება?**

გამგებლის ბრძანება სასამართლოში საჩივრდება 1 თვის ვადაში, ხოლო საკრებულოს დადგენილება – 3 თვის ვადაში. ვადის დინება ბრძანების შემთხვევაში აითვლება ადმინისტრაციული აქტის გაცნობიდან, ხოლო დადგენილების შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ანდა უკანონოდ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას. აღნიშნული გარემოების არარსებობისას სარჩელი არ დაიშვება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი).

**515. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა საკრებულოს ან გამგებლის წარმომადგენელი, აქვს თუ არა სასამართლოს უფლება, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება?**

არა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე. სასამართლოს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს და შეაგროვოს სხვა მტკიცებულებებიც.

**516. თუ გასაჩივრდა გამგებლის ბრძანება, რომელიც გამოიცა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, შეუძლია თუ არა სასამართლოს, არ გადაწყვიტოს სადავო საკითხი და დაავალოს გამგებელს განმეორებით იმავე საკითხზე ბრძანების გამოცემა?**

დიახ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

**517. რა შემთხვევაშია ვალდებული გამგებელი, საკრებულო, ბათილად გამოაცხადოს თავის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი?**

თუ გამგებლის, საკრებულოს ადმინისტრაციული აქტი მიღებულია უფლებამოსილების გადამეტებით, მიმღები ორგანო ვალდებულია, იგი ბათილად გამოაცხადოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

**518. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, არ განიხილოს მოქალაქის განცხადება?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **519. დანაშაულად ითვლება თუ არა ზეგავლენით ვაჭრობა?**

დიახ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დანაშაულია საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქვადლის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენა ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი. ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

### **520. რა ითვლება საჯარო ინფორმაციად?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის - ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია; *(ამოქმედდა 2013 წლის 1 სექტემბრიდან)*

### **521. აქვს თუ არა გამგებელს ან საკრებულოს უფლება, განიხილოს საკითხი დაინტერესებული პირის მონაწილეობის გარეშე?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. აღნიშნული პროცედურის

დარღვევით გამოცემული ადმინისტრაციული აქტი დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე შესაძლებელია სასამართლომ ბათილად გამოაცხადოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

## **522. აქვთ თუ არა თვითმმართველ ერთეულებს ურთიერთდახმარების ვალდებულება?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება:

- ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება;
- ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა თვითმმართველობის ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

- არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზებით;
- არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;
- დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;
- მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს.

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ: ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს; ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს. თუ სავარაუდოა 50 ლარზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს ადმინისტრაციულ ორგანოს.

## **523. დადგენილია თუ არა თვითმმართველი ერთეულის არქივის მუშაობის წესი?**

დიახ. არქივის მუშაობის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“.

## **524. რა წესით უნდა მოხდეს თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია?**

„თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 ივნისის №114 ბრძანების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტი თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციას ახორციელებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე.

თვითმმართველი ერთეულის სარეგისტრაციო მონაცემებია: ა) თვითმმართველი ერთეულის დასახელება; ბ) თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები; გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციაში გატარების თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი; დ) თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციისათვის შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარუდგენს ზემოთ აღნიშნულ გათვალისწინებულ მონაცემებს, ხოლო თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრების ამსახველი სქემატური რუკის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სახით.

## **525. აუცილებელია თუ არა, დოკუმენტის დამოწმების დროს შედგეს დამოწმების ფურცელი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, დოკუმენტის დამოწმების დროს დგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;
- ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;
- დამოწმების დროსა და ადგილს;
- პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს.

დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

## **526. შეიძლება თუ არა თვითმმართველობის ორგანო იმავდროულად ჩაითვალოს კერძო სამართლის სუბიექტად?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

## **527. შეიძლება თუ არა კერძო საწარმო იმავდროულად ითვლებოდეს ადმინისტრაციულ ორგანოდ (საჯარო დაწესებულებად)?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებად ითვლება ადგილობრივი ბიუჯეტის

სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

**528. ითვლება თუ არა საკრებულოს დადგენილება გამოქვეყნებულად, თუ იგი გავრცელებულია პრესით, მაგრამ საჯარო რეესტრში არ არის შეტანილი?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოქვეყნებად ითვლება კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტი გამოქვეყნდეს პრესით, მაგრამ საჯარო რეესტრში მისი შეტანა აუცილებელია.

**529. დაცულია თუ არა გამხელისაგან იმ პირის ვინაობა, რომელმაც მოამზადა ადმინისტრაციული აქტის პროექტი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

**530. პირმა მიიღო სოციალური დახმარება თვითმმართველი ერთეულისაგან. აქვს თუ არა მას უფლება, მისი ვინაობა დაცული იქნეს გამხელისაგან?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. აღნიშნული მიკუთვნება პერსონალურ მონაცემებს. საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად პერსონალური მონაცემი არის - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

**531. რამდენი დღით ადრე უნდა გამოაცხადოს საკრებულომ საკრებულოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთი კვირით ადრე.

**532. აუცილებელია თუ არა, ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება რეგისტრირებულ იქნეს თვითმმართველ ერთეულში?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

### **533. უფლებამოსილია თუ არა საკრებულო, გადაუდებელი აუცილებლობისას დაუყოვნებლივ მოიწვიოს სხდომა?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და არ გამოაცხადოს ერთი კვირით ადრე სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

გადაუდებელი აუცილებლობა არის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის სამიშროება ან ვითარება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

### **534. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

### **535. რა სახის ინფორმაციის გასაიდუმლოებაა დაუშვებელი?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცოდეს:

- ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ სამიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
- კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველაწარმოებული ინფორმაცია;

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომლებშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
- საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
- საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;
- იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ, გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
- საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებაც გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;
- ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

### **536. რა სახის მონაცემების შეგროვება ეკრძალება თვითმმართველ ერთეულს?**

საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის - მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრიული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით.

### **537. თუ თვითმმართველმა ერთეულმა არ გასცა საჯარო ინფორმაცია, აქვს თუ არა განმცხადებელს უფლება, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ქონებრივთან ერთად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;
- არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

- საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ III თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

**538. აქვს თუ არა თვითმმართველობის ორგანოს უფლება, დაამოწმოს ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მის მიერ არ არის გამოცემული?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედნის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს.

**539. საჯაროა თუ არა ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციების შესახებ?**

არა. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს, შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

**540. ითვლება თუ არა ადმინისტრაციულ აქტად თვითმმართველი ერთეულიდან გასული განცხადება, წერილი და სხვა დოკუმენტი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ აქტად ითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

**541. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს გამგებლის (მერის) ბრძანება, საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;
- უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- გამოცემის დროსა და ადგილს;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს;
- იმ ორგანოს მისამართს, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება, და საჩივრის წარდგენის ვადას.

**542. ვალდებულია თუ არა გამგებელი, საკრებულო, გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში მიუთითოს კანონის ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა იგი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

**543. ვალდებულია თუ არა გამგებელი, საკრებულო, გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში მიუთითოს ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა იგი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

**544. როდის შედის ძალაში გამგებლის ბრძანება, საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, გამგებლის ბრძანება, საკრებულოს განკარგულება და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან მათი გამოქვეყნების დღეს.

**545. თუ მხარეს ფოსტით გაგზავნა გამგებლის ბრძანება, გაგზავნიდან მერამდენე დღეს შედის იგი ძალაში?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული მხარისათვის ფოსტით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

**546. თუ განმცხადებელი არის 60 პირი, ადმინისტრაციული აქტი გასაცნობად ყველას უნდა გაგზავნოს თუ არა ?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი - პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია.

**547. თუ თვითმმართველ ერთეულს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, სად და როგორ უნდა გამოქვეყნდეს მისი ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ან გამოცხადდეს საჯაროდ.

**548. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განსაზღვროს გამგებლის, საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების წესი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია, წინასწარ განსაზღვროს გამგებლის, საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნების და საჯაროდ გამოცხადების წესი. მიზანშეწონილია, თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს საკუთარი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო. მისი არარსებობის შემთხვევაში საკრებულოს დადგენილებით (საკრებულოსა და გამგებლის დებულების დამტკიცების შესახებ) შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებისა და საჯაროდ გამოცხადების წესი.

**549. შესაძლებელია თუ არა, საკრებულოს სხდომის მოწვევის გარეშე საკრებულოს დადგენილებაში შესწორდეს არსებული ტექნიკური და გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში (და არა ნორმატიულ აქტში) შეიძლება გასწორდეს ტექნიკური და გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

**550. აქვს თუ არა პირს უფლება, არ შეასრულოს თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, თუ იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე არარად ითვლება, თუ:

- შეუძლებელია მისი გამოცემა ორგანოს დადგენა;
- გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზებით;
- მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ორგანო ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

„ადმინისტრაციული აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად“ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა მიღების დღიდან. პირს უფლება აქვს, არ შეასრულოს არარა ადმინისტრაციული აქტი. მას უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, მოითხოვოს მისი არარად აღიარება.

**551. თუ 7 დღით ადრე საჯაროდ არ გამოცხადდა საკრებულოს სხდომის ჩატარების დროის, ადგილის და დღის წესრიგის თაობაზე, ბათილია თუ არა სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

**552. სავალდებულოა თუ არა რაიმე ფორმის დაცვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისათვის ნორმატიული აქტის გაგზავნისას?**

დიახ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის N236 ბრძანების „ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, გამოქვეყნებისათვის ნორმატიული აქტები მომზადებულ უნდა იქნეს კომპიუტერზე „Windows“-ის სისტემაში შრიფტით „Sylfaen“, არანაკლებ 11 ზომისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნორმატიული აქტი შედგება სქემების, ცხრილებისა და ნუსხებისაგან, რომლებშიც, მათი ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია 11 ან მეტი ზომის შრიფტის გამოყენება; ამ ბრძანების მე-12 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული აქტი, რომლის მოცულობაც ორ ან მეტ გვერდს შეადგენს, გამოსაქვეყნებლად წარდგენილ უნდა იქნეს აკინძული სახით. ამ შემთხვევაში ბეჭედი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა უნდა დაესვას ბოლო ფურცლის უკანა მხარეს ისე, რომ მან მოიცვას ქაღალდის ნაწილი, რომლითაც აკინძულია ნორმატიული აქტი.

**553. აქვს თუ არა საკრებულოს უფლება, ბათილად გამოაცხადოს თავის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი და განსაზღვროს მისი მოქმედების შეწყვეტა მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განსაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა: ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან; ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან; გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.

**554. თუ შეიძლება, გამგებლის ბრძანება, საკრებულოს დადგენილება გამოიცეს დაინტერესებული პირის განცხადების გარეშე?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება - გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ არ არსებობს დაინტერესებული პირის განცხადება და კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, ადმინისტრაციული აქტი არ უნდა გამოიცეს.

**555. ვალდებულია თუ რა თვითმმართველი ერთეული, დაინტერესებული პირის განცხადება დაუყოვნებლივ გაატაროს რეგისტრაციაში და განმცხადებელს გადასცეს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განმცხადებლის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ გაუზავნოს (გადასცეს) მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

**556. შესაძლებელია თუ არა, თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს განცხადებების ერთი სარეგისტრაციო ჟურნალი?**

დიახ. მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) არის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი და მას შეიძლება ჰქონდეს განცხადებების ერთი სარეგისტრაციო ჟურნალი. აღნიშნული ჟურნალის გარდა, შესაძლებელია აგრეთვე არსებობდეს საკრებულოს, გამგეობის ადმინისტრაციული აქტების გასავლისა და შემოსავლის სარეგისტრაციო ჟურნალები.

**557. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, რამდენი დღის ვადაში უზავნის თვითმმართველი ერთეული განცხადებას უფლებამოსილ ორგანოს?**

5 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გამოთვლისას უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილი).

**558. განცხადების უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნისას აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, გამოთქვას მოსაზრება ან თხოვნა განცხადებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შესახებ?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

**559. თუ პირმა განცხადებით მიმართა თვითმმართველ ერთეულს, ამასთანავე, განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან ვერ დგინდება ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში აღნიშნული საკითხი, ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, უკან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

**560. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება, მოსთხოვოს პირს იმ ინფორმაციის და სხვა საბუთის წარდგენა, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, განმცხადებელს მოსთხოვოს, წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია, კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა. დაუშვებელია აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

**561. პირმა მიმართა თვითმმართველ ერთეულს განცხადებით და განცხადებაში დაშვებულია შეცდომები. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლება-მოვალეობები და მიუთითოს განცხადებაში არსებულ შეცდომებზე?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებულ შეცდომებზე.

**562. აქვს თუ არა პირს უფლება, თვითმმართველ ერთეულთან ურთიერთობისას ისარგებლოს დამცველის (ადვოკატის) დახმარებით?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით და ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

**563. თუ განცხადებას ხელს აწერს 25-ზე მეტი პირი, პირველი ხელმომწერი ითვლება თუ არა მათ წარმომადგენლად?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 89-ე და 90-ე მუხლის თანახმად, თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად. თუ განმცხადებლები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი.

**564. თუ საკრებულოს წევრისათვის ცნობილი გახდა, რომ იგი საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირის ნათესავია, ვალდებულია თუ არა იგი, განაცხადოს თვითთავის შესახებ?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 93-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია, საკრებულოს აცნობოს თვითთავის შესახებ.

შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აცილების საფუძვლის შესახებ. საკრებულოს წევრის აცილების საკითხს წყვეტს საკრებულო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე. მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც ამ ორგანოს გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო.

**565. თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს პირის მდგომარეობა, ვალდებულია თუ არა მისი გამომცემი ორგანო, უზრუნველყოს ამ პირის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

**566. რა ზომებს შეიძლება მიმართოს თვითმმართველმა ერთეულმა მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების მიზნით?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია:

- გამოითხოვოს დოკუმენტები;
- შეაგროვოს ცნობები;
- მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;
- დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;
- დანიშნოს ექსპერტიზა;
- გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;
- მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

**567. შესაბამისი განცხადების შეტანის დღიდან რა ვადაში უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?**

ერთი თვის ვადაში; თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ ეხება მესამე პირთა ინტერესებს \_ 15 დღის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი).

**568. აქვს თუ არა პირს უფლება, ერთსა და იმავე საკითხზე ხელახლა მიმართოს თვითმმართველ ერთეულს?**

არა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევისა. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი).

**569. თუ პირმა თვითმმართველ ერთეულში ერთსა და იმავე საკითხზე განმეორებით წარადგინა განცხადება და მასში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული, განიხილოს იგი?**

არა. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც ითქვა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი).

**570. რა მონაცემები უნდა იყოს მითითებული საკრებულოს სხდომის ოქმში?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

- კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- სხდომის დრო და ადგილი;
- სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

- განხილვის საგანი;
- კენჭისყრის შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილება.

სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი, თუ იგი მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

**571. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული მუნიციპალური ქონების გასხვისება განახორციელოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები.

**572. რა ქმედებების განხორციელებას გულისხმობს თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან საჯარო ადმინისტრაციული წარმოება?**

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს საჯარო გაცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, დასკვნები. საჯაროდ გამოცხადებიდან 20 დღის ვადაში ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები. უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა და ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღეში უნდა გამოიცეს ადმინისტრაციული აქტი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე, 121-ე მუხლები).

**573. რა ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საკრებულოს, გამგებლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი?**

საკრებულოს, გამგებლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების ან გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი).

**574. საკრებულოს, გამგებლის სამართლებრივი აქტის გასაჩივრება აჩერებს თუ არა მის მოქმედებას?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული ორგანოს რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;

- წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;
- გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;
- აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.

**575. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე. ამ შემთხვევაში საჩივარზე უარის თქმა აჩერებს თუ არა მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი?**

არა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, ამ შემთხვევაში საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას.

**576. თუ თვითმმართველობის მოხელის ქმედებამ გამოიწვია ზიანი, ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, საკუთარი ბიუჯეტიდან აანაზღაუროს შესაბამისი ზიანი?**

დიახ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

**577. ვის აქვს საკრებულოს დადგენილების მომზადების უფლება?**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს იგი. საკუთარ უფლებამოსილებათა ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება დაავალოს ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე.

**578. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება, სამსახურებრივი საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიიღოს ინფორმაცია მოქალაქის ნასამართლობის და ძებნაში ყოფნის, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ?**

დაიხ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 მარტის №172 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის მიღების წესის“ მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის ნასამართლობის და ძებნაში ყოფნის, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის მისაღებად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები სამინისტროს მიმართავენ სათანადო მოთხოვნით. სათანადო ინფორმაციის მოთხოვნამდე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები უზრუნველყოფენ შესაბამისი პირისაგან წერილობითი თანხმობის მიღებას, რომელიც სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სამინისტროს. ინფორმაციის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

- ფიზიკურ პირთან დაკავშირებით: სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, მისამართი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, პირადი ნომერი;
- იურიდიულ პირთან დაკავშირებით: იურიდიული პირის სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები.

**579. დაშვებულია თუ არა თვითმმართველობის ან სახელმწიფო ორგანოების მხრიდან იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელებისას ან სხვა მიზნით პირისათვის საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის მოთხოვნა?**

არა. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ნებისმიერი სხვა დაწესებულება ან იურიდიული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით მოითხოვოს პირადობის (ბინადრობის) მოწმობის ან მისი ასლის წარდგენა, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებას არ საჭიროებს. თუ პირადობის (ბინადრობის) მოწმობაში გრაფა „მისამართი“ შეუვსებელია, მასთან ერთად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რეგისტრაციის მოწმობის ან მისი ასლის წარდგენა, რომელიც ასევე არ საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის დადასტურება ხდება პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გამოყენებით, შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში გადამოწმების გზით.

სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ნებისმიერი სხვა დაწესებულების ან იურიდიული პირის მიერ სამსახურში მიღებისას, იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელებისას ან სხვა მიზნით პირისთვის საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის მოთხოვნა დაუშვებელია.

**580. ხორციელდება თუ არა 14 წლამდე პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის განცხადების საფუძველზე?**

დიახ. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 14 წლამდე პირის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია ხორციელდება ამ პირთა კანონიერი წარმომადგენლის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების ხელმძღვანელის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

**581. ვალდებულია თუ არა რეგისტრაციის ორგანო 14-დან 65 წლამდე მამაკაცის რეგისტრაციის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს სამხედრო განყოფილებას აცნობოს მისი ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი?**

დიახ. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია 14-დან 65 წლამდე მამაკაცის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში აცნობოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს სამხედრო განყოფილებას რეგისტრაციის თარიღი და ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო რეგისტრაციიდან მოხსნიდან 10 დღის ვადაში – რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი.

**582. უფლებამოსილია თუ არა თვითმმართველი ერთეული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე გასცეს თანხმობა?**

დიახ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის N 4 ბრძანების „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტის შესაბამისად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილია მის მართლობიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რომელზედაც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების უფლება, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მიმართოს სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სარგისტრაციო წარმოება ჩერდება, ხოლო იგი განახლდება და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ შესაბამისი ორგანოსგან პასუხის მიღების შემდეგ.

### **583. რა სახის ცნობებს გასცემს თვითმმართველი ერთეული?**

ზოგადად, ადმინისტრაციულ ორგანოს (თვითმმართველ ერთეულს) უფლება არა აქვს, გასცეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობა, დოკუმენტი. მას უფლება აქვს, გასცეს იმ სახის ცნობები, რომლებიც პირდაპირ არის გათვალისწინებული ნორმატიულ აქტებში. კერძოდ:

- ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რწმუნებული მოქალაქეებზე გასცემს საქონლის ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 85-ე მუხლის პირველი პუნქტის და ქვეპუნქტის შესაბამისად, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენი დოკუმენტი შეიძლება იყოს - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე.

### **თავი XXVIII. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები**

#### **584. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველ ერთეულს, დაამოწმოს ანდერძი?**

დიახ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილ და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის - თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. ასევე 1281-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დანიშნულ იქნეს გარდაცვლილი მშობლების მითითებისამებრ ნოტარიალურად ან, თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის (ანდერძის) საფუძველზე.

#### **585. აქვს თუ არა თვითმმართველობას უფლება, მემკვიდრეს მოსთხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება?**

დიახ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1397-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მემკვიდრისაგან მასზე დაკისრებული მოქმედების შესრულების მოთხოვნა შეუძლია სასამართლოს მეშვეობით ანდერძის აღმსრულებელს, ხოლო თუ ის არ არის, მაშინ ყოველ მემკვიდრეს, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

#### **586. ვალდებულია თუ არა თვითმმართველი ერთეული, როგორც უზუფრუქტუარი დააზღვიოს ნივთი?**

არა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის არსებობის მანძილზე დააზღვიოს ნივთი, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით. თუ უზუფრუქტის საგანი არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი და უზუფრუქტუარი საჯარო სამართლის იურიდიული პირია ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა, ნივთის დაზღვევა არ არის სავალდებულო.

**587. შეიძლება თუ არა ბავშვის ქონების მართვის უფლება გადაეცეს ქონების მურვეს თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე?**

დიახ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1211-ე მუხლის შესაბამისად, ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს მშობლების მიერ ნოტარიალურად ან, თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე.

**თავი XXIX. საერთაშორისო ხელშეკრულებები**

**588. რას ითვალისწინებდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 28 დეკემბერს №1935 დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტი)“?**

საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 28 დეკემბერს №1935 დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტი)“ ითვალისწინებდა 15 400 000 სესხის გამოყოფას, გამოსახულს SDR-ის (სესხების სპეციალიზებული უფლება) ეკვივალენტში.

საქართველოდან მისი განხორციელება დაევალა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს (სსიფ). პროექტის დახურვის ვადად განსაზღვრული იყო 2006 წლის 30 ივნისი.

პროექტის მიზანი იყო, გაზრდილიყო მონაწილე ადგილობრივი მმართველობების ეფექტიანობა იდენტიფიკაციის, დაგეგმვის, მომსახურების უზრუნველყოფისა და გაწეული დანახარჯების ამოღების სფეროში ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და საქალაქო მომსახურებისათვის.

პროექტი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან:

- ინსტიტუციური განვითარება

ტექნიკური დახმარების გაწევა სესხის მიმღები ქვეყნის ცენტრალური სამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მმართველობისათვის ითვალისწინებს იმ პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნება მათი შესაძლებლობების განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ფუნქციების ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელებისკენ, ასევე ძლიერი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისკენ, ადგილობრივი მმართველობების ადმინისტრაციული სტრუქტურის ორგანიზებისა და მუნიციპალიტეტების და მუნიციპალური საწარმოების

ფუნქციონირებისა და მართვის მიზნით;

- საინვესტიციო პროექტები

მუნიციპალური განვითარების ფონდის საშუალებით განვითარებისაკენ მიმართული სპეციფიკური პროექტების (ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების) გრანტის და სესხის დაფინანსების უზრუნველყოფა (ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება) შერჩეული ადგილობრივი მმართველობისათვის (მონაწილე ადგილობრივი მმართველობებისათვის).

### **589. რას ითვალისწინებდა საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 2003 წლის 18 ივლისის რატიფიცირებული ხელშეკრულება?**

საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 18 ივლისის №2487 დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტი)“. ეს იყო სესხის ხელშეკრულება საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის. საქართველოს მხრიდან მისი განხორციელება დაევა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს (სსიფ). სესხის მთლიანი თანხა შეადგენდა 11 მილიონს SDR-ის (სესხების სპეციალიზებული უფლება) ეკვივალენტური მოცულობის სხვადასხვა ვალუტაში. სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2003 წლიდან 2043 წლამდე. პროექტის დასრულების სავარაუდო ვადად მიჩნეული იყო 2007 წლის 31 მარტი.

პროექტის მიზანი იყო:

- თემებისათვის დახმარების გაწევა, რათა მათ ორგანიზებულად გადაეჭრათ საერთო პრობლემები;
- ადმინისტრირების გაუმჯობესება და მონაწილეობრივი მიდგომის დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე;
- თემების მიერ სოციალური და ეკონომიკური მომსახურების უწყვეტი გამოყენება.

განხორციელების გზები:

- თემების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა.
- სწავლებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა: (I) თემებისა და თემების განვითარების კომიტეტებისათვის თემის განვითარების დაგეგმარების, მიკროპროექტის განხორციელების მიზნით მობილიზაციის ჩატარების და ადვოკატთა უნარ-ჩვევების განვითარების სფეროებში; (II) ადგილობრივი თვითმმართველობისათვის თემის განვითარების დაგეგმარებისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების სფეროში; (III) არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის;
- მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მიკროპროექტები; სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიკროპროექტების დაფინანსება სამოქმედო სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად;
- სსიფ-ის ინსტიტუციური მხარდაჭერა. სსიფ-ის ოპერაციული შესაძლებლობების განვითარება შემდეგი გზით: (ა) სსიფ-ის პერსონალისათვის სწავლება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ისეთ სფეროებში, რომლებიც თემების განვითარებას, მიკროპროექტების ციკლს, მონიტორინგს

და შეფასებას შეეხება; (ბ) ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების და მასალების უზრუნველყოფა; (გ) ტექნიკური, მართვისა და ფინანსური აუდიტის ჩატარება.

## **590. რას ითვალისწინებს საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) (მაინის ფრანკფურტი) შორის 2004 წლის 14 იანვარს რატიფიცირებული ხელშეკრულება?**

საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 14 იანვარს №3242 დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) (მაინის ფრანკფურტი) შორის სასესხო და საპროექტო ხელშეკრულება 7 500 000 ევროზე. სესხის დაფარვის საბოლოო ვადად განისაზღვრა 2043 წელი.

პროექტის გეგმა:

პროექტი წარმოადგენს „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების გენერაციის პროგრამის“ გაგრძელებას (GSIFI - BMZ -NO. 1999 65 989). პროექტი ითვალისწინებს ინვესტიციებს სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურასა და თემების განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებებში. პროექტის მიზნებია: ა) პროექტის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით და რეგიონის მოსახლეობის მონაწილეობით გაუმჯობესებული და რეაბილიტირებული სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა; ბ) ადგილობრივი მმართველობის და პროექტით მოსარგებლეების დაინტერესებისა და პოტენციური გავლენის გაზრდა პროექტის მთელ ციკლზე. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსახლეობის ღირსი ფენის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში და მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციაზე მიმართულ ძალისხმევას. ზემოხსენებული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული კრიტერიუმები, პროექტის შედეგები და პროექტის ფარგლებში დასახული ზომები, ისევე, როგორც ძირითადი ვარაუდი, რომელზე დაყრდნობითაც პროექტის მიზნები განისაზღვრა, I დანართშია ასახული.

1. მიკროპროექტები:

ა. სოციალურ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება:

ა.ა) თემების სამედიცინო ცენტრების რეაბილიტაცია ან რეკონსტრუქცია იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად დანგრეულია ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანებისათვის;

ა. ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, დაწყებითი და საშუალო სკოლებისა და სპეციალიზებული სკოლების (ფიზიკურად ან გონებრივად დაავადებულ ბავშვთათვის) რეაბილიტაცია ან რეკონსტრუქცია, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად დანგრეულია და მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ ადამიანებისათვის; მათი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა;

ა.გ) სოციალური მზრუნველობის ცენტრების, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის თემებში სარეაბილიტაციო ცენტრების, ხანდაზმულთა სახლების და ობოლი და ინსტიტუციონალიზებული პირებისათვის ცენტრების დაარსება;

ა.დ) რაიონებსა და სოფლებში სათემო ცენტრების რეაბილიტაცია;

ბ. ინვესტიციები ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში:

ბ.ა) წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაცია და მშენებლობა: წყალმომარაგების მილების, დისტრიბუციის, შიდა ქსელების, ჭების და წყაროების და საქაჩი სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობა;

ბ.ბ) ადგილობრივ დონეზე სარწყავი ქსელების რეაბილიტაცია, რაც მთელ მოსახლეობას მოუტანს სარგებლობას;

ბ.გ) სასოფლო გზების, იზოლირებულ სოფლებთან მისასვლელი გზების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და ფერმებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია (ხიდების, სადრენაჟო სისტემების და გასამარებელი კედლების მშენებლობის ჩათვლით);

ბ.დ) ენერგოგენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა; ენერგომომარაგებასთან დაკავშირებული მიკროპროექტების განხორციელება მცირე და იზოლირებულ თემებში (მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საირიგაციო არხებსა და წყალსადენებზე; ბიოენერგეტიკული, გაზის და მზის ენერგიაზე მომუშავე ენერგოსადისტრიბუციო ობიექტების მშენებლობა);

ბ.ე) სატელეფონო და ტელეგრაფის ხაზების, ასევე სატელევიზიო ანძების რეაბილიტაცია;

ბ.ვ) საკანალიზაციო ქსელებისა და საქაჩი სადგურების რეაბილიტაცია და გაფართოება;

ბ.ზ) მყარი და თხევადი ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზება;

ბ.თ) მიკროდამბების რეაბილიტაცია;

ბ.ი) გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება და ამ თვალსაზრისით ცუდ მდგომარეობაში მყოფ ქალაქებსა და სოფლებში მდგომარეობის გაუმჯობესება ნერგების განაშენიანების და მათი დასუფთავების გზით;

ბ.კ) ეროზიის კონტროლზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

2. გზების დამოუკიდებელი კომპონენტი.

3. თემების განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები.

4. GSIF-ის თანამშრომლების სწავლებაზე მიმართული ღონისძიებები.

5. ადმინისტრაციული დანახარჯები და GSIF-ის პროექტის განხორციელების სტრუქტურა.

6. საკონსულტაციო მომსახურება.

### **591. რა პრინციპებზეა აგებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, რომლის რატიფიცირება მოხდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 26 ოქტომბერს?**

ევროპული ქარტია აგებულია დემოკრატიულ პრინციპზე \_ ყველა ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში. ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია ყველაზე ეფექტიანად შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე, აგრეთვე შემდეგ პრინციპებზე: თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ ფართო ავტონომია თავიანთი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ. მათ უნდა ჰქონდეთ ყველა აუცილებელი სახსრები და შესაძლებლობა თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანაზომიერი უნდა იყოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლება - მოვალეობებთან.

**592. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიით გარანტირებულია თუ არა მაღალკვალიფიციური პერსონალის დაქირავების უფლება?**

დიახ. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა სამსახურის პირობები უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის დაქირავება დამსახურებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე; ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული მომზადების ადეკვატური საშუალებები, ანაზღაურება და სამსახურებრივი დაწინაურების საშუალებები. მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს უფლება, თვითონ განსაზღვროს მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები, მათი წახალისების წესი. პრეზიდენტის ბრძანებულებით არ უნდა დადგინდეს თვითმმართველობის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი. ეს ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიას.

**593. თუ შეიძლება, თვითმმართველობას არ ჰქონდეს შემოსავალი გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან?**

არა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროების თუნდაც ნაწილი უნდა შემოიღოდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა ოდენობის დადგენაც შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში.

**594. შეიძლება თუ არა რომ გათანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრაში არ მონაწილეობდეს საქართველოს რომელიმე მუნიციპალიტეტი?**

არა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ფინანსურად სუსტ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა დაცვა მოითხოვს ფინანსური გათანაბრების პროცედურების ან სხვა შესაბამისი ზომების გატარებას, რომელთა დანიშნულებაცაა, გამოასწორონ ფინანსების პოტენციური წყაროებისა და ფინანსური ვალდებულებების არაადეკვატური განაწილების შედეგები. ამგვარი პროცედურები ან ზომები არ შეზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანება „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

**595. აქვთ თუ არა თვითმმართველ ერთეულებს უფლება, შექმნან გაერთიანება სხვა თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად?**

დიახ. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-10 მუხლის შესაბამისად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას უფლება აქვთ, ითანამშრომლონ და კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, რათა შეასრულონ საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანები. „ადგილობრივი

თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნან გაერთიანება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

**596. რომელი ნორმის შესაბამისად აქვთ უფლება საქართველოს თვითმმართველობის ორგანოებს, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოს თვითმმართველობის ორგანოებთან?**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი პირობების დაცვით ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან. აღნიშნულ საკითხს ეხება „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ სახელმძღვანელო ევროპული კონვენცია. აღნიშნული კონვენცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობას მოსაზღვრე რაიონებში ისეთ სფეროებში, როგორცაა რეგიონალური, საქალაქო და სასოფლო განვითარება, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურეობების გაუმჯობესება და ურთიერთდახმარება საგანგებო მდგომარეობების დროს.

**597. ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, ხელი შეუწყოს საქართველოს თვითმმართველობის ორგანოებსა და სხვა სახელმწიფოს თვითმმართველობის ორგანოებს შორის კავშირების დამყარებას?**

დაიხ. ამ მიზნით საქართველოს მიერ დადებულია შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები:

- საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 4 თებერვალს №1205 დადგენილებით რატიფიცირებულია „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება“, რომლის მე-14 მუხლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს უწყობენ პირდაპირი კავშირების დამყარებას საბერძნეთის ადგილობრივ ერთეულებსა და საქართველოს ქალაქებსა და იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის მიხედვით აღჭურვილი იქნებიან სათანადო უფლებამოსილებით;
- 1995 წლის 4 დეკემბრიდან ძალაშია „საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულება“, რომლის მე-8 მუხლის შესაბამისად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების განვითარებას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების, ტერიტორიული (მუნიციპალური) თვითმმართველობის ორგანოების,

ბანკებისა და საფინანსო სისტემის, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების დონეებზე;

- საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 17 იანვარს რატიფიცირებულია „საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება“, რომლის მე-13 მუხლის შესაბამისად, მაღალი ხელშეკვრელი მხარეები ხელს უწყობენ ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების განვითარებას სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების, ტერიტორიული (მუნიციპალური) თვითმმართველობის ორგანოების, ბანკებისა და საფინანსო სისტემის, საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების დონეზე.

**თავი XXX. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“**

**598. შეიძლება თუ არა საქართველოს მთავრობის ან მინისტრის სამართლებრივი აქტით მოხდეს თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება ხელშეკრულების გარეშე?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. აქედან გამომდინარე უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით. საქართველოს კანონით „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მე-16 მუხლის შესაბამისად, დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება, ხოლო თვითმმართველი ქალაქი თბილისისათვის – აგრეთვე მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

**599. აქვს თუ არა თვითმმართველ ერთეულს უფლება ნებაყოფლობით გაუწიოს დახმარება სახელმწიფო მმართველობის ორგანოს?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვრამდე თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში,

ნებაყოფლობით გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხი. ეს ნორმა ვრცელდება 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

### **600. რამდენი ამომრჩევლის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნას საკრებულოს სხდომა?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 3%-ის მოთხოვნით. საკრებულოს რიგგარეშე სხდომას მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან 1 კვირის ვადაში იწვევს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რიგგარეშე სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს. საკრებულოს წევრთა გაფრთხილებას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ინიციატორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარე. რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს დამსწრეთაგან უხუცესი წევრი.

### **601. აქვს თუ არა ამომრჩეველთა 1%-ს საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადებისა და საკრებულოში შეტანის უფლება?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უფლება აქვს, მოაშხადოს და შეიტანოს საკრებულოს დადგენილების პროექტი, ან წარადგინოს წინადადება საკრებულოს ნორმატიული აქტის გაუქმების, ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან დამატებების შეტანის შესახებ. პეტიციის წესით საკითხი შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს ხელს უნდა აწერდეს თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%. პეტიციის წესით შეტანილ პროექტს თან უნდა ერთოდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა და მისამართი. კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი. საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შემოტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.

### **602. რომელი ორგანოა უფლებამოსილი, განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებების სტრუქტურა?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის და 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს

და გამგეობის (მერიის) სტრუქტურა უნდა იქნას გათვალისწინებული შესაბამისად საკრებულოს და გამგეობის დებულებებში.

### **603. აქვთ თუ არა თვითმმართველობის ორგანოებს მოსაკრებლის აკრეფის უფლება?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება. აღსანიშნავია, რომ „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდებიან წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. პასუხისმგებლობა გადახდებიანისთვის ეკისრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურს. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება.

### **604. შეიძლება თუა რა საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდეს?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ზოგადად საკრებულოს სხდომა ღიაა. საკრებულოს სხდომა დახურულად ცხადდება საკრებულოს განკარგულებით, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

### **605. დაიშვება თუ არა საკრებულოზე საკითხი გადაწყდეს დახურული კენჭისყრით?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, ღია კენჭისყრით წყდება.

### **606. რა შემთხვევაშია საკრებულოს წევრი ვალდებული უარი განაცხადოს საკრებულოს სხდომაში მონაწილეობაზე?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>ე</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს.

### **607. ვალდებულია თუ არა საკრებულოს წევრი შეასრულოს მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების დავალებები?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოს წევრი შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით.

### **608. რა განეკუთვნება სახელმწიფოს უფლებამოსილებას თვითმმართველობის სფეროში?**

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს უფლებამოსილებას თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

- ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;
- მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების დადგენა და უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ურთიერთობის რეგულირება; გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა და უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულებისათვის იმ დამატებითი გადასახდელების კომპენსაცია, რომლებიც გაწეული იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებების შედეგად;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულისა და დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა და თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაცია;
- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის უზრუნველყოფა და დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაზე საქართველოს მოქალაქეთა კანონით დადგენილი უფლებების რეგულირება და დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების წესის განსაზღვრა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დაცვა;
- მაღალმთიან რეგიონებსა და კანონით განსაზღვრულ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების თავისებურებების საკანონმდებლო უზრუნველყოფა;

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნულის გარდა, სახელმწიფოს თვითმმართველობის სფეროში არ გააჩნია სხვა უფლებამოსილებანი.

**609. შესაძლებელია თუ არა, საკრებულოს უფლებამოსილებები გადაეცეს სხვა ორგანოებს?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს.

**610. აქვს თუ არა უფლება თვითმმართველობის ორგანოს, განახორციელოს საქმისწარმოება არასახელმწიფო ენაზე?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა. ადმინისტრაციული აქტები უნდა გამოიცეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებს არა აქვთ იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციას აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის სამუშაო ენა ქართულ ენასთან ერთად არის აფხაზური.

**611. აქვს თუ არა საქართველოს პარლამენტს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**612. უფლებამოსილია თუ არა საკრებულო მიმართოს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს სოფლის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შუამდგომლობით?**

დიახ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 4 მარტის №110 ბრძანებულების „დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასახლების (ქალაქი, დაბა, სოფელი) ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შუამდგომლობით თვითმმართველი ერთეულის საკრებულო მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ საკრებულოს შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს: ა) დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება; ბ) დასახლების ახალი ადმინისტრაციული

საზღვარი და სქემატური რუკა; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი საკრებულოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე. წარდგინებას თან უნდა დაერთოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

### **613. ვრცელდება თუ არა თვითმმართველობის უფლებამოსილებანი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 14<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი არ ვრცელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე.

### **614. რამდენი წევრისგან შედგება მუნიციპალიტეტის საკრებულო?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამის მუნიციპალიტეტში შემავალი ყოველი თემიდან მაჟორიტარული წესით არჩეული თითო წევრით და მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული ათი წევრით.

### **615. დაიშვება თუ არა რომ საკრებულოში არსებობდეს 6 კომისია?**

არა. ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის (მერიის) და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით იქმნება არა უმეტეს 5 კომისიისა.

### **616. რა სახის სტრუქტურული ერთეულების შექმნის უფლება აქვს თვითმმართველობას?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით აღსრულებენ საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებებს და გამგებლის (მერიის) დავალებებს. თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს, შექმნას მხოლოდ ის სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს ან გამგებლის გადაწყვეტილებების აღსრულებას. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულება ევალება სამსახურს. ის სამსახური, რომელიც არ უზრუნველყოფს საკრებულოს ან გამგებლის გადაწყვეტილებების აღსრულებას, არ უნდა არსებობდეს. მაგ., არ უნდა არსებობდეს გამგეობის აპარატი, რადგან მისი ფუნქცია არ არის საკრებულოს და გამგებლის გადაწყვეტილებების აღსრულება. მისი ფუნქციაა გამგეობის ხელშეწყობა.

**617. შესაძლებელია თუ არა, კომისიაში სამუშაოდ მოწვეულ იქნეს გარეშე პირი სათანადო ანაზღაურებით?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი. კომისიის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს დებულებით (რეგლამენტი) დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

**618. რა არის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი და რა მიზნით იქმნება იგი?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით საკრებულო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს და თავმჯდომარეს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო.

**619. რა მიზნით იქმნება საკრებულოს ბიურო?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს ბიურო შედგება საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან. საკრებულოს ბიურო:

- ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, ასევე საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;
- კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას, ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების დებულებებს;
- განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს;
- ისმენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;
- ახორციელებს საკრებულოს დებულებით (რეგლამენტი) განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

**620. ვალდებულია თუ არა საკრებულო წინასწარ გამოაქვეყნოს ინიცირებული გადაწყვეტილებების პროექტები?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი სამსახურები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან, შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, თვითმმართველობის ორგანოების სხდომებში

მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა კონტროლის გამჭვირვალობისათვის და კანონით დადგენილი წესით: ა) ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით გამოაქვეყნონ: ა.ა) ინიცირებული გადაწყვეტილებათა პროექტები; ა.ბ) ინიცირებული გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები; ა.გ) საკრებულოს, აგრეთვე საკრებულოს კომისიის სხდომების დღის წესრიგი, ჩატარების ადგილი და თარიღი; ა.დ) მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტები, მათი გასაჩივრების ვადები და პროცედურები; ა.ე) გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები; ბ) უზრუნველყონ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოდიფიცირება და მათი ხელმისაწვდომობა.

### **621. რა არის საკრებულოს ფრაქცია და რა მიზნით იქმნება იგი?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საკრებულოს ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში. ფრაქციის ჩამოყალიბება შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით. ფრაქციის შექმნა საკრებულოს წევრების უფლებას და არა ვალდებულებას.

### **622. შეიძლება თუ არა საკრებულოს წევრი დათხოვნილ იქნას საჯარო დაწესებულებიდან საკრებულოს თანხმობის გარეშე?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 32<sup>6</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საჯარო დაწესებულებიდან ან დისციპლინური წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საკრებულოს თანხმობის გარეშე, ხოლო საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში – საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

### **623. ყველა საკრებულოს წევრი იღებს ხელფასს?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს შემდეგ თანამდებობის პირთა საქმიანობა: ა) საკრებულოს თავმჯდომარე; ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; გ) თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე; დ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

### **624. რა სახის საქმიანობის განხორციელება ეკრძალება საკრებულოს წევრს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს:

- იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ;
- ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ;
- იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ორგანოებში;
- იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;
- იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- იმუშაოს საკრებულოს აპარატში და გამგეობაში (მერიაში);
- მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის საწარმოების მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, გარდა საგანმანათლებლო (სასკოლო დაწესებულებები და სხვა), კულტურის (თეატრები და სხვა) და ჯანმრთელობის დაცვის (საავადმყოფოები და სხვა) დაწესებულებებისა.

## **625. შეიძლება თუ არა საკრებულოს დადგენილება ძალადაკარგულად გამოაცხადოს საქართველოს მთავრობამ?**

დიახ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს დადგენილება, რომელიც მიღებულია დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული წესით, ძალადაკარგულად შეიძლება გამოაცხადოს საქართველოს მთავრობამ.

## **626. რა ფუნქციები აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე:

- არის თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი.
- ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;
- ხელს აწერს საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

- ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, მისი სხდომების ოქმებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს; წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
- საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;
- იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს საკრებულოს სხდომებს;
- თავმჯდომარეობს საკრებულოს ბიუროს სხდომებს;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;
- საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელს (მერს);
- საკრებულოს ყოველწლიურად დასამტკიცებლად წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს; თანხმობას აძლევს გამგებელს (მერს), დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად გადაანაწილოს თანხები მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის;
- საკრებულოს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით;
- საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს აპარატის დებულებას;
- საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის (მერიის) დებულებას, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების დებულებებს;
- ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს, საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
- ამტკიცებს გამგეობის (მერიის) შინაგანაწესს, საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;
- იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს: ა) გამგეობის მართვაში არსებული საწარმოების საწესდებო კაპიტალში თვითმმართველი ერთეულის ქონების შეტანის თაობაზე; ბ) თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის ან სხვაგვარად განკარგვის თაობაზე; გ) თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი

- განკარგვის წესით გადაცემის შესახებ;
- უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტი) და გამგეობის (მერის) დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **627. რა მიზნით იქმნება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანო?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს გადაწყვეტილებით იქმნება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოები.

## **628. რა ფუნქციები აქვს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს – რწმუნებულს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რწმუნებული:

- წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;
- უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, გამგეობასთან (მერისთან) და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;
- ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს (მერს) წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის (მერის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- გამგებელს (მერს) წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;
- უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;
- ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;
- მოქალაქეებზე გასცემს საქონლის ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;
- მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს; ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და გამგებლისთვის (მერისთვის) მათ მიწოდებას;
- აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას

მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს გამგებელს (მერს) და საკრებულოს;

- ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას;
- მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სხვა დოკუმენტების მომზადებაში;
- შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;
- კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;
- შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;
- თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;
- მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;
- ასრულებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. კერძოდ: 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასახლებაში, სადაც სანოტარო ბიურო არ არის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ა) ადასტურებს ანდერძს; ბ) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; გ) ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან; დ) გადასცემს პირის განცხადებასა და ცნობას სხვა პირს; ე) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს; ვ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს; ზ) შესაძლავს იღებს დოკუმენტებს; თ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან; ი) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას. თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულს ამ მუხლის პირველ პუნქტში

ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებაზე, თუ მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ხდება შემდგომ მასზე მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის მიზნით.

- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **629. რა ვალდებულებები აკისრია თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რწმუნებული ვალდებულია პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგინოს გამგებელს (მერს) ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში: ა) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ; ბ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში პირების დაბადებისა და გარდაცვალების და ამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ; გ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ; დ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ; ე) იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან; ვ) ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობის და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ; ზ) მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შემით, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ; თ) სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისაგან დამცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

## **630. რა ფუნქციები აქვს გამგებელს?**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამგებელი:

- კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;
- შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის (დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების) პროექტს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;
- შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებებისა და გაუქმების შესახებ წინადადებებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

- შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს ადგილობრივი შესყიდვების გემის დამტკიცების თაობაზე, სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;
- შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე;
- შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;
- საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს გამგეობის (მერიის) დებულების, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების დებულებების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს;
- ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა შორის, აძლევს დავალებებს სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;
- საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს გამგეობის (მერიის) მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
- საკრებულოს სამუშაო გეგმებიდან და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; საკრებულოს თავმჯდომარეს განსახილველად წარუდგენს გამგეობის (მერიის) მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს და სამართლებრივი აქტების პროექტებს თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასთან და განკარგავასთან დაკავშირებით;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;
- ახორციელებს გამგეობის (მერიის) დებულებითა და საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **631. შესაძლებელია თუ არა, საკრებულოს თავმჯდომარემ შეითავსოს გამგებლის მოვალეობები?**

არა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გამგებლის (მერის) არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გათავისუფლებისას გამგებლის (მერის) მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს გამგებლის (მერის) მოადგილე.

### **632. თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით, უწყდება თუ არა საკრებულოს უფლებამოსილება?**

დაიხ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, თუ: ა) თვითმმართველი ერთეული გაუქმებულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით; ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით დაითხოვოს საკრებულო, თუ საკრებულომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღებიდან 3 თვეში არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას.

### **თავი XXXI. რჩევები**

- **გადაწყვეტილებების პროექტები წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს.** „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს. ეს უფლება არ უნდა შეიზღუდოს.
- **მოქალაქეებს უნდა მიეცეთ თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.** უნდა გაიმართოს საკითხების საჯარო განხილვა. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაესწრონ საჯარო განხილვებს და გამოთქვან საკუთარი აზრი. თვითმმართველობა ვალდებულია მოუსმინოს თავის ამომრჩევებს.
- **თვითმმართველობის საქმიანობა საჯარო უნდა გახდეს.** თვითმმართველობა უნდა შეეცადოს, ამომრჩევებს მიაწოდოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ასევე ინფორმაცია თვითმმართველობის სამომავლო გეგმების თაობაზე.
- **მნიშვნელოვანია თვითმმართველობების თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.** ევროპის ქვეყნებში თვითმმართველ ერთეულში ამისათვის შექმნილია სპეციალური სამსახური. მის ბიუჯეტში ხშირად ასახულია თანხები, რომლებიც ამ ურთიერთობების შედეგად არის მოძიებული.
- **მნიშვნელოვანია, თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს დროშა, გერბი და სხვა სიმბოლოები.**

- თვითმმართველობის მიერ გამოცემულ ყოველ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მითითოს ნორმა, რომლის საფუძველზეცაა გამოცემა აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი. ეს შეიძლება იყოს თვითმმართველ ერთეულში შექმნილი ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს იურიდიული შედეგები.
- მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად დასაბუთდეს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი. ამომრჩევებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რეალურად დაინახოს, რა შეიცვლება 1 წლის შემდეგ, ბიუჯეტის დახარჯვის შედეგად. ბიუჯეტში მითითებული უნდა იქნეს მისი შესრულების შემდეგ მოსალოდნელი შედეგები რაოდენობრივი ან თვისობრივი მაჩვენებლებით.

## თავი XXXII. გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“;

## საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები:

3. „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ოქტომბრის №515–III დადგენილებით);
4. კონვენცია ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ (საქართველო მიერთებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის №647 დადგენილებით);
5. ევროპული კონვენცია „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 28 აპრილის №2961-IX დადგენილებით);
6. „საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტი)“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 28 დეკემბრის №1935 დადგენილებით);
7. „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტი)“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 18 ივლისის №2487 დადგენილებით);
8. „საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) (მაინის ფრანკფურტი) შორის სასესხო და საპროექტო ხელშეკრულება“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 14 იანვრის №3242 დადგენილებით);
9. „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 4 თებერვლის №1205 დადგენილებით);

10. „საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება“ (რატოფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 17 იანვარს);
11. „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ“ (ძალაშია 1995 წლის 4 დეკემბრიდან);

### **საქართველოს ორგანული კანონები:**

12. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
13. „პროკურატურის შესახებ“;
14. „რეფერენდუმის შესახებ“;
15. „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
16. „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“;
17. „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“;
18. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“;
19. „საქართველოს შრომის კოდექსი“;
20. „ეროვნული ბანკის შესახებ“;

### **საქართველოს კანონები:**

21. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“;
22. „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
23. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
24. „საბიუჯეტო კოდექსი“;
25. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
26. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
27. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
28. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“;
29. „ნორმატიული აქტების შესახებ“;
30. „რეკლამის შესახებ“;
31. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
32. „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“;
33. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“;
34. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
35. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“;
36. „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;
37. „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
38. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“
39. „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“;
40. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“;
41. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
42. „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“;
43. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“;

44. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“;
45. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
46. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“;
47. „მეწარმეთა შესახებ“;
48. „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“;
49. „ნოტარიატის შესახებ“;
50. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“;
51. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
52. „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;
53. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
54. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;
55. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;
56. „საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“;
57. „საქართველოს საჰაერო კოდექსი“;
58. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“;
59. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;
60. „საქართველოს ტყის კოდექსი“;
61. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“;
62. „ადვოკატთა შესახებ“;
63. „არასპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“;
64. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“;
65. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“;
66. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“;
67. „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“;
68. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“;
69. „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“;
70. „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“;
71. „გრანტების შესახებ“;
72. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“;
73. „ზოგადი განათლების შესახებ“;
74. „იარაღის შესახებ“;
75. „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;
76. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“;
77. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;
78. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“;
79. „კულტურის შესახებ“;
80. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;
81. „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“;

82. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“;
83. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“;
84. „ლობისტური საქმიანობის შესახებ“;
85. „ლტოლილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“;
86. „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“;
87. „მობილიზაციის შესახებ“;
88. „მუზეუმების შესახებ“;
89. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
90. „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“;
91. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“;
92. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“;
93. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“;
94. „პატიმრობის კოდექსი“;
95. „პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“;
96. „პოლიციის შესახებ“;
97. „პროფესიული განათლების შესახებ“;
98. „პროფესიული კავშირების შესახებ“;
99. „საავტომობილო გზების შესახებ“;
100. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“;
101. „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“;
102. „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“;
103. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“;
104. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“;
105. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
106. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“;
107. „სამოქალაქო აქტების შესახებ“;
108. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“;
109. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“;
110. „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“;
111. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“;
112. „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“;
113. „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“;
114. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“;
115. „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“;

116. „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“;
117. „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“;
118. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“;
119. „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“;
120. „სახელმწიფო ვალის შესახებ“;
121. „სახელმწიფო თეატრების შესახებ“;
122. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
123. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
124. „საჯარო სამსახურის შესახებ“;
125. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“;
126. „სოციალური დახმარების შესახებ“;
127. „სპორტის შესახებ“;
128. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
129. „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“;
130. „უმაღლესი განათლების შესახებ“;
131. „ფასიანი ქვალადების ბაზრის შესახებ“;
132. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“;
133. „ქონების ლეგალიზების შესახებ“;
134. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“;
135. „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“;
136. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“;
137. „წყლის შესახებ“;
138. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;

### **საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:**

139. „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“. №726. 29.08.05;
140. „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ №968. 29.11.05;
141. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“. №525. 15.09.07;
142. „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“. №660. 24.11.07;
143. „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“. №351. 04.06.99.
144. „სამსახურებრივი ავტომაქსანების გამოყენების წესის შესახებ“. №364 11.08.00.

145. „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“. №160. 28.04.01;
146. „საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზების შესახებ დებულების თაობაზე“. №87. 28.02.02;
147. „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ №13. 16.01.03;
148. „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. №231. 20.04.05;
149. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“. №687. 08.08.05;
150. „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“. №43. 24.01.05;
151. „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. №73. 29.01.07;
152. „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“. №172. 12.03.07;
153. „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. №287. 27.05.11;
154. „დასახლების შექმნის, გაუქმებისა და მისი ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის წესის დამტკიცების შესახებ“. №110. 04.03.08;
155. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“. №415. 26.08.08;
156. „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“. №47. 05.02.09;
157. „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. №46. 05.02.09;
158. „საქართველოს მოქალაქეთა მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით შესაბამისი სამსახურებისა და არასამხედრო-შრომითი ფორმირებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. №887. 01.12.09;
159. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“. №964. 27.12.09;
160. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“. №963. 27.12.09;
161. „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“. №22. 14.01.10 ;

162. „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“. №363. 31.05.10;
163. „საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“. №497. 16.10.08;

### **საქართველოს მთავრობის დადგენილებები:**

164. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“. №50. 14.02.12;
165. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“. №57. 24.03.09;
166. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ №240. 13.08.2010;
167. „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“. №192. 26.04.2011;
168. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“. №507. 29.12.11;
169. „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“. №57. 10.07.04;
170. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“. №118. 23.07.05;
171. „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ“. №105. 23.05.07;
172. „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“. №126. 26.06.07;
173. „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ“. №131. 03.07.07;
174. „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“. №134. 04.07.07;
175. „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“. №154. 27.07.07;
176. „შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ“. №181. 29.08.07;
177. „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ

- მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“. №233. 24.10.07;
178. „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესის შესახებ“. №220. 10.10.07;
179. „ქვეყანაში სილატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. №126. 24.04.10;
180. „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. №132. 11.08.05;
181. „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“. №153. 04.06.10;
182. „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“. №172. 25.06.10;
183. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“. №261. 25.08.10;
184. „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“. №302. 01.10.10;
185. „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების წუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“. №355. 18.11.10;
186. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“. №236. 14.06.11;
187. „სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“. №277. 12.07.11;
188. „დამისამართების პროცესში მონაწილე დაწესებულებების თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. №358. 23.09.11;
189. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“. №509. 29.12.11;
190. „ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“. №500. 29.12.11;
191. „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. №57. 20.02.12;
192. „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“. №66. 21.02.12;

193. „აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“. №175. 08.05.12;
194. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“. №181. 14.05.12;

## **მინისტრების ბრძანებები:<sup>12</sup>**

### ***იუსტიციის:***

195. „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“. №174. 15.06.07;
196. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. №4. 15.01.10;
197. „ნორმატიული აქტების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“. N236. 28.12.10;
198. „თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“. №114. 17.06.10;
199. „ელექტრონული მატარებლის სახით შესანახი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. №70. 31.03.10;
200. „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“. №72 . 31.03.10;
201. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. №71. 31.03.10;
202. „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“. №149. 21.11.11;

### ***საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა:***

203. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“. №14. 27.01.12;

### ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების:***

204. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის ბრძანება „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“. №194. 16.03.07;

---

<sup>12</sup> თუ ნორმატიული აქტის მიმღები სამინისტრო ამჟამად არ არსებობს, მითითებულია მისი უფლებმონაცვლე სამინისტრო.

205. „მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის დამტკიცების შესახებ“. №13/წ. 25.01.12;

### **შინაგან საქმეთა:**

206. „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდების დამტკიცების შესახებ“. №738. 21.05.07;
207. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“. №747. 24.05.07;
208. „სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“. №649. 18.05.09;
209. „საქართველოში ხანძრებისა და მათი შედეგების სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წესისა და დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“. №1574. 25.12.09;
210. „ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების თაობაზე“. №571. 29.06.10;

### **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის:**

211. „დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“. №281/წ. 25.09.07;
212. „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. №52/წ. 26.02.10;
213. „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“. №141/წ. 20.05.10 ;

### **სოფლის მეურნეობის:**

214. „ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულის და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ №2-236. 11.10.05;

### **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების:**

215. „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“. №1-1/1254. 08.07.08;

216. „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. №1-1/2044. 27.12.10.
217. „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე“. №1-1/1558. 18.08.11;

### **საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის:**

218. „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შემოსული წინადადებებისა და მათზე თანდართული მასალების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“. №3/203. 03.12.07;

### **გარემოს დაცვის:**

219. „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. №247. 04.03.08;

### **საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა:**

220. „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“. №01/129. 15.06.12;

### **ფინანსთა:**

221. „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“. №916. 30.12.09;
222. „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. №904. 30.12.09;
223. „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე“. №771. 08.10.10;

### **ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების:**

224. „ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“. №52. 04.10.10;
225. „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“. №96. 25.06.11;

226. „ელექტროსადგურების თბომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი წესების“ დამტკიცების შესახებ“. №191. 16.09.11;

### **ერთობლივი ბრძანებები:**

227. საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 25 იანვრის №6/18 ერთობლივი ბრძანება „საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის ინდექსების, ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდის დამტკიცების შესახებ“;
228. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 3 აგვისტოს №956/1-1/746 ერთობლივი ბრძანება „სავაჭრომოხილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტისანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის და უსაფრთხოდ გადაადგილების წესის დამტკიცებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის შესახებ“;
229. საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ერთობლივი ბრძანება №40-№61-№222 „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის შესახებ“;

### **სხვა ადმინისტრაციული აქტები:**

230. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის №166 ბრძანება „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
231. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №2 4/04 ბრძანება „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
232. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 15 სექტემბრის №123 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის „საზღვაო ინციდენტების სამსახურებრივი გამოკვლევის წესის“ დამტკიცების შესახებ“;